

# ବ୍ୟାକିଳା

୪(୦୫) ୧୯୦୧ ମୁଲ୍ୟ

୨-୩୦ ମ୍ରତ୍ତ ମାହିମି

ତଥିରୁଷିଂହ ପ୍ରକାଶନାଳୀ

ଶ୍ରୀଲଙ୍ଗିନୀଙ୍କୁ ମେରୁଣ୍ଣ -

№ III

୪୧୬୬୦, ୧୯୦୧



ପ୍ରକାଶନିକା

ମୁଲ୍ୟ ପରିମା ମାତ୍ରା ମାତ୍ରା ମାତ୍ରା ମାତ୍ରା

1901

ଅ ମୁ ଶ ର କ ପ ତ

ତ୍ର୍ୟଗିଶ୍ଵରି ପ୍ରକାଶନାଳୀ

ଶ୍ରୀଲଙ୍ଘନାଥ ମେହେରୁ

N<sup>o</sup> III

୧୯୦୧ ମସି



ପ୍ରକାଶନାଳୀ

ବିଭାଗ ମେହେରୁ ଶ୍ରୀଲଙ୍ଘନାଥ ମେହେରୁ

1901

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Марта 1901 г.

I—გველის მფაველი. — ძველი ამბავი. — VII—XII. გვა- ფშაველასი (დასასრული) . . . . .	1
II—გარიამ უოტლადელი. — დრამა ხუთ. მოქმედებად, ბიორნსტენე ბიორნსონისა (თარგმანი) . . . . .	22
III—*—ლექსი. — ლადო ახაბაშვილისა. . . . .	55
IV—„ჩემი საგვირებლო ჩემი გულია!..“ — ქ. არაგვის- შიორელისა . . . . .	57
V—ორი ობოლი. — ლექსი, ბ. ცაგარელისა . . . . .	53
VI—206 იუო მოგიდან ეპისტოლი? — დ. კარიჭაშვი- ლისა . . . . .	1
VII—გურია-აჭარა. — XVIII — თ. სახლვასი . . . . .	16
VIII—არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნა- ნი. — ე. თავისმებულისა . . . . .	42
IX—სამეგრელოს აღწერა. — XXIX—XXXII — არქანჯე- ლო ლაშერტისა. — (თარგმანი იტალიურით), . . . . .	61
X—უცხოეთის მიმოხილვა. — 1. ჩინეთის საქმეები: „მოკავ- შირეთა“ კავშირის სიმტკიცე. რუსთი, მანჯურიაში; იაპონია და ინგლისი. 2. — სამხრეთ-აფრიკის საქმეები: იმედების გაც- რუება. 3. — ამერიკის შეერთებული შტატები: ყუბა და ფი- ლიპეს კუნძულები. — 4. საფრანგეთი: კონგრეგაციები. ესპა- ნიის კლერიკალები. — 5. სამთა კავშირი და იტალია. — 6. ავ- განისტანის ემირი აბდურ რაჰმანი . . . . .	91

# გველის მჰამელი

(ძველი ამბავი)

vii

მთანი ჩამოშრენ. პირ-თავქვე  
ქოთით მოდიან ლვარები,  
ხევებში ზვავი შათხელდა  
ვეშაპის მინაგვარები.  
აჩქამდა ბუერაზედა  
ანკარა წვიმის ცვარები,  
ველებზე ბზინვენ ყვავილნი—  
თამარ-დელოფლის თვალები.  
კლდის პირზე მოსულს პირი-მზეს  
გულ-მკერდში ვენაცვალები!...  
მთაზე უვნებლად გადმოხდენ  
პირ-იქითული მგზავრები.  
მთის კალთებს ჰშვენის ცხვარ-ძროხა,  
როგორც ლამაზს ქალს ხალები;  
გაცოცხლებულა მთა-ბარი  
ზამთრისგან დანაწვალები.  
ქვეყნად ბევრია ბეჩავი,  
ბევრია შასაწყალები,—  
ერთი რო ვნახოთ, სხეას ბევრსა  
ვერ ჰერდვენ ჩვენი თვალები!

\* იხ. «მოამბე» № II.

სოფლებში ხმაურობაა,  
 ძახილ-ძუხილი ღიღია:  
 „გააგებინეთ, სად არი  
 „გველის მჭამელი მინდია,  
 „ქისტების მოდის ლაშქარი,  
 „არღუნს ჩატეხეს ხიდია,  
 „დახვედრა მტრისა, ვაჟებო,  
 „ეხლა ჩვენზედა ჰყიდია!“  
 ღიღი მზადება შავენათ,  
 ხალხი ზღვასავით ღელავდა.  
 საით მხარესაც გაჰქედავ,  
 თოფი და ხმალი ელავდა.  
 კარგა ხანია ხეესურნი  
 მტრის რაზმებს აღარ სცელავდენ,  
 მათ აოხრებულს ბანაკსა  
 უწყალოდ აღარ სთელავდენ;  
 ომისვე დამშეულები  
 ძლივს მოელიან ღილასა.  
 ყველას ინა აქვს გულშია —  
 ბელიდს ვინ მოჰკლავს წინასა,  
 თაესა და მარჯვენას მასჭრის,  
 შინ მოვა სახელიანი,  
 გვარიც დარჩება იმისი  
 სამუღმოდ საქებიანი.  
 ციხე-კოშკებში შაღიან  
 ღიაცნი ბალ-ლებიანი;  
 მზად შაუნახეს ქმარ-შვილთა  
 გუდები საგძლებიანი.

## viii

ბინდდება. ბნელი ხევები  
 იმურებიან შავადა.

თვალს ისე ეჩვენებიან,  
 თითქოს გამხდარან ავალა.  
 მთები მაღლები, კლდეები,  
 ლაღი არაგვი თავალა —  
 მოწყენილია სუყველა,  
 ვხედავ ჩუმალა ტირიან.  
 მხოლოდ თამამად შიკრიკი  
 სოფლითი-სოფლად ყვირიან:  
 „ვინაც ხვალ ლაშქარს დააკლდეს,  
 „ამოვარდებამც მირიან!“  
 გარედ აღარსად ცეცხლი სჩანს,  
 არ ისმის სტვენა მწყემსისა,  
 კარში აღარა დასტოვეს.  
 დანაფასები ნემსისა.  
 სოფლად მილაგდენ ყველანი,  
 კოშკ-ციხეები ჰუარავენ,  
 ცხვარ-ძროხას, საგანძურებსა  
 ფარულ ალაგის ჰმალავენ.  
 ცოტა რამ მკრთალი ნათელი  
 ხახმატს ხატშია ჩნდებოდა,  
 სანთლები ენთო ყორეზე,  
 ალი იფნებსა ჰხვდებოდა,  
 ხან ცისკრად გამოაშუქის,  
 ხან-კი მინელდის, ჰქრებოდა,  
 სულ-მაბრძოლ სნეულსა ჰგავდა,  
 ტანჯვა-ვაებით კვდებოდა.  
 სხვა იქ კაცის ძე არა ჩანს,  
 ორნი ჰყუდიან ველზედა,  
 ერთს სისხლიანი ხანჯარი  
 უპყრავ, სისხლი აქვს ხელზედა;  
 მათ წინ დაკლული კურატი  
 ჭამოწოლილა გვერდზედა.

## ბერდია (ხევისბერი)

წყალობა მოგცეს, მინდიავ,  
 იმ გულზედა და წესზედა,  
 რა ფიქრითაცა სწირავდე,  
 იმედოვნებდე ღმერთზედა;  
 ნუმც მოგეშლება სახელი  
 მინამ ხმალი გრტყავ წელზედა,  
 იმედო ხევსურეთისავ,  
 მწყალობელიმც გყავ ჯვარია,  
 მუდამამც გამარჯვებული  
 მიგყავ და მოვყავ ჯარია.  
 მგონია, მეათე დაჲკალ  
 წელსა, გასწყვიტე ძროხები,  
 რას ეხვეწები მაგლენსა,  
 რა გაქვის შანაცოდები?  
 ერთი წესია, ორიცა,  
 შენ ხვეწნა მეტის-მეტია.  
 ნურასამც ვაწყენ ამით ღმერთს,  
 რაც ეხლა დავიყბედია.

## მინდია

ყველარი ხარი კიდევ მყავ,  
 საში თუ ოთხი ფურქები—  
 იმათაც აუსახელებ  
 ოლომც მაშირჩეს წყლულები.

## ბერდია

რა წყლული, კაცო, შენ წყლული  
 ჩვენ არვის გაგვიგონია,  
 შენ წყლუნიანებს სხვებს არჩენ  
 ათასობითა, მგონია.

## მანდია

სხვა რამ საქმეა, ბერძიავ,  
აღვილ ვერ ვიტყვი იმასა:  
თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით,  
ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა.  
ფულის პატრონნი, თუ იცი,  
ყველგან გაპხსნიან ქისასა?  
ხვალ, ხვალე-ზეგავ გაიგებთ,  
მაცნე რო მოვა მოისასა.

## ბერძია

შენა ხარ ჩვენი იმედი,  
ხევსურთ დაელათიც შენთანა.  
ჩვენა გვწამ, შენაც ხომ იცი,  
რომ პლაპარაკობ ღმერთთანა,  
ხატიც გამმარჯვედ დაგყვების,  
კარგად იციან ყველგნა.  
ნუმც მოგეშლება დაელათი  
წმიდის გიორგის ძალითა.  
ნუმც გაგვიმეტებს უფალი,  
არ გიმფარველოს კალთითა.  
აილო თასი ხელშია,  
და კვლავ დაიწყებს ბერძია:  
საღიდებულო გიორგის  
და სამწყალობლო შენია,  
შენ მეშველიმცა, რაც უფალს  
ხატები გაუჩენია,  
შენი მერჩოლი, ცოცხალი  
ერთიც ნუ დაურჩენია.  
ხვალ თუ ხვალე-ზეგ უცილოდ  
ომი გვექნება მცერთანა,  
მანამ ცოცხალი გვყვიხარ,

რას გახდებიან ჩვენთანა?!.  
 ეს რომ სთქვა, მლოცვას თვალები  
 აევსო ცხელის ცრემლითა,  
 არ შამნიშნოსო, მობრუნდა  
 და მოიწმინდა ხელითა.  
 დაემხო საჯარის წინა,  
 როგორც მოკრილი ცელითა,  
 ჯოყარი რამა თუ ფიჩხი  
 შასაკონავი წნელითა.  
 ლოცულობს თვალ-ცრემლიანი,  
 აზრი არ ისმის ლოცვისა.  
 ასე მხურვალედ მლოცველი  
 ვერ ნახა ვერა როდისა  
 წინად ბერდიამ. ეს უკვირს:  
 უფრო ტანჯვაა გლოვისა,  
 ვიღრე გულ-დაწყნარებული  
 წყალობის გამოთხოვისა.  
 ცრემლი სდის, ჩუმი ქვითინი  
 აბჯრის ჟოერაში ერევა,  
 ლოცულობს ლაჩოქილია,  
 ხანიც მრავალი ელევა.  
 „უსმინე ხახმატის ჯვარო,  
 თვითაც უმატებს იგია:  
 „ნუ გაუქარწყლებ ვერებას,  
 „კეთილზე დაარიგია.

## ix

შუა-ღამისას ლაიწყო  
 დელგმა მოპერეთქა ლვარები,  
 გატეხეს, თუ სად ლოდების  
 ხევებში იყო კარები  
 და სწორედ არ მიუტანეს

ბარს მთისა დანაბარები.  
 ხშირად დაედვა ბალახთა  
 ორუბელთა ცრემლის ღვარები.  
 გაჰქრა და აღარცა ბეუტავს  
 ხახმატს ლოდებზე სანთლები;  
 აღარსად ხევისძერი ჩანს,  
 აღარც მლოცვავი მტირალი,  
 მარტო საჯარის ყორეა  
 მრისხანედ გამომზირალი  
 და კლდეებს არღვევს არაგვი  
 გაბეზრებული, მყვირალი.



დილაზე ფრთა დაკეცილთა,  
 ნამტირალევთა ლაშითა,  
 მთებზე ეძინა ნისლებსა  
 მიტკლით შაკრულის თავითა;  
 ზოგჯერ რო გაგეახარებენ,  
 მაცოცხლებელის ცეარითა,  
 სხვა დროს ბედს ვეიწყევინებენ  
 ჩანადინარის ავითა.

დაბლა ჭალა და ხევები  
 გუშინ სავსენი ზეავითა,  
 დღეს სიცოცხლითა ხარობენ,  
 გაბადრულნია მწეანითა,  
 და კოშკი დაფიქრებული  
 ხეობას დაპმზერს მაღლითა.  
 კოშკი მოსჩანან ჭალები,  
 როგორც ყვავილნი მთისანი,—  
 სძლევენ მტერს, თუ ვერ ხევსურნი—  
 მათ სასაუბრო ის არი.  
 სათოფურებით ჩაპმზერენ

მოუსევნარად ჭალასა  
 და ახვეწებენ თავის ჯარს  
 ღვევისა და ხატის ძალასა.  
 აქით კარგად სჩანს მიზამო:  
 მთა, მთის ყელები ყოველი,  
 ვერ დაემალვის კაცის თვალს  
 მწერი, ვერც ერთი ცხოველი,  
 ზოგები სხედან ფიცარზე  
 ჰბკობენ, თან ჰქსოვენ წინდასა.  
 ისინიც სამშობლოსადა  
 ლოცვას ამბობენ წმიდასა

### სანდეგი (დედავითი)

მზიავ, გულ-შამოყრითა ხარ  
 შენ უფრო სხევებზე მეტადა;  
 ქმარას თუ ჰნანობ, თვალ-შურთხო,  
 ვერ ჰქშერობ მოსაკვლელადა,  
 არა გულდნია, რო ომსა  
 ის ჸსახავს თავის ბედადა  
 და მინდიას მამკლავი  
 ჯერ არ გაუზდავ დედასა.  
 მაშ იე რაღა ვქნა? ჩემები.  
 ბევრნი წავიდენ ლაშქარსა:  
 ჩემ კაცი, ძმანი სამნივე  
 არ მოჰკლებიან ამქარსა.  
 შენს ქმარს ხო ვერვინ აჯობნებს,  
 ძველებურს იზამს ნაქნარსა,  
 როგორაც ბევრჯელ უწინა,  
 ეხლაც მტერს მისცემს ზიანსა.  
 ვისაც მაუკლავს, ის მაჰკლავს  
 ხარსა ირემსა რქიანსა.

## გზა

ვაჲ მე, რო ვეღარ იბიჭოს,  
 ისეთს სიხმრებსა ჰედავდა:  
 მთელს ერთს წელს სნეულსა ჰგვანდა,  
 თავის ხარცა კბილით ჰყენეტავდა.  
 ცოლ-შვილი გაგელეტოო, იძახდის,  
 თუმც რადღაც არა ჰედავდა.  
 ხატ-ლმერთს მიეყრინო, შასწირა,  
 თუ სად რა გვყვანდა საქონი,  
 მოვიდის, ჰურიც არ ჭამის,  
 ვაპატიუ იდი რამდენი.  
 მარტოკაც ბევრჯელა ვნახე  
 ჩუმალ, ბალლივით ტიროდის:  
 „დავკარგე ძეირი საუნჯე“,  
 თაეისთვის ამას იტყოდის.  
 სულ ბანზე იჯდის ლამითა,  
 აშტერდებოდა ცასაო,  
 მოსულს და წასულს არავის  
 აღარა სკემდა ხმასაო,  
 აღარც სტუმარი უნდოდის,  
 ჩვენ ხომ არა და აღარა.  
 ამ ცოტა ხანში თმა წვერი  
 დარდმა თუ გაუჭალარა?!.  
 ბევრჯელ ქურდულად ბნელაში  
 დაუყუროდი ჩუმალა,  
 მაგრამ მის მარტოდ ყოფნასა  
 მე ვერ ჟეუველ გულადა.  
 რომ თავს და ხალხსა ტიროდის,  
 ის კი შავიგენ სრულადა:  
 „ველარას ვარგებ ქვეყანას“,  
 ტიროდა დაფარულადა.  
 ცოლ-შვილთ კი უფრო ბოლოს-დროს  
 გვეკიდებოდა. მტრულადა.

## სანდეს

ჩვენ ეგ არ გაგვიგონია,  
პირველად მესმის შენგანა:  
მე ისივ მინდია მგონავ  
შასადარები მზესთანა.  
მაგას, ათასი იუბნო,  
არ დაგიჯერებს ქვეყანა.  
მიკვირს, ეგ შენთან ნათქეამი  
რაღ-არ იუბნა სხვებთანა?  
რომელს ცოდნაზე ჩიოდა?  
ან თქვენ რის დამნაშავეთი  
გული იმ რიგად სტკიოდა,  
რომ ცოლ-შეილთ დასალევადა  
ხმლისკენ ხელ მიუდიოდა?!

## მზად

ისიო, იმას ამბობდა,  
ე მათ მზემ, არ ვსთქვა მრუდია,  
ხელი დაადო შეილებსა,  
ორივ მის ვეერდზე ჰყუდია,  
რომ თქვენგან ცოდვაში შაველ  
არ საქნელი ვქენ საქმეო.  
შეშა ვჭერ, ნადირი ვხოცე,  
როგორც უბრალო რამეო.  
ყვავილნი ხმას აღარ მცემენ,  
აღარც ვარსკვლავნი ღამეო.  
უფლისგან მომადლებული  
დიდი ცოდნა და ძალია —  
დავკარგე შენის აყოლით,  
წელზე რაღდ მარტყავ ხმალია.  
და სხვა ამ-გვარი ათასი  
შამრგმის პირზე ცოფითა

და ორჯერ-სამჯერ გადურჩი,  
კინაღამ მამკლა თოფითა.  
ალბათ ჯერ იმედი ჰქონდა:  
ხატებს ეხვეწა, იშრომა...  
თან ჩვენაც ვებრალებოდით  
და არ დაგვხოცა მიტომა.

### სანდუა

თუ მართალია, რაცა სთქვი,  
შენგან ცოდვაში შავიდა,  
უნდა მოგეჭრას ეგ ენა,  
მაღლა დაგკიდონ კავითა,  
ძირს ცეცხლი შემოგიყეთონ,  
დაიწვა იმის ალითა.  
ქვეყნის ცოდვაში ჩაჰმდგარხარ,  
ჩვენ ხო ვართ იმის ძალითა.

### გზაა

პო, თუ ბრალი მაქვ რაიმა,  
ლირსიც ვიქნები დასჯისა;  
ის ცოდვა რად უნდა იყოს,  
ფიქრი რო შივეც გარჯისა?  
ცოლ-შვილნ თუ უნდან ვაჟკაცსა,  
შნოც უნდა ჰქონდეს ხარჯისა.  
ჩვენ საქმე ეიცით, დიაცთა  
რა გაგვეჩება აბჯრისა...  
ეს თითონ უნდა ეფიქრა,  
კაცი იმისთვინ კაცია:  
ერთს თუ სხვისათვის არ უვნავ  
და არა გაუტაცია,  
ბრალი რად უნდა დაედვას  
ალალს, არ მქნელსა ცოდვისა?  
ცოდვა ერთისა სხვამა ზღოს

მადლად სად თქმულა, როდისა?  
 რაღაც ცუდს გრძნობდა მანცა,  
 იმითა სწუხდა ბეჭავი,  
 ჩვენზედ იყრიდა ბოლოს ჯავრს  
 საქმის წინადევ მხელავი.  
 წუხელაც ცუდ სიზმარ ვნახე  
 რა, რა იქნების, ნეტავი?!

## სანდუკა.

რა ნახე, მზიავ, მიამბე,  
 იქნება ახდეს კარგადა,  
 და არ გაგვხადოს უფალმა  
 დასალევ-დასაკარგადა?

## გზა

ცუდი რამ ვნახე, სანდუკავ,  
 საზარო, გულის მგმირავი,  
 სულ-ხორცის ამაშფოთები,  
 გონების ამაზრზინავი:  
 მოვარდნილიყო ლვარები,  
 როგორც ლევები მქშინავი,  
 თან მაარღევედენ მთა-ბარსა,  
 იდგა დგანდგარი, ლრიალი.  
 ცა-ხმელთა დაქცევას ჰგვანდა,  
 ისეთი ისმის გრიალი.  
 მთებსა სტყდებოდა წვერები,  
 დაბლა ხევებში წვებოდენ;  
 მთებთან ერთადა კლდეებიც  
 თოფებივითა ტყვრებოდენ.  
 ცა ისეთი ჩნდა, ვით კუპრი,  
 შავად ჰლელავდა, შხიოდა,  
 კუპრს აწვიმებდა მიწასა,  
 ცხელი წვეთები სცვიოდა.

ღვარები ისევ საზარლად  
 შეუპოვარად დიოდა  
 „გეიშველეთ, ვიღუპებითო“,  
 ათასგნით ხალხი ჰყიოდა.  
 მართლაც ვუყურებ, რომ მოაქვს  
 წყალს ხალხი, ფარი, ხმალია.  
 ათასგან ციხე ირლვევა,  
 ქავ-ციხეებთან სახლია;  
 იმოდენს საბრალოობას,  
 მარტო მოზარე აკლია.  
 ჩვენ ვითომ არა გვიჭირდა,  
 ვითომ უენებლად ვიყვენით,  
 ბოლოსა ვნახე სახ-ჯარით,  
 რომ ჩვენაც გავიჩიყენით.  
 მოასქდა ღვარი ზენაით,  
 ლიბო მაპგლიჯა ციხესა  
 და შეურია ისიცა  
 დაბლა არაგვის რიყესა.  
 სახლიც წაილო ქერხოთურ  
 გაგვიყოლია ჩენენაცა,  
 მინდა ვიძახო—მიშველეთ,  
 ვეღარ ვაგებდი ენასა.  
 ბალლებს-კი გულში ვიკრავდი,  
 ხატ-ლმერთსა ვსთხოვდი შველასა,  
 თან გამოსვლასა ვცდილობდი,  
 ვეგანებოდი კიდესა;  
 ბალლებს ვაფარებ პირებზე  
 შავის მანდილის რადესა.  
 და რამდენჯერაც მავჯარდი  
 ნაპირს, იმდენჯერ მქისია,  
 კაცების სახე წინ დამხედა  
 შავები, როგორც ფისია.  
 ხელი მკრეს, წყალშივ ჩამაგდეს,

တင် ဂာလမ်မိသုက္ခာ စဲစား  
 „စာဇူ မြောက်လှ? မြှေလို့၊ မြှေဗုဏ် ဂုဏ်ဖျော်,  
 „ပို့မှုနှင့် အရှင် လွှေတော်စား!<“  
 ဇာ အမ ဇူရား ဒေသုက္ခာ ဘုရား မြိုင်၊  
 မြှေဗုဏ် မြောက် ဘုရား ကျော်၊  
 မြောက်မြောက် ဇာ မြောက်၊  
 ပုံပို့မှု စံမာ ဒီနှင့် နားစား,—  
 „ဒေသုက္ခာ မာပါးဖြစ်၊ မြိုင်စား၊  
 ရာပါ ဂျာနှင့်လွှေ့၊ ဂာဂာမြားစား၊  
 ရာသုက္ခာ ဒီနှင့်လွှေ့ ဘုရား တာဒီနှေ့၊  
 လှို့စား ဒာရ်၊ ပြို့မြောက် အောင်၊  
 ပို့မြောက် အောင် ဇူရား၊  
 ဒေသုက္ခာ ဒီနှင့်လွှေ့၊ မြိုင်စား!<“  
 မြောက်မြောက် ရာမ် မျှ မြှေဗုဏ် ဒေသုက္ခာ၊  
 မျှ ရာ စံမြိုင်မြောက် ဒေသုက္ခာ.

### စာနေ့

မာမ် ဒေသုက္ခာ မြိုင်မြောက်၊ မြှေဗုဏ်မြောက်?

### မြိုင်

ဒေသုက္ခာ. မြှေဗုဏ်မြောက်၊ စာနေ့၊  
 ဇူရား-မြောက်မြောက် ဖွံ့ဖြိုးစား.

### စာနေ့

ဒေသုက္ခာ မြိုင်မြောက်၊  
 ဇူရား-မြောက်မြောက် မြောက်မြောက်.

### စားနေ့

မြောက်မြောက်၊ မြောက်မြောက် လာမြောက်၊  
 ဇူရား-မြောက်မြောက် လာမြောက်၊  
 ဇူရား-မြောက်မြောက် လာမြောက်၊  
 ဇူရား-မြောက်မြောက် လာမြောက်၊  
 ဇူရား-မြောက်မြောက် လာမြောက်၊  
 ဇူရား-မြောက်မြောက် လာမြောက်.

ერთი დედაქაცი

აგერა ჩვენებ ვაუები,  
დედა ენაცვლოსთ მხრებშია.  
ვაჲმე, რა ლამაზებია,  
ვინ პნახავს იმათ მკვდრებშია.  
ლმერთიმც ნუ მახილებინებს  
მაგ ამბავს თავის დღეშია.

მეორე დედაქაცი

გავხედე, ჩემ უნცრუარ  
იმეებს მისდევს გვერდშია.  
რა მშვენივრები მიღიან,  
დედა ენაცვლოსთ მკერდშია.

გასათხოვარი ქალი

დამც ენაცვლება თოთიას,  
უერ—როგორ ვარჩევ ხალხშია.  
ვნახე... მძღვე საღამ ვიცანი  
მიხვრა-მოხვრაზედ, ტანშია.  
ლაგრის პირს უჭამს ულაყი,  
დაძაგრულია მკლავშია.

მეორე ქალი

ჩეენ უშიშაიც მარჯვეს ჰყავ,  
როგორ აგელებს ლურჯასა!...  
საქმე რო ხმალ-ხანჯალზე მივა,  
არც ეგ დაიწყებს კუნკვასა.  
მაშინამც მაყურებინა,  
ფარს რო დაუწყებს ბლუჯვასა.

შირგელი ქალი

მე ვერ ვნახავდი ჩემს ძმასა,  
გამიძნელებდა სუნთქვასა:

პირს სხვაგნისაკე ვიზამდო,  
თვალთ დაუწყებდი ხუჭვასა.

### მეორე ქადა

მე არა. ძმისა სიკეთე  
კარგი ყოფნა და სახელი,  
ისრე კი მინდა, ზექუავ,  
როგორც ბნელაში სანთელი,  
დამაშერალს, მომშიებულსა  
მოსვენება და საჭმელი.  
კარგია ძმისა სიკეთე,  
რო არს ყველაის სათქმელი.

### მარგელი ქადა

ეგ ვის არ უნდა, შვენაო,  
ვინ არი ისე ჭკვა თხელი?  
მაგრამ და თვალ-დამწერია,  
ძმის გასაჭირში მნახველი.

### მეორე ქადა

უმისოდ სახელს ვინ მისცემს,  
თუ კი არა ქნა საქნელი?!

### საერთო ხეა

ღმერთო, უშველე, ხატებო,  
თქვენ უწინამძლვრეთ მხედართა,  
ეგრევ უვნებლად გვაჩვენენ,  
როგორაც ეხლა ვხედავთა..

ბევრისა გული ღელავდა  
ათასნაირის შიშითა—

ნურც ვის კი გაუკვირდება,  
კაც ეს მოგვიდის ჯიშითა,  
საშიშს დროს საყვარელს საგანს  
რო ვიგონებდეთ შიშითა!..

xx

შამწკრივდა მთაზე ლაშქარი,  
დიდს ვაკეზედა გროვდება.  
თოფ-იარალის ბჟყვრიალი,  
მზის სინათლესთან სწორდება.  
ცხენთ ტერფით ჩამონაგლეჯი  
თავქვე ლოდები გორდება.  
აქვე შაექნათ თათბირი  
მტრის დასახვედრელს წესზედა:  
ვაკეს ადგილზე ჩავიდენ,  
თუ მიეგებნენ სერზედა.  
ყველანი ფეხზედა ღგანან,  
ხელები უდევთ ხმლებზედა,  
თვალები ყველამ მინდიას  
მიაპყრო, პასუხს ელოდდენ:  
ის რომ არაფერს ეტყოდა,  
ხევსურნი ერთ-ხმად ეტყოდენ.

### ლაზქარი

მუდამ შენს რჩევას ეარჩობდით,  
არც-რა ზარალი მოგვსვლია.  
როგორ მოვიქცეთ, გვირჩიე,  
შენი პასუხი მოკლია?!

### მინდია

მე ვერას გირჩევთ, ხევსურნო,  
ალარ ევარგივარ მარჩევლადა:  
ის სხვა დრო იყო, სხვა კკუა,  
ეხლა-კი ჩემი ნარჩევი  
გამოგადგებად ძნელადა.  
აწონ-დაწონეთ, ჯარი ხარი  
ფიქრი შეკარით მთელადა.



მე მარტო უნდა ვიომო,  
მიტომ გამოვედ ველადა;  
ან როდის საუკუნიდა  
მე ხალხმა გამაბელადა?!

### ღაშქარი

ლმერთი გაუწყრესთ და ზატი  
ვინც რომ შენს რჩევას იქითა  
ფეხი გადადგას საომრალ,  
თუნდ თავში სცემონ მჯილითა:  
მოკვდეს და პირი აეცის  
ცივის სამარის თიხითა.

### მანდია

კარგია... რა ვქნა, არ მწადდა  
გაერეულიყავ რჩევაში.  
გეტყვით, რადგან ჩამაქსოვეთ  
ამდენს ფიცში და წყევაში.  
სხვას ვერას გირჩევთ! დაუხვდეთ  
ქისტებს მოწამლულს ხევაში.  
უსიამოვნო ჩურჩული  
მორთეს ერთ-ურთში მხედრებმა;  
დარდი დაჭბადა ადგილმა  
ქისტების დასახვედრელმა.  
მაინც რას იზენ?... ვერაფერს,  
რაკი სთქვეს, დაიფიცესა.  
უარს ვერ იტყვის ლაშქარი,  
უნდა იქითკე ვლიდესა.  
საცა მინდიამ უჩვენა  
ადგილი სომარია,  
თუნდ ერთმაც აღარ იცოცხლოს,  
ყველაც იქ დარჩეს მკვდარია.  
აღარა ეთქმისთ, წავიდნენ,

დროშა ამართეს წინათა,  
მსუბუქად მოაბიჯებენ,  
შავარდნებს ჰეგანან მფრინავთა,  
თან გადიყოლეს მზის სხივი  
შუბისა წვერთა მპრკევინავთა.

## xx

ორი დღე არის მთას იქით  
ომია, დიდი ვაება:  
შეტად სასტიკი ბრძოლაა,  
ვეფხები ლომებს შაება  
და სისხლის თოკი მთილამა  
დაბლა ჭალამდე გაება.  
ორსვე ერთგვარად არ ჰნახას,  
ერთს გაუმარჯვებს ლეთაება.  
ხუთსა თუ ექვსსა ხევსურსა;  
შამურვილებსა სახითა,  
კაცი მოპქონდათ ხელ-და-ხელ  
შაკრული კაბალახითა,  
პირ-აქათ გადმოიყვანეს,  
დაბლა დააგდეს ვაკეზე  
და სამდურავით მიჰმართეს  
ჯავრ მოსულებმა ბაგეზე

## ხევსურნი ერთად

კაცო, რად იკლაე ძალად თავს,—  
ძალად სიკვდილი გწადიან?  
შიგნით რომ იწევ მტრის ჯარში,  
ხომ ეხედავთ, რასაც სჩადიან.  
დღემდე ჩვენ ვთელეთ ეგენი,  
ახლა ეგენი დადიან  
ჩვენზე, და იქნებ, მინდიავ,

ჩვენც მოვაგეაროთ სხვა რამე,  
 ვეცდებით, ბინდმაც ხო გვისწრო,  
 რო გავისარჯნეთ ამ ღამე.  
 ეს სთქვეს და იმ წამს გაბრუნდენ,  
 გაიქცნენ როგორც ქურდები,  
 ამოლებული ხმლები აქვთ,  
 ხელში უპყრიათ შუბები.  
 ძნელია, თუ-კი ვიფიქრებთ,  
 სიკვდილ-სიცოცხლის წუთები,  
 რა ქნან! რო შარცვენ, ძნელია,  
 ტანზე ჩაეცმისთ ჯუბები,  
 თაეს დაეხურვისთ მანდალი  
 და მოეხდებათ ქუდები,  
 თუ-კი არ გაირჯებიან,  
 როგორც ლარჩები, ცუდები.  
 ტყვე კბილებს აღრკენს და ცლილობს  
 უნდა გაიხსნას ხელები,  
 დიდხანსა წვალობს, გორაობს,  
 ვარ მისგან განაცხელები.  
 ძმებთან სწადიან სიკვდილი,  
 აღარ რჩებიან მთელები.  
 უჭირსთ და აღარსადა ჰყავ  
 ლაშქარი მისაშველები.  
 ლამეც გახშირდა კარგადა,  
 ტყვემ აისრულა წალილი,  
 ორივე ხელი გაიხსნა,  
 ფეხზე წამოდგა დალლილი  
 და ამ დროს ნახა სოფლებში  
 ცეცხლები,—ცუდი ნიშანი.  
 გაიგო, რაც მომხდარიყო,  
 აღარ უნდოდა მისანი,  
 გაშრა, გაფითრდა, ცრემლი-კი  
 არ მოსდგომოდა თვალებში;

სულ გულში ჩაგუბებულა  
 და გაბნეულა მკლავებში..  
 ქუდის იხდის... სიტყვა ველარ სთქვა,  
 ხმლის ტარს შაეხო ცერითა.  
 ამოიწვალა ქარქაშით  
 გულს მიიბჯინა წვერითა.  
 მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,  
 გადმოუვიდა ჩქერითა,  
 მთვარემაც გადმოაშუქა  
 საჯიხვეების სერითა  
 და დააშრერდა თავის მკვლელს  
 მოზარე ქალის ფერითა...  
 ნიავიც მიღ-მოდიოდა  
 უდარდოდ, ნელის მღერითა...  
 ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისას  
 ამოლერებულს ენითა,  
 შალებილს ჭიაფერადა  
 კაცის გულ-მკერდის წვენითა.  
 და გათაძაშდის მწვანეზე  
 ლალად, მოლხენით, სტვენითა.

გაუბ-ფშაველა

# მარიამ შოტლანდელი

დრამა ხუთ მოქმედებად

ბიორნსტიურნე ბიორნსონისა

## მოდევდნი პირი

მარიამ სტიუარტი, შოტლანდიის დედოფალი  
ჰუნრას დაწნდება, მისი მეუღლე, მეფედ წილებული  
ჯემსი, გრაფი მურრება, დედოფლის ძმა.

ლორდი სტიუარტი, აგრეთვე დედოფლის ძმა.  
გრაფინია არგადლი, დედოფლის ძა.

მადრენედი, გრაფი დეტინგტონი, სტარს-სეკრეტარი.  
დავიდ რიჩარდ, დედოფლის კერძო მდივანი უცხო სახელ-  
მწიფოებთან მიწერ-მოწერისათვის.

ჯემს გეფბიორნი, გრაფი ბოტველი.

გრაფი მორტონი.

ლორდი რუტენი.

ლორდი დანდსევი.

ანდრიუ კერი.

კილიამ ტეილორი, ჰაუ.

ერსკაინი, გვარდიის კაპიტანი.

ერთი მოქალაქეთაგანი.

ჯონ ნოესი.

კარის-კაცები, ჯარის-კაცები, მოქალაქენი.

(შირკელი და მეორე მოქმედება სწარმოებს სასახლე გო-  
ლეიორულში ედინბურგში 1566 წ. მარტის ამდეგს. მესამე—  
ძმავე წლის შემოდგომას. მეოთხე—1567 წ. გაზაფხულს;  
ორიგი—თვით ედინბურგში და მისს მიდამოებში. მეხუთე—  
თრი თვის შემდეგ სასახლე დენბარში.

## მოძიებება პირველი

დიდი დარბაზი სასახლე გოლეირუდში.

## გამოსვლა პირველი

(დარბაზი მორთულია სადღესასწაულოდ. ბალა. ცეკვები  
purpose\*). დედოფლი დორდ სტიუატტან ცეკვას. მო-  
თამაშეთა შორის სჩანან გრაფი დეტინგტონი გრაფინა  
არგაილთან, გრაფები მოქტონი და ბოტევლი. მარჯვე-  
ნივ აკანსცენაზე დორდი ლანდსეი, ანდრიუ კერრი და  
ერთი მოქალაქეთაგანი. სამიგეს უცნაურად შეკრიფი მუ-  
ჭი ტანისამოსი აცეა, რითაც ბერლად განიარჩევან და-  
ნარჩენთაგან. მათ უერთდება რამოდენიმე პრესკიტერია-  
ნი. უფრო გვიან აკანცენის მეორე მხარეს გამოჩნდება  
ჰიჩიონ, რომელიც დაბალის სმით ელაპარაკება ერთს აზ-  
ნაურთაგანს. ცეკვის გათავებას ცოტა უკლია, როდესაც  
უმოდის დარნლები. შემდეგი საუბარი ღწუება, მაშინ,  
როდესაც მუსიკა ან უფრო დაბლად უკრავს, ან სრულე-  
ბით განუმებულია.)

**დაინდსეა.** დახეთ, როგორ ჭიებსავით მზეზე იკლაკნებიან მო-  
თამაშენი! გესმისთ ეს მუსიკა? თვით სატანის ხარხა-  
რი ისმის მის ხმაში.

**ანდრიუპერრი.** შ... შშ... რისხა ღვთისა შთანთქავს ამ ცოდ-  
ვილთ, ვითარება ზღვამ შთანთქა ფარაონის ჯარი.

**დაინდსეა.** შეხედეთ, როგორ ეჩურჩულებიან ერთმანეთს! შეხე-  
დეთ იმათ ვნებით სავსე ღიმილს, ქალების უსირ-

\* ) ცეკვა, რომელშიაც მოთამაშენი ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

ცხვილო კაბებს! აი სად არის შხამიანი სუნთქვა ცო-  
დვისა!

ერთა მოქადაქეთაგანი. ამ სასახლეში მყოფთ ყურებამდის არ  
მიუღწევია ნოქსის ქადაგების არც ერთს სიტყვის!  
დანდესეი. დაე, მაგრე იყოს! ისრაელების წინასწარმეტყველთ  
ჰვავს ეს კაცი,— მისი სიტყვა უნაყოფოდ არ ჩაივლის:  
თვით ზეცა გაამართლებს მისს სიტყვის.

ანდრიუ-კერი. აგრე დავიდ რიჩჩიო!

რამდენიმე ხმა. ის, მარჯვნივ?

ანდრიუ კერი. ფლიდი კათოლიკ!

დანდესეი. პაპის ფარული აგნტი!

ანდრიუ კერი. ქრისტეს ახალ საზოგადოების \*) წევრი.

ერთა მოქადაქეთაგანი. ყველაზე უფრო ქვეშ-ქვეშა სატანის  
მეგობრებში!

ანდრიუ კერი. ერთი კვირა კიდევ, და თითონაც ამოყოფს თავს  
ქვესკნელში.

დანდესეი. წავიდ-წამოვიდეთ, შეუძლიათ ეჭვი აიღონ ჩვენზე!  
ანდრიუ გერი. (მოქადაქებს და სსკებს). წავიდეთ! (მოთამაშეთ  
ამჟაფარებიან. რიჩჩიო ამასობაში სცენის სიღრმეში წა-  
ვა. გამოსწედება დარნდება და გაეშურება დანდესეისაკენ,  
რომელიც მარტოდ არის და მოთამაშეთ უუურებს).

დანდესეი. (მას უკან) მილორდ!

დარნდება. (არ აძლევს ჰასებს).

დანდესეი. მილორდ, შემოუერთდით ქეშმარიტის ღმერთის თა-  
ყვანის მცემელთ! გვიხსენით ამ იეზაბელისაგან!

დარნდება. იჱ, რა რიგ წარმტაცია!

დანდესი. ეშმაქს მიუნიჭებია მისთვის ეს ძალა! გაფრთხილდით,  
მილორდ; ვვონებ, საკმარი ტანჯულხართ და გირ  
ტირნიათ ამ ქალის გამოისობით!

დარნდება. მართალია..., მაგრამ ჯადო ამ თვალთმაქცისა ყო-  
ვლად ძლიერია: ერთი მის्र დანახვა,— და ყოველი

\*) იეზუიტების ორდენი.

სევდა და ნაღველი. წამებულის გულისა, მწვავი და ცხარე ცრემლები,—ყველა ეს გავიწყდება! თვით ზე-ცას მიუნიკებია მისთვის ეს ძალა! შეხედე: გაზაფ-ხულის ბრწყინვალე დილასავით, მჩის ნათელსავით ჰფენს იგი გარშემო სიხარულს და ნეტარებას! რა-საც თვალს გადაავლებს—სკოცხლდება, პირს მიიბ-რუნებს და ყველაფერს სიბნელე იცავს... რაღაც მა-რტოობა სულს გიხუთავს!.. მხიარულება და მწუხა-რება, ლიმილი და ცრემლები—ყოველივე მისს ხელთ არის, მას ემორჩილება, მხოლოდ მით სუნთქავს და სკოცხლობს.

**დანდესეა.** შეშლილა!.. (გადის).

**დარნდეა.** ბუნების საოცრებაა ეს ქალი. რაღაც მუდმივი, შე-უმჩნევი მოელვარე სხვადასხეობაა მასში! ყოველ-დღე ვხედავ და ყოველთვის უსიტყვოდ, განცვიფ-რებული ვჩერდები მისს წინაშე: ასე მგონია, პირ-ველად ვხედავდე! არა! მხოლოდ ციეს, უსიცოცხლო მთების მწვერვალთა ყინულს შეუძლია გაუძლოს მისს მოხიბლეას, არ მოსწყურდება კიდევ და კიდევ მისი ლიმილი, მისი ხმა და მის ბაგეთა შეხება... ოჭ! რა არის უიმისოდ ქვეყნის ყველა საუნჯე, ყოველი სიმ-დიდრე, ბრწყინვალება და ძლიერება მეფისა!

(ესის ცეკვის გათხებას. დედოფალი, სტიუარტის სედზედ დაყრდნობადა, მიდის აკანსცენისაკენ, სადაც სტიუარტი მუხლს მოიდრეს, ეტუკის მადლობას, შემ-დეგ სტოკებს ერთის წამით, მოედაპარაკება მსახურს და ბრუნდება. დარნდეა სარგებლობს მისის მოშორებით და დედოფალს მიუახლოვდება).

**დარნდეა.** თქვენ უდიდებულესობასთან საუბარს მეტის მოუთ-მენლობით ველი, ვიდრე ოდესლაც ბივშეობისას მომხიბლველ ზღაპრის გაგონებას ველოდი.

**სტიუარტი.** Souper მორთმეულია; თქვენის უდიდებულესობის ბრძანებას ველით.

დედოფლი. მიიპატიერ ყველანი, ჩვენ ნუ გველიან, მე და  
მეფე აქ დავრჩებით.

სტიუარტი. (ჰესტიუებს სტიუმრებს, და უკედანი გადას თავიანთ  
დამებითურთ. ამ დროს ისმის დიდებულის მარშის  
სმა).

### გამოსტლა მიორე

#### დარნდეთ და დედოფლი

დარნდეთ. ცეკვისაგან თქვენს ლოკებზე ვარდები გაშლილან. შეიძლება, ჩემ ბაგეთა მოსაწყვეტი არ იყვნენ, მაგრამ, მოუტევეთ! არ შეუძლიათ დადუმდნენ და მაინც-და-მა-ანც ჰსურთ გამოგიცხადონ თაეისი სურავილი.

დედოფლი. მილორდ, თუ დიდი საქმე არა გაქვთ, გთხოვთ....

დარნდეთ. არა, ჩემი საქმე მეტად საყურადღებოა! მაგრამ... ნუ მელაპარაკებით ეგრე გულტივად, მე ვერ გადამიტანია ეგეთი ლაპარაკი, ეს მტანჯიეს მე... ჩემი საბრალო გული დაწყლულდა... მარიამ, რად შევიქნით ეგრე უცხონი ერთმანეთისათვის?!

დედოფლი. მილორდს ალბად ჩვენსაზე უფრო სხვა საზოგადოება მოსწონს?

დარნდეთ. განა შემიძლია მხიარული ეიყვე იქ, სადაც თქვენ ვერ გხედავთ?

დედოფლი. ლხინის მოყვარულ მეგობართა და გამართობელ ქალებ შორის მილორდი ალბად უფრო მეტ სიამოვნებას გრძნობს, ეიდრე ჩვენთან?

დარნდეთ. გვედრებით, ნუ მომაგონებთ იმ მორევს, რომელ-შიაც მხოლოდ მისთვის გადავარდი, რომ დავიწყებას მივცემოდი, დამეხშო ჩემი უსაზღვრო სევდა, ჩემი მწუ-

ხარება... ბრალი კი ვისია, ვინ არის მიზეზი, თუ არა  
მარიამ შოტლანდელი?

**დედოფალი.** მე მდებარეობით ბრალს?

**დარჩენილები.** ოჰ, გაიგეთ? ვისაც თავდაეიწყებით უყვარს, იგი  
უყელაფერს სდებს ბლალს: სიხარულს, მისთვის რომ  
იგი მეტად სასიხარულოა, მწუხარებას, მისთვის რომ  
იგი სიხარული არ არის. მე ვკარგავ დღეებს იმ  
დღიურ მუშასავით, რომელიც მეტის ფასის მოლო-  
დინით სულ არ მუშაობს... არის კიდეც ფასი, რომ-  
ლისათვისაც უყელაფრისათვის მზადა ვარ!.. თუ არა  
და არც, სიცოცხლე მინდა მაშ თქვით, რა ვქნა, რითი  
დავიბრუნო თქვენი სიყვარული?

**დედოფალი.** ვსწუხვარ, მილორდ, რომ ამისათვის ვერ წარმო-  
მიღებია საკმაოდ დიდი ფასი.

**დარჩენილები.** დიალ, თქვენ გიზების შთამომავალი ხართ,—მშვერი-  
ერი, ვით მარგალიტი და მასავით მტკიცეც!

**დედოფალი.** ანტონიუსმა გახსნა მარგალიტები ღეინოში, რო-  
მელიც დალია კლეოპატრამ.

**დარჩენილები.** მაგრამ ეს მილიონებად დაუჯდა.

**დედოფალი.** სწორედ ეს მინდოდა მომეგონებინა თქვენთვის!

**დარჩენილები.** მართალი ხართ... ლარიბი ვარ, რადგან მოკლებული  
ვარ ნებას, დამოუკიდებლობას, სიმშვიდესაც კი...  
ყოველივე ეს თქვენ მოგეცით!

**დედოფალი.** მეც მით გიხდიდით. არ ვიცი, ვინ არის დამნა-  
შავე. ვგონებ, თქვენ თითონ ვერ დააფასეთ და ვერ  
მუოარეთ თქვენს ბედნიერებას!

**დარჩენილები.** მარიამ, ჩვენის ქორწინების პირველ თვეებში მე  
ვფიქრობდი, რომ გიყვარვართ!

**დედოფალი.** მეც ეგრე მეგონა!

**დარჩენილები.** მაშ ეხლა რალად ჩამდგარა ჩვენს შუა... ეს...

**დედოფალი.** მილორდ! (გასკვას აპირებს).

**დარჩენილები.** დაიცათ, მოშითმინეთ, თორემ გვიანდა იქნება!

დედოფალი. (შეჩერდება) მემუქრებით?  
 დარნები. შენ არ იცი, სადამდე მიჰყავს კაცი სიყვარულს!  
 დედოფალი. ვიცი, კაღნიერებამდე.  
 დარნები. (სიფიცხათ). მეტამდე! მე შემეძლო დამშვიდებით...  
 ნუ მაძულებ, გარიამ... ნუ მიმიყვან უკიდურესო-  
 ბამდე.

დედოფალი. განა შემიძლია?

დარნები. ის დღე, როდესაც შეიძლება, სინანულის დღე იქ-  
 ნება ოქვენთვის.

დედოფალი. (გამსწეულით). არა, იყავ ვაჟკაცი და... ღმერთია  
 მოწამე,—ქალი ვარ.

დარნები. ოპ, ერთი მაგისთანა შემოხედვა, ერთი ეგეთი მოძ-  
 რაობა კიდევ—და ისევ გაგიუბით მიყვარხარ!

დედოფალი. მართალია, ჰენრიხ, სიყვარული შეგიძლია.

დარნები. შენ-კი, მარიამ, არა?

დედოფალი. (გაჩუქებული იღიმება).

დარნები. ეგ ღიმილი „ჰო“-საც ამბობს და „არა“-საც, ათასჯერ  
 ერთსაც და მეორესაც, მე კი ვერ მიმხვდარვარ მის  
 ნამდვილს აზრს.

დედოფალი. მხოლოდ პატი უკვირდება თავის მბრძანებლის  
 ღიმილს.

დარნები. რომ ვიცოდე, რომ არის ვინმე, ვინც ბედავს ამას,  
 მოვკლავდა.

დედოფალი. იქვნეულებაც პატის ერთ-ერთი სისუსტეა.

დარნები. უიქვნეულოდ თქვენდამი სიყვარული შეუძლებელია!

დედოფალი. მაშინაც კი, როდესაც მეც მიყვარს?

დარნები. არა, თქვენ არასოდეს და არავის არ მიეცემით მთ-  
 ლად, არ შეგიძლიათ თავ-დაეიშყებით. სიყვარული.

დედოფალი. ჩემო საბრალო დარნლეი!

დარნები. გებრალები?! მაშ მომაშორე ჩემის სევდიანობის მი-  
 ზეზი,—დაითხოვე ის, ვინც ასე მტანჯავს!

დედოფალი. მაშ ყველა კარის კაცები უნდა დავითხოვო!?

დარნდეთ. არა, შხოლოდ, ერთი!

დედოფები. მილორდ!

დარნდეთ. არის ერთი, რომელსაც უფრო ენდობით, ვიღრე  
ყველას ჩვენ ერთად.

დედოფები. ზაშასალამე, ლირსია.

დარნდეთ. მაგ უპირატესობის გამოცხადებით ვიღაც მოთრეუ-  
ლისათვის მარტო მე კი არა თქვენ შეურაცხყოფთ  
შოტლანდის კეთილ-შობილთა უკეთესს ნაწილს!

დედოფები. სხვები კი უკეთესნი არიან?

დარნდეთ, კეთილ-შობილნი არიან!

დედოფები. ვინც ჩემი ნდობა მოიხვევა, ის უკვე კეთილ-შო-  
ბილია.

დარნდეთ. მაგრამ არიან უფრო ლირსია ამ ნდობისა!

დედოფები. ყველაზედ ლირსი ის არის, ვინც საუკეთესოდ ემ-  
სახურება ჩემს ინტერესებს.

დარნდეთ. სხვებს უფრო მეტად უყვარხარ!

დედოფები. ვფიცავ პატიოსნებას, რომ მარტო სიყვარულისა-  
თვის არ მოესულვარ შოტლანდიაში.

დარნდეთ. ნეტავ ეს რიჩიოს შესახებაც მართალი იყვეს.

დედოფები. მილორდ!

დარნდეთ. ყოველგნივ მესმის ხმები და ეს ხმები ძილს მიფრთ-  
ხობენ.

დედოფები. უფრო საიმედო ბალიში ამოიდეთ თავით, ვიღრე  
ედინბურგის ჭორებია.

დარნდეთ. რაც გნებავთ უწოდეთ, გინდ ჭორები, მაგრამ მათ  
ყველანი იმეორებენ და ყველას სჯერათ ისინი დეე,  
ჩემი იჭვნეულობა გიფური, დაკოდილ ჩიტის ფრენა-  
სავით უწორი იყოს, მაგრამ მასშია მთელი ჩემი  
სიცოცხლე, მთელი სიყვარული... და გრძნო-  
ბები მაინც შეიბრალეთ!...

დედოფები. და დავითხოვო რიჩიო? არასოდეს?

დარნდეთ. ეგ არის თქვენი უკანასკნელი სიტყვა?

**დედოფალი. დიალ!**

**დარნდ.** მაშ კარგი! თუ არაფერი არ გსურთ მიშსხვერპლოთ,—  
მე შევიძლებ გარდაგიხადოთ.

**დედოფ.** აჲ, როგორ მომაბეზრეთ თავი! დავანებოთ თავი ამ  
საუბარს, მილორდ!

**დარნდ.** დიალ, მეტს აღარ ვილაპარაკებ, ხოლო საქმეს შევუ-  
დგები.

**დედოფ.** ისე ხშირად იმეორებთ მაგას, რომ თავი მომაბეზ-  
რეთ კიდევ.

**დარნდ.** მე არ მაკვირვებს, რომ დასცინით თქვენგანვე აღ-  
რულ სიყვარულს, ისიც ვაცი, რომ მაგ სიყვარულს  
შეუძლია ეშაფოტამდის მიყვანაც!

**დედოფ.** (გაჩუმებულია).

**დარნდ.** მარიამ.. არა, გველო ქალის სახით! მთიურ წყალ-  
ვარდნილის ბოროტო სულო; ხარხარით იტაცებ  
კაცსა სასიკვდილოდ და დასალუპავად! მაგრამ მიფრ-  
თხილდი!—დაგიგებ მახეს და შიგ გაგაბამ... თავს  
ზარს დაგუემ!... მოვესწრები იმ დღეს, როდესაც  
აგატირებ, შოტლანდიის მშვენიერო სფინქსო, და  
ცრემლის ნაცვლად სისხლს ვალვრევინებ!!

**დედოფ.** ეს ხომ პირველი არ იქნება! (სტარის).

**დარნდ.** მარიამ, მაპატივე; არ მესმის, რას ვამბობ. შეშლილი,  
უბედური კაცი ვარ. თვით ჩემგანვე მიხსენ. ვინ გა-  
მიქარვებს, ვინ აღმოფხვრის ჩემის გულიდამ იჭვებს,  
თუ შენ არა! ოჲ, შემიბრალე, შემიბრალე!

**დედოფ.** რიჩჩიოსთან მივდივარ! (გადის)

### გამოსცლა გისამე

**დარნდ.** (მარტო) რიჩჩიოსთან? რიჩჩიოსთან?! მეც მოვდივარ!..  
მოვკლა იგი დიდ დარბაზში შოტლანდიის ყველა  
ლორდთა თვალწინ?.. არა, ამით დავამარტებდი მხო-

ლოდ იმას და არა დედოფალს. მას უნდა დავსცე  
თავს ზარი, იგი უნდა აეათროთოლო: მას ხომ მხო-  
ლოდ ის უყვარს, ვისიც შიში აქვს! თეით არ მით-  
ხრა—იყავ ვაუ-კაციო! დიალ, მე გამოვიჩენ ვაუ-კაცო-  
ბას, ხოლო ის საქმე, რომელშიც მე ჩემ მხნეობას  
გამოვიჩენ, ელდას დაგცემს და ბავშად გარდაგაჭცევს!  
მართალია ლეტინგტონი, მორტონიც მართალია...  
სად-ლაა არიან?... რაო? მადლობა? მადლობა მას?  
დღე არ გაივლის, სასაცილოდ არ ამიგდოს! იგი  
უარყოფს ჩემს უფლებას.... მეფის სახელი მრქვია  
მხოლოდ.... იგი მიტებს ჩემს სახელს, ჩემის უფლე-  
ბით სხვას ასაჩუქრებს. იგი ჰედავს მოელ ჩემ  
მწუხარებას, მოელ უბედურებას და გულ-გრილად  
შეპსცერის მათ (შიგნით ოთახე იდან მთისმის  
მუსიკა). ეს ხმები!... ნახევარი წელიწადია მას  
აქეთ.... ქორწილში.... ალტაცებული ვუსმენდი  
მათ... ბედნიერებისა და სიყვარულის რაღაც საარაკო  
სამეფოში გარდაყავდი მათ!.. ეხლა მარტოხელი  
ვარ, შავი ფიქრები მიღრღნიან სულს... ის კი, ის  
დარჩა იქ ლხინსა და განცხრომაში.... მისი ხელი  
სხვის ხელს უჭერია! რა ადრე დადგა ჩემთვის შემო-  
დგომა, რაღაც სიცალიერეს შეუპყრია ჩემი გული,  
მასში ყველაფერი დაფანტულია, დაბულია... ოდე-  
სლაც ისიც გრძნობდა გაზაფხულს, ისიც ყვაოდა,  
მაგრამ ნაყოფს კი ვეღარ მოვესწარ! (მუსიკა ჭირ-  
ხმა-მაღლათ ჭირავს) იქ კი... ძალზედ განცხრომა და  
ვნებათა დელვა! დამაცა, დამაცა.... დადგება ღამე,  
როდესაც შემოვარდები შენთან, ჯარის კაცით ია-  
რალში ჩასმული, რომლის ბრკყვიალი ემსგავსება  
მოლურჯო ყინეას და წითლად შევღებავ ირგვლივ  
ყველაფერს!... მაშინ იწყებ თრთოლვას ჩემ წინაშე,  
ამაყო დედოფალო!... ლეტინგტონი?!. განა ჩენი  
ფიქრები ხმას იძლევიან?

## გამოსცლა გეოთხევი

დარნდეთ, ღუტინგტონი.

ღუტინგტონი. მე ეს-ეს არის მოწამე ვიყავ შემთხვევისა, რომ  
მელმაც მეტად გააკეირვა ჟველანი. დედოფალი...  
დარნდეთ. დედოფალი?!

ღუტინგტონი. ... შემოვიდა დარბაზში, მიუახლოვდა რიჩიოს  
წასჩურჩულა რადაც, გაუყარა ხელი ხელს და გაეშურ-  
ნენ შიგნით ოთახებისაკენ.

დარნდეთ. კუუზედ ვიშლები! ღმერთო, გონს მომიყვანე!

ღუტინგტონი. მე ვიდექი საფრანგეთის ელჩის მახლობლად,  
რომელმაც შენიშნა: „ნეტავ ვიცოდე, რომელ ოთახ-  
ში შეივლიან ისინი ეხლა?...“

დარნდეთ. ცილის-მწამებელი!

ღუტინგტონი. მე იმ წამსვე პასუხი მივეც, რომ შეუძლებელია  
იჭვის აღება მაგისთანა მაღალ წოდების ქალის საქ-  
ციელზედ.

დარნდეთ. არა, ლეტინგტონ, შესაძლებია და ძალიანაც შესა-  
ძლები! —

ღუტინგტონი. საფრანგეთის ელჩმა ესეც დაუმატა: „გუშინ  
ვნახეთ, რომ *monsieur* დავითი ლურჯ ხალათში  
იღებდა სააუდიენციოთ მოსულთ; იმათ შორის,  
რომელნიც ელირსნენ ამ აუდიენციას, იყო დედო-  
ფალიც.

დარნდეთ. საზიზლარი სიცრუვეა! იგი არასოდეს არ ყოფილი  
რიჩიოსთან!

ღუტინგტ. მეც ამასვე ვამბობდი და ინგლისის ელჩი, რომე-  
ლიც ამ დროს მოგვიახლოვდა ჩვენ, ეგრეთვე მხურ-  
ვალედ ეწინააღმდეგებოდა ფრანგს, რაღაც ნამდვი-  
ლად იცოდა, რომ პირიქით, რიჩიო იყო დედო-  
ფალთან ხალათში!

**დარჩევი.** ხა, ხა, ხა!

**დეტინგტ.** დიალ, სხვა უკეთესი აღარა დაგვრჩენია, გარდა სი-  
ცილისა.

**დარჩევი.** ხა, ხა, ხა! ჩემი სახელი, ჩემი სიცოცხლე! დამრ-  
ჩენია მხოლოდ ვიცინო! გატეხილი სიყვარული  
კი, ჯავრით გულ გატეხილი დედა-ჩემი, შეურა-  
ცხოვფილი სიამაყე მამა-ჩემისა,— ყოველ ამ-  
ზე მარტო სიცილიდა დამრჩენია?! ლეტინგტონ,  
თქვენ საზიზღარი ხართ! მე ცხადად ეხედავ, რომ  
თქვენ ჩემ დალუპყას სცდილობთ, მე აშასა  
ვგრძნობ... და... არც ძალმიძს წინმაღლდევობა გა-  
გიშიოთ... მხოლოდ დედოფალში შემეძლო მებოვ-  
ნა მხსნელი თქვენგან, მაგრამ იგი მიშორებს თავი-  
დან თქვენის გაუმაძლარის პატივმოყვარების საშსვერპ-  
ლოდ!

**დეტინგტ.** ვუსურვებ თქვენ უდიდებულესობას დამშვიდებას და  
სენისაგან განკურნებას! (აპირებს გასჭლას).

**დარჩევი.** მოითმინდეთ! ლეტინგტონ, თქვენ მართალი ხართ—მე  
ავად ვარ: ლამ-ლამობით არა მძინავს, მეშინია მარ-  
ტოდ დავრჩე, მეშინია არ შევიშალო... ოჰ, ლე-  
ტინგტონ, მე ხომ თითქმის ჯერ ბავშვი ვარ: ცხრა-  
მეტი წლისას მე არ შემიძლია გარდავიტანო ეს  
ბრძოლა... მე მეტად გაგიუცებით მიყვარს იგი. საკმა-  
რისია შითხრას ერთი ტკბილი სიტყვა მაინც, თუნდ  
ის, რომ იგი აღეიარებს თავის დანაშაულს, საკმა-  
რისია სინანულით მომზაროოს—და მე მიეუტევებ მას,  
მივუტევებ, ლეტინგტონ.

**დეტივეგტ.** ღმერთი და თქვენმა სახელმა გიხსნათ ამისაგან,  
მილორდ!

**დარჩევი.** რად მინდა მარტო სახელი, თუ მას არ ვეყვარები!  
ახ, ნეტავი იგი დაბრუნდებოდეს ჩემთან—მე ხელით  
ჩამოვატარებდი ევროპის უამაყეს კართა წინაშე,  
საქვეყნოდ ვალვიარებდი ჩემ სირცხვილს. დევ, მტან-

ჯოს, დევ მამციროს, ოლონდ ნუ მაკლებს ბედნიერებას მიყვარდეს იგი, ვიყო მთელ ქვეყანაზე უბედნიერესი მეუღლე! ამისთანა მეუღლედ ვიყავ კიდეც, ლეტინგტონ! ჩვენის ქორწინების პირველ ორ თვეს მისი სურვილი იყო მოლოდ ჩემთან ყოფნა. და ეს ქალი, უმშვენიერესი, ყველაზედ მეტად მომხიბლავი ევროპის ყველა ქალებში, ჩემი იყო; ყველაზე მეტად მიუწდომელი ოცნება, რომელიც ოდესმე ვანმე ჰაბუქს აფრთხოეანებდა, ჩემთვის საყოველ დღეობოვლენა იყო, და მაშინ კი მხოლოდ თვრამეტი წლისა ვიყავი! მაგრამ ასე მალე მოეღო ბოლო ყველა ამას... (სტირის).

**ლეტინგტონ.** მამაკაცი კი არ უნდა სტიროდეს, არამედ შურს იძიებდებს!

**დარნლეი.** ეს ბავშვობაა—ვიცი; მაგრამ ეხლა ღამის წყვდიალი დღეთ გარდამექტა, დღის ვარამი-კი ღამ-ღამობით მატყდება თავს!... ცრემლებშიც რომ ვერ ვპოულობდე ხანდახან დამშვიდებას უძლურთა აზრთა ბოლვა კვუაზედ შემშლილა! (სტირის).

**ლეტინგტონ.** მაშ, სჩინს უნდა გამოევთხოვოთ ყოველ ჩვენ განზრახვებს!

**დარნლეი.** აბა, რომელთ, ლეტინგტონ?

**ლეტინგტონ.** თქვენ, შეიძლება, არც-კი გსურდეთ, რომ ვინმე ჩვენთაგანმა გამოიწვიოს ეს თავხედი კაცი?

**დარნლეი.** გამოვიწვიოთ? არგუნო დავით რიჩიოსაც აარალი მივცეთ? საჭიროა უკანიდან შივეპაროთ და ოცჯერ დავსცეთ იმას ლახვარი და დაეცემა რა მკდარი კიდევ და კიდევ დავაყოლოთ, ლეტინგტონ! შემდეგ უნდა გავხადოთ ტანთ და ჩამოვკიდოთ, რომ ყველამ ზიზლით უყუროს! გესლიან მწერსავით უნდა გასრისოთის, ვინც ჟალულად მოსპო ჩემი ბედნიერება! ლეტინგტონ, მასზედ საზარელი დაწაშაული რა იქნება დე-

დამიწაზე, როგორიც არის სხვის მეულლის ნუმის.  
მოხვეჭა და მისი შეცდენა.

დეტინგტ. ოქვენ არასოდეს არ ჩაგიდენიათ მაგის მსგავსი,  
ჰენრის დარნლეი?

დარნლეი. წინად მე არა ვიცოდი რა აშისი!

დეტინგტ. მაგრამ თქვენ სრულიად დარწმუნებული ხართ,  
რომ დედოფალი გლალატობთ? როგორცა ჰენრის,  
არის ამის საბუთები; მაგრამ მათ ვერ ენდობა კაცი;  
დანამდვილებით არა იცით. რა... მით უმეტეს თუ  
გარწმუნებთ თავის უდანაშაულობაში.

დარნლეი. იგი სიცილს იწყებს ხოლმე, როდესაც ჩამოვაგდებ  
ამის შესახებ ლაპარაკს, თითქმის მარწმუნებს წინაალ-  
მდეგში!

დეტინგტ. დაუფარავად გეწინააღმდეგებათ!

დარნლეი. დიალ, დიალ დღეს მან პირდაპირ გამომიწერა საბრ-  
ძოლველად, როდესაც გამომიცხადა რიჩქოსთან მი-  
ვდივარო!

დართულებული. მავრამ შეიძლება იგი იმიტომ იქცევა ასე, რომ  
გრძნობს თავის დანაშაულობას?

დარნლეი. თუ ასეა, მაშ რად არ დამიმტკიცებს ამას? ხომ ხე-  
დავს, რა გვარ ტანჯვაში ვარ.

დეტინგტ. თქვენ მას უყვარხართ.

დარნლეი. დიალ

დეტინგტ. ამასთანავე არც ეშინია.

დარნლეი. საქმეც ეგ არის!

დეტინგტ. მის შფოთს ბუნებას უყვარს ის, ვისიც შიში აქვს!

დარნლეი. მართალია, სწორედ ეგრეა!

დეტინგტ. მაშასადამე, თუ თქვენს უდიდებულესობას შეუძლია  
გამოიწვიოს იმასში შიში...

დარნლეი. მეც სწორედ ესა მსურს, ლეტინგტონ!

დეტინგტ. ამისათვის საჭიროა სიმამაცე!

დარნლეი. ვეცდები! დევ, რაც უნდა დამემართოს!

**ლეტინგტ.** თუნდაც რომ შემოგფიცოს, რომ თქვენი ექვი უხა-  
ფუძვლოა...

**დარწმუნდება.** მართლაც — და თუ უსაფუძვლოა, ლეტინგტონ?

**ლეტინგტ.** მაგრამ მას შეუძლია თავი იმართლოს! თქვენ ხომ  
მას არ უყვარხართ და არც ეშინია თქვენი!

**დარწმუნდება.** შენ, მართალი ხარ, შენ მართალი ხარ!

**ლეტინგტ.** ხომ ხედავთ, რა ადვილი იჯერებთ ცველაფერს!

**დარწმუნდება.** ნუ გეშინია: ბოლომდე თავს გავიტან მასთან. მაგრამ  
ლეტინგტონ... მაშინ რაღა ვქნა, გაჭირებისას რომ  
მომმართოს მე, როგორც თავის კანონიერ მფარ-  
ველს?

**ლეტინგტ.** მაშინ დაეკითხეთ, რატომ უფრო აღრე არ მოგ-  
მართათ.

**დარწმუნდება.** მართალი ხარ... ეხლა იგი მერიდება, მიწვევს პირ-  
დაპირ საბრძოლველად.

**ლეტინგტ.** თუ თქვენ უკუ იქცევით უკანასკნელ წუთში — მას  
შესძულდებით კიდევ და მაშინ აღარაფერს არ მოე-  
რიდება.

**დარწმუნდება.** მართალია!

**ლეტინგტ.** ბრალიანი თუ უბრალო, ეს-კია, რომ მან უნდა  
სხეის ბატონობა იგრძნოს!..

**დარწმუნდება.** თუ ასე არა, ჩემი სიცოცხლე ჯოჯოხეთის წვალება  
იქნება; სევდა-ცრემლებით მოცული გზა, ტანჯვით  
სავსე ხანგრძლივი სიკვდილი!

**ლეტინგტ.** უნდა მოვახსენო თქვენ უდიდებულესობას, რომ  
სწორედ ამ უკანასკნელ დღეებში იმისა და რიჩჩიოს.  
შორის ჩამოვარდა უფრო მჭიდრო ურთიერთობა.

**დარწმუნდება.** ეს საიდან გაიგე?

**ლეტინგტ.** აუარებელი საჩუქრები მიართვეს რიჩჩიოს: ერთი მისი  
ტანისამოსი რამოდენიმე ათას გირვანქს სტერლინგად  
ღირს.

**დარწმუნდება.** იღმაშფოთებელია, საზიზლარია!

**დატინგტ.** მის ძვირფას თვლების კოლექციას დედოფალმა მიუმატა რამდენიმე სამეფო ძვირფასი ნიერი.

**დარნდები.** და, ამის შემდეგ შეიძლება კიდევ ყოყმანი! ოჯ, ლეტინგტონ, მე დავაბრუნე უკან მურრე, მთელი მისი განრისხული პარტია და შეუერთდი ჩემ მტრებს; მე მზად ვარ დავუკავშირდე თვით სატანას, ოლონდაც ყოველი ეს სირცხვილი, ყველა ეს ტანჯვები აწ ამ-შორდებოდეს!

**დატინგტ.** მურრეი ბრუნდება... უნდა დავუჩქაროთ...

**დარნდები.** მოდი ხვალ ჩემთან; საჭიროა მოვილაპარაკოთ, ყველანი ფეხზე დააყენე! აბა, დაუჩქარე, დაუჩქარე! თორემ, თუ ჩემმა მღელვარე სისხლმა ვერ იპოვა საშველი მოქმედებაში, მე დამიღრჩობს სიბოროტე და წყურვილი შერისძიებისა!

**დატინგტ.** ჩუმად, თქვენო უდიდებულესობავ, — აქეთ მოდიან.

**დარნდები.** სული მეხუთება, ჩემთვის საჭიროა ჰაერი და თავისუფლება! ლეტინგტონ, გამოგზავნეთ ვინმე ჩემ მსახურთაგანი, უბრძანეთ გამომყენ თან; შევჯდები ცხენზე და გავსწევ ტყისაკენ!

**დატანგტ.** ეხლა ხომ ბნელი ლამეა?

**დარნდები.** სწორედ ისეთია, როგორც მე მინდა! (გადის. დატინგტონი მას თან მაჭუკება, მაგრამ კარებში მსახურებს შეჩება).

**დატინგტ.** (მსახურს) უთხარით მეფის მსახურებს, რომ მისი უდიდებულესობა ცხენით წასვლას აპირებს. ჩქარა! (მსახური გადის)

### გამოსვლა გეხუთი

დატინგტონი, მთარტონი.

**დატანგტ.** საბრალო დარნლეი! (დაინახავს თუ არა კარებში მორტონს, განაკრძობს) აქ არავინ არ არის!

**მთარგონი.** (უქერძება) შეუძლიათ შემოვიდნენ!

**ღვრიანგტ.** პნახეთ, მილორდ, დედოფლის ახალი სურათი! (გაჩერძება სურათის წინ, მორტონი მიუსდომელება და გჩერძით ამოუდგება) რა საოცარი მსგავსება!

**მთარგონი.** სახის გამომეტყველება, ჩემის აზრით, მეტად ამაყი აქვს.

**ღვრიანგტ.** ვფიქრობ, ეს შესაძლოა გასწორდეს.

**მთარგონი.** თქვენ სცადეთ?

**ღვრიანგტ.** დარწმუნებული ვარ, რომ ეს შესაძლებელია.

**მთარგონი.** მაშ ასე—ყველანი თანახმანი არიან?

**ღვრიანგტ.** სრულიად.

**მთარგონი.** დრო-კი?

**ღვრიანგტ.** (ჩუმად) ეხლავე! დაყოვნება აღარ შეიძლება. ისპანის სუბსიდია უკვე მიღებულია, განდევნილთა ქონებაც მას ჩაუვარდება ხელთ. ერთხ კვირეც არ გავა,— იგი, პირდაპირ გამოიწვევს საბრძოლველად პროტესტანტებს და ინგლისს... მისი მოკავშირენი— მთელი ევროპაა!

**მთარგონი.** (ჩუმად) მაშ—ხვალ.

**ღვრიანგტ.** (ეგრეთვე) ხვალ, ეოქსის სახლში, ნაშუადლევის ოთხ საათზედ.

**მთარგონი.** (ეგრეთვე) მაგრამ იმათ გზა მიიკალიეს. შეფეხს წამოსცდა. ლორდ სტუარტმა გაიგონა მისი მუქარა.

**ღვრიანგტ.** მაშ თუ ასეა, უნდა დაფუძნიოთ გზა და კეალი.

**მთარგონი.** თქვენ ამბობდით მურეის ბეჭედზედ, რომელითაც გსურდათ პირი დაგეცოთ იტალიელისათვის; ი ეს ბეჭედი (აძლევს მას).

**ღვრიანგტ.** კარგი, მეტს ნუ-ლა ვილაპარაკებთ აქ!

**მთარგონი.** (ხმა მაღდა) მართლაც-და საუცხოვო სურათია, საჭიროა მხოლოდ გარდაკეთდეს ეს მეტის-მეტი ბრძნებითი გამომეტყველება.

ଅପ୍ରିନ୍ଦଗ୍ରୀ. (କହିଲେ) ଏ ଘରେଟ୍ଟେ ଖଣ୍ଡା କାମରେପାଳିକୁ ପରା-  
ଲିଖିରି ସାହେଲି! (ମରନ୍ତିକାଳେ ଠିକ୍‌ଲାଙ୍ଘିବା ସଫ୍ରେନିଲେ ସବଳକ-  
ମ୍ବାକି) ଏଥିର ରିକିନ୍କିପ୍ ମନ୍ଦିର—ଯେ! ଶତ୍ରୁଧିନଙ୍କୁ ଗଲା-  
କାରାକ୍ଷେତ୍ରା! (ଗୁରୁତ୍ବିଲେ)

### ବାହାରିଷିଲା ପାହାରିଷିଲା

ରାଜିନୀତି ଏବଂ ଶତ୍ରୁଧିନଙ୍କିରୀ.

ରାଜିନୀତି. ମେ-କି ମାନ୍ଦିପ୍ ଆଜେ ପାହାରିଷିଲା, ରାଜି ମିଲାରିଲା ଦଳିଲିନି  
ଦଳାନିଲାଏବା ମନିକାନ୍ତରେବାନି, ଗାନ୍ଧିଜୀବନ୍ଦୁଙ୍କ ମୁଖରକ୍ଷେତ୍ର ନିର୍ମା-  
ଣିଲାଏବା ଗାନ୍ଧିଚାପଦେଶକ୍ଷିତି ନିମ୍ନଲିଖିତରେ, ମାନ୍ଦିପ୍ ତାରିଖିକ୍—ଯୁ-  
କ୍ରମିକ୍ ମନ୍ଦିରମାର୍ଗରେବାନିକା, ଗଲାକ୍ଷିତାବିଧିରେ ଏହା ତାରିଖିକ୍ ଶେଷ-  
କ୍ରମିକ୍ ଏତମାର୍ଗରେବାନିକାକିମ୍ବା, ଏହା ତାରିଖିକ୍ ଶେଷ-  
କ୍ରମିକ୍ ଏତମାର୍ଗରେବାନିକାକିମ୍ବା, ଏହା ତାରିଖିକ୍ ଶେଷ-  
କ୍ରମିକ୍ ଏତମାର୍ଗରେବାନିକାକିମ୍ବା, ଏହା ତାରିଖିକ୍ ଶେଷ-  
କ୍ରମିକ୍ ଏତମାର୍ଗରେବାନିକାକିମ୍ବା?

ରାଜିନୀତି. ଏକାନ୍ତରେ କି ଏହା, monsieur. ମେ ଏକାନ୍ତରେବାକେ ଏହା ମନ-  
ମନ୍ଦିରକ୍ଷେତ୍ରରେ ଏହା, ଯାରେବେ!

ରାଜିନୀତି. ଏକାନ୍ତରେବାକେ ଯାରେବେ ଏହା କିମ୍ବା?

ଶତ୍ରୁଧିନଙ୍କି. (ଶେଷିନ୍ଦ୍ରିୟରେ) ବେଳେବେ ମନ୍ଦିରରେବା! ପ୍ରମାଣାଦ ପ୍ରମାଣାଦ  
ଦେବତାମନ୍ଦିରରେବା, ଶେଷ ପାଦ ମନ୍ଦିରରେବା ମନ୍ଦିରରେବା ସା-  
ମନ୍ଦିରରେବା ଏହା ମନ୍ଦିରରେବା ଏହା ମନ୍ଦିରରେବା!

ଶତ୍ରୁଧିନଙ୍କି. ମେ ମାନ୍ଦିପ୍ ପାହାରିଷିଲା ମନ୍ଦିରରେବା ମନ୍ଦିରରେବା!  
ମନ୍ଦିରରେବା!

ରାଜିନୀତି. ପାହାରିଷିଲା ମନ୍ଦିରରେବା ଏହା କିମ୍ବା?

ଶତ୍ରୁଧିନଙ୍କି. madame ma saeur,-ମା କାରିଗାର ଏହାକି, ରାଜି ପାହାରିଷିଲା ମନ୍ଦିରରେବା  
ଗାନ୍ଧିଚାକାନ୍ତରେବା ମନ୍ଦିରରେବା ଏହାକି, ଏହାକି ମନ୍ଦିରରେବା ଏହାକି  
ଗାନ୍ଧିଚାକାନ୍ତରେବା ଏହାକି, ଏହାକି ମନ୍ଦିରରେବା ଏହାକି, ଏହାକି  
ଏହାକି ଏହାକି ଏହାକି ଏହାକି ଏହାକି ଏହାକି ଏହାକି ଏହାକି

ରାଜିନୀତି. ଏହାକି ଏହାକି ଏହାକି ଏହାକି ଏହାକି ଏହାକି

**სტურტი.** monsieur-მ იცის, რომ იგი არ უყვარს ჩვენ კეთილ-  
შობილ წოდებას.

**რიჩით.** წმინდა ანტონი პალუელი, ჩემი მფარველი, მიხსნის  
მე ბოროტ ადამიანთაგან. დელოფალი, ჩემი მაღალი  
შფარველი და მოწყალე მიხსნის მე განსაცდელისა  
გან.

**სტურტი.** საჭიროა monsieur-მ მოელაპარაკოს კაპიტან ერსკაინს,  
აი ვის შეუძლია ყველაზე უკეთ მისი დაცვა.

**რიჩით.** ვმაღლობ მილორდს; ვჰცდები მას მოველაპარაკო.

**სტურტი.** ყველა ეს მითვის მოგახსენე monsieur-ს, რომ დე-  
ლოფალი სწალობს მას. monsieur, მე კოტილიონი  
მელის.

**რიჩით.** მილორდ! (სტურტი გადის)

## გამოსტოლა ჩეზილე

რიჩით, ლეტინგტონი

**რიჩით.** მალული მკვლელობა! (მიბრუნდება და დაინასაკს თუ  
არა თავის უქან ლეტინგტონს, შეშესაგან შეგროვება)

**ლეტინგტი.** თქვენ გეშინიათ, რომ მოგელავთ?

**რიჩით.** ვინ მოგახსენათ?

**ლეტინგტი.** მე უნდა მოგელაპარაკოთ. მე გამომგზავნა გრაფ მორ  
ტონმა. უნდა მოგახსენოთ, რომ გრაფს არ უყვარს  
თქვენთან ლაპარაკი.

**რიჩით.** კარგი მოციქული უშოງიხართ.

**ლეტინგტი.** თვით კი მას უფრო წარჩინებულ პირისაგან აქვს  
მონდობილობა.

**რიჩით.** ვისგან?

**ლეტინგტი.** მურრეისაგან.

**რიჩით.** სრულიად არ მერტერესება არც მურრეის და არც  
მის ახლობელთა საქმეები.

**ლეტინგტ.** მაკრამ, შეიძლება, მე შევიძლო გამოვიწვიო თქვენ-  
ში რაოდე ინტერესი ამ საქმეებისაღმი.

**რიჩარდ.** ვეპვ, რომ გამოიწვიოთ (ჯდება).

**ლეტინგტ.** (თავისთვის) ჯდება!...

**რიჩარდ.** დაბრძანდით უფალო სტატს-სეკრეტარო.

**ლეტინგტ.** დიდად დავალებ ულივარ თქვენგან, უფალო პრი-  
ვატ-სეკრეტარო (ჯდება ნახევარ ზურგ შექცეული მის-  
ჲენ და თრივ ფეხებს სკამზედ დაწყობს). მიბრ-  
ძანეთ, დავით რიჩარდი, ეკეპ რაიმე ვნება გაღე-  
ლვებთ?

**რიჩარდ.** პოლიტიკულისათვის ვნებანი არ არიან ხელსაყ-  
რელნი.

**ლეტინგტ.** შენიშვნა იმდენად კეშმარიტია, რომ მე თვით არა  
ერთხელ მქონდა შემთხვევა, მესარგებლნა მით. მიუ-  
ხედავად ამისა... (ათამაშებს მუზრების ბეჭედს)

**რიჩარდ.** გრაფ! მდონია—არავის შეუძლია თავის თავზედ  
სთქვას, რომ იგი ვნებათავარ თავისუფალია?

**ლეტინგტ.** (რიჩარდად) დიალ!

**რიჩარდ.** თუ ასეა, საჭიროა რომ ეს ვნებანი ყოველისფერში  
ჩვენ მიზნებს ემსახურებოდნენ.

**ლეტინგტ.** ...რომ ისინი სხვის ხელში საჰამაშონი არ გახდნენ,  
ეს ასეა...

**რიჩარდ.** ჩემის მუდმივის გამარჯვების ასენა რომ მინდოდეს,  
მე სწორედ მაგას მივაწერდი.

**ლეტინგტ.** თქვენ ერთის მხრივ მართალი ხართ.

**რიჩარდ.** შოტლანდიელები მუდამ გატაცებულნი არიან რი-  
თიმე: ხან ვერას ვზით ვერ განუშორებიათ ფიქრიდან  
მაშაპაპათა რომელიმე ჩვეულება, ხან იმათ აშფოთებს  
რომელიმე აუსრულებელია ოცნება, ხან შურის-ძიე-  
ბის გრძნობა, ხან პატივმოყვაოს განზრახვანის  
მიტომაც მარტიდებიან ეგრე ხშირად.

დეტინგტ. მეტადრე ჩვენ აღშფოთებით სავსე, გარდამავალ დროს, როდესაც მთელი მხარე სარწმუნოების გამო გაიყო ორ მოპირდაპირე ბანაკად.

რაჩით. მე მოვედი აქ უცხო, მარტოდ-მარტო; მე ერთი მიზანი ზაქს—ვიყო ჩემის დედოფლის ერთგული და გამოსადევი მსახური.

დეტინგტ. მიტომაც არის, რომ ყველასაგან გარჩევთ თქვენ,— ეს სრულიად აუცილებელია.

რაჩით. თუ აუცილებელი არ არის, იმის თქმა მაინც არ შეიძლება, რომ ეს გონივრული არ იყოს.

დეტინგტ. დიალ, დიალ!

რაჩით. სხვა-და-სხვა გარემოებაც ამას მოწმობს.

დეტინგტ. დიალ, ეხლა გვარიანად მიდის კათოლიკეთა საქმე.

რაჩით. რა საუცხოვო ბეჭდი აქვს გრაფს!

დეტინგტ. ძვირფასიც,— ხომ-კი?

რაჩით (ადგება) იშეგათად მინახავს ამისთანა ბრკუვიალი! მაგრამ რას ვამბობ? იგი დედოფლის ყველა ბრილიანტებზე ძვირფასია!

დეტინგტ. მოხარული ვარ, რომ ერთმა მაინც შესძლო მისი დაფასება.

რაჩით. მე ძლიერ მიყვარს ლამაზი თვლები, მე თვითონ მთელი კოლლექცია მაქას.

დეტინგტ. თქვენ თუ ძვირფასის თვლების მიყვარული ხართ, მაშ ესეც უნდა გამოიცნოთ: როგორც მცოდნეს, მახვილი თვალი გექნებათ.

რაჩით. (ახლო დასოვალიერების რა ბეჭედს, ამბობს) გრაფ მურ-რეისაა! თქვენ იყიდეთ?

დეტინგტ. არა, აპირებს ჩუქებას.

რაჩით. ეგეთი ძვირფასი რამ... ეს უნდა აჩუქოს?

დეტინგტ. თქვენ, დავით რაჩით.

რაჩით. მც!

**დატაგტ.** (დგპბ) ამაყი გრაფი მურრეი გთხოვთ თქვენ იშუა-  
მდგომლოთ მისის დის წინაშე, დედოფლის წინაშე. აი  
თქვენთვის უკეთესი დამამტკიცებელი საბუთი გარე-  
მოებათა ცვლილებისა და თქვენის ძლევა პოსილობას!  
პროტესტანტების პარტია, ამ რამდენიმე წლის წი-  
ნად ყოვლად ძალუმი, ეხლა მისულა იმისთანა უკი-  
დურესობამდე, რომ იმის ბელადი იძულებულია პა-  
პის ფარულ აგენტს სთხოებს წყალობა.

**რაჩხით.** თქვენ ეს გწყინთ, გრაფ ლეტინგტონ?

**დატანკტ.** სწორედ მეწყინა, ვერ დავფარავ.

**რაჩხით.** ძლიერ ვსწუხვარ გრაფ მურრეის უბედურ მდგომა-  
რეობას, მაგრამ მის აქ დაბრუნებას ხელი მოვუმართო  
არ შემიძლიან!

**დატანკტ.** თქვენ არა გსურთ?

**რაჩხით.** მე მცმის,—თქვენის ჩვეულებრივ გამსჭვრეტელობით  
თქვენ შეიძელით ჩემის ვნების გამოცნობა, მაგრამ  
ამ შემთხვევაში სამწუხაროდ, იგი ეწინააღმდეგება—  
დელოფლის პოლიტიკას. Au revoir! (გასვლას ჰა-  
რბს)

**დატანგტ.** (ადებს ბუსრის კაცს და უნდა შეაგდოს შიგ ბეჭედი).

**რაჩხით.** რას შვრებით?

**დატანგტ.** ეხლა არაეითარი მნიშვნელობა აღარ აქვს ამ ბეჭედს.

**რაჩხით.** ეს ხომ მთელი ქანებაა, იმაზედ მეტი, რაც მე მაქვა.

**დატანგტ.** თქვენ გსურთ დაიხსნათ იგი?

**რაჩხით.** რასაკვირველია.

**დატანგტ.** მაშ წაილეთ!

**რაჩხით.** არა, გარდაეცით დელოფალს, დაე მან შეინახოს იგო  
გრაფისათვის.

**დატანგტ.** გრაფისათვის?.. (უნდა შეაგდოს ბეჭედი ბუსრში).

**რაჩხით.** თქვენ მასი ფასი არ იცით, არ იცით რის გადა-  
გდებას აპირებთ!

**დატანგტ.** თქვენ თვითონ ხომ შეგიძლიათ მისი შენახვა.

**რიჩით.** შენახვა? მე ამაზედ თანახმა ვარ... მხოლოდ იმ პირობით, რომ ამან მე გზა არ გადამიღობოს და მე შემეძლოს დაკუცვა სრული თავისუფლება მოქმედებისა.

**დეტინგტ.** მაგრამ მაინც დედი იგი იყოს თქვენთვის ყოველდღიური რი მომკონებელი იმისა, თუ რა მდგომარეობა ში იმყოფება დედოფლის ძმა (აძლევს ბეჭედს)

**რიჩით.** (გამოართმევს) და ყოველ დღიური მომკონებელი იმ ამაყურ როლისა, რომელიც მე დღეს მხვდა წილად.

**დეტინგტ.** თქვენ ამის უფლება, რასაკირველია,—გაქვთ. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ევეთი თავმდაბლობა გრაფ მურრეის მხრივ ტყუილად არ ჩაივლის.

**რიჩით.** თქვენ თვითონ უნდა მიხვდეთ, რომ ამ გვარ დამამტკიცებელის საბუთის შემდეგ შემიძლია არ ვიქონიო გრაფ მურრეის და მისის პარტნერის შიში. აი ყოველივე, რაც სათქმელი მქონდა.

## გამოსტოლა მერვე

(იგინივე დოროდ სტუარტ შემდეგ დედოფალი)

**სტუარტი.** monsieur, madame ma soeur უბრძანებს მას გამოეცხადოს!

**დეტინგტ.** ბატონ მდივანი!

**რიჩით.** მილორდ! (დეტინგტონი გიდას)

**რიჩით.** სად იმყოფება მისი ულილებულესობა?

**სტუარტი.** მე გავიძლვებით monsieur.

**რიჩით.** იმ რჩევის შესახებ, რომელიც მომცა მე მილორდმა, — შემიძლია დაბეჯიშებით ვსთქვა, რომ იგი სრულიად მეტი იყო!

**სტუარტი.** მაშ თუ ასეა, მე მიხარის monsieur ს მაგიერ.

**რიჩით.** ჩელში იარაღით კი არა, ვედრებითა და სხვა-და-  
სხვა საჩუქრებით აღვსილი ხელებით გვძებნიან. და ის  
სასაცილო პირს გრეხა, რომლითაც ვალდებულიად  
ჰრაცხვენ თავს შემხვდნენ ზოგიერთი პირები ამ სასა-  
ხლეში, არასოდეს არ მჩვენებია ეგრე მშვენიერი,  
როგორც სწორედ ეხლა. Au revoir! ... მაგრამ აი  
თვით დედოფალიც!

**სტუარტი.** მისი ჩეცულებრივი მოჯთმენლობა გარდადის ყო-  
ველ საზღვარს სამეფოს კარის წესისას!

**დედოფ.** სტუარტი, დაგვტოვე მარტოდ! თყალი გეჭიროს, არ  
დაგვიშალოს ვინმერ!

**სტუარტი.** ცეკვის შესხებ რაღას მიბრძანებთ?..

**დედოფ.** ჯერ საქმე და მერმე ცეკვა! კარი გაიხურე!

**სტუარტი.** (თავისითვის) არ ვიცი, რა ვიფიქრო! (გადის)

## გამოსილა მეცხრე

### რიჩით და დედოფლა.

**დედოფ.** რას უნდა ნიშნავდეს, რიჩით,—აი აგერ მესამეჯერ  
მეუბნებიან მე თავდასხმაზედ?

**რიჩით.** თქვენ უდიდებულესობასაც?

**დედოფ.** როგორ, შენც?

**რიჩით.** აი, ეს-ეს არის მითხრეს!

**დედოფ.** საოცრებაა. ერთის საათის წინ მემუქრებოდა მეფე.

**რიჩით.** თქვენ უდიდებულესობას ჰვონია, რომ მას კავშირი  
აქვს...

**დედოფ.** ვისთან?

**რიჩით.** მათთან, რომელნიც აპირებენ თავს დაცემას?..

**დედოფ.** ვინ აპირებს თავს დაცემას?

**რიჩით.** არ ვიცი... (ჰაუზი) ეგებ გაძევებული პარტია?

- დედოფლი.** ჩემი ძმა, გრაფ მურავეი?.. მერე, დარნლეი დაუკავშირდა ჩემ... თავის მტერს? მაგრამ რა უნდა მომხდარიყო ასეთი?
- რაჩწმო.** ეს უკეთ უნდა იცოდეს თქვენმა უდიდებულესობამ.
- დედოფლი.** იგი დღეს მოხვდა მე... (შეჩერდება, შესცემის რიჩჩიოს და იცინის) დარნლეი—შეშლილია, ყოველი ეს მოგონილია!
- რაჩწმო.** თქვენი უზიდებულესობა ყოველთვის ეგრე აუღეს-ვებელი, ეკრე დარწმუნებული...
- დედოფლი.** გაქვს განა შენ დამამტკაცებელი საბუთები?
- რაჩწმო.** თქვენი უდიდებულესობაც, ცნობილობით ამ ბეჭედში?
- დედოფლი.** ჩემი ძმისაა.
- რაჩწმო.** ამ ბეჭედით გრაფ მურავეის ჰერის გაინათოს დაბრუნებისას გზა მიმავალი თქვენის უდიდებულესობის სასტუმრო დარბაზისაკენ.
- დედოფლი.** შენის დახმარებით?
- რაჩწმო.** სცდილობდნენ... მაგრამ აი ბეჭედი (ჟნდა მისცეს, მაგრამ იგი არ ართმევს).
- დედოფლი.** რიჩჩიო, დიდ მნიშვნელობას გაწერენ აქ?
- რაჩწმო.** მისთვის მხოლოდ, რომ მომაკლონ თქვენის უდიდებულესობის ნდობა, აი ბეჭედი!
- დედოფლი.** (არ ართმევს) მითხარ, რიჩჩიო, რატომ ხარ სხვებზე უფრო ჩემი ერთგული.
- რაჩწმო.** უკეთესი იქნებოდა ვიფიქროთ სხვა გარემოებაზედ! რა მიზეზია, რომ, როდესაც თავდასხმაზედ ლაპარაკობენ, იმავე დროს სცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ჩენ საშიშარი არა მოვეელის რა?
- დადოფლი.** შენზე წინადაც ბევრი მყვანდა მე ერთგული მსახური, მაგრამ ყოველ მათგანს ჰქონდა განსაკუთრებული განზრახვა, რომელსაც მე გამოვიცნობდი ხოლმე...

**რაჩხით.** თქვენი უდიდებულესობავ, ეჭვი არ არის, რომ თქვენ  
გარს გახვევიან ფარული ბოროტმოქმედნი; გარეგ-  
ნობით მე დამშვიდებული ვიყავ, მაგრამ ნამდვილად  
კი ასე არ იყო!

**დედოფ.** შენ დიდი იმედი უნდა გქონდეს ჩვენის წყალობისა  
დავით რიჩჩიო, რომ პასუხსაც არ იძლევი ჩვენ კორ-  
ხეაზედ!

**დაჩხათ.** მე პასუხს არ ვიძლევი, იმიტომ რომ ყველაფერში  
მხოლოდ ცბიერობას ვამჩნევ! სცდილობენ ჩემი თავი  
შეგაძულონ თქვენის უდიდებულესობის ნდობა მომა-  
კლონ და ეგეთ მძიმე დროს!..

**დედოფ.** მე შომბეზრდა კიდეც ის მნიშვნელობა, რომელსაც  
გაწყრენ შენ სხვები! ეკონებ, არც შენ ხარ ამზედ  
უარს!..

**რაჩხათ.** თქვენი უდიდებულესობავ, თქვენ უმართებულოდ  
მეპყრობით!.. მაგრამ ვეცდები, მოვითმინო ესეც. .ისე  
როგორც ყოველ დღე ვითმენ თქვენის უდიდე-  
ბულესობის მიზგზით მრავალ შეურაცხყოფას.

**დედოფ.** მაშ მითხარი, რა გაიძულებს ამას? რაღასაც ჰე-  
ლავ...

**რაჩხით.** თუ ჩემს ქცევაში არის რამე გაუგებარი თქვენი  
დიდებულესობისათვის, ჩემი თავდადებული სამსა-  
ხური თქვენის ტახტისადმი და ეს პოლიტიკა, რომელ-  
საც მოუტანია და ეხლაც მოაქვს კიდევ მშვენიერი  
ნაყოფი კათოლიკეთა საქმისათვის,—თავდებია ჩემის  
თქვენდამი ერთგულებისა!

**დედოფ.** მართალია... მაგრამ რათ უნდა მესმოდეს მუდმივ  
უგეთი სიტყვები, რათ უნდა ვიყო ნიადაგ შენს მო-  
ეალედ, რად არა ვსურს, მაგალითად, კეთილშო-  
ბილობის ლირსებით იყო დაჯილდოვებული?

**რაჩხით.** ეს ჩემთვის მაენებელი იქმნებოდა.

**დედოფ.** მაღალ ხარისხზედ კი რას იტყვი?

- რიჩიო.** მე ვერ მიმიზიდავს ვერავითარი ისეთი რამე, რასაც  
მხოლოდ არა მტკიცე, წუთიერი ბნიშვნელობა აქვს.  
**დედოფ.** ფული, ძეირთასი თვლები...  
**რიჩიო.** პო, ასეთი ნივთები არასოდეს არ ჰყარგავენ თავის  
ფასს.  
**დედოფ.** არც ძეირთასი სამჯაული...  
**რიჩიო.** ბუნებამ არ მარგუნა მე სილამაზე, და მე უნდა  
ვეცადო იგი რაც შეიძლება ნაკლებად გამოვა-  
ფინო. მაგრამ თქვენო უდიდებულესობავ, ნუ გამო-  
ვუდგებით წერილმანს და ნუ დავივიწყებთ იმ დიდ  
ხითათს, რომლის პირველი შავი აჩრდილი გვემუქ-  
რება კიდეც ჩვენ შორიდამ! ლეტინგტონს რაღაც  
განუზრახავს, მურჩეოს და მორტონსაც ეგრეთვე; მე  
თავი ისე ვაჩვენე, თოთქო არაფრის ეჭვი არა მაქვს  
და დამშვიდებული ვარ, მაგრამ შემეშინდა-კი! მათ  
მრავალი მომხრენი უნდა ჰყავდეთ; შეთქმულობა იმ-  
დენად გავრცელდა, რომ ისეთი თავ მოყვარე, გან-  
საკუთრებით თავის თავის მოტრფიალე კაციც-კი, რო-  
გორიც არის ლორდ სტუარტი, ისიც-კი რაღასაც  
გრძნობს... საჭიროა, ღამით გავგზავნოთ მზერავნი;  
დიდ ტყეებში კოცონები მოსჩანან.  
**დედოფ.** აგერ სამჯერ დააპირეს ჩემის სიცოცხლის მოსპობა,  
მაგრამ მე მაინც უვნებელი დავრჩი. მე ამას არა-  
ვითარ ყურადღებას არ ვაქცევ!  
**რიჩიათ.** თქვენ უდიდებულესობას დიდი სიმამაცე იტყვია...  
**დედოფ.** შენ კი—გაკლია ევ სიმამაცე, განა?..  
**რიჩიო.** მიტომ რომ მე ვზრუნავ თქვენის უდიდებულესობის  
კეთილდღეობისათვის.  
**დედოფ.** კი მაგრამ რატომ? რატომ ითმენ ჩემ უინს და სხვების  
ცილის-წამებას?  
**რიჩიო.** (გააჩხდებულ) როდესაც ბავშვს მოვზეზრდება ჭია-  
ნური, რომელზედაც იგი უკრაედა, უნდა დაამსხვროს  
იგი, რათა გაიგოს, რა არის შიგ!..

**დედოფ.** მაშ ასე—იმ დღეს როდესაც კ ხავ, რას წარმოადგენ უგნ..

**დედოფლი.** განა არ შეიძლება ხელ-ახლად შეეკრათ ის ჭიანუ-  
რი, როდესაც ვნახავ, რა არის შიგ?..

କବିହିତ. ଠରା, ଏଣୁ ଶ୍ରୀପଦଲୟରେ!

**Էղագաց.** Բա՛՛, Սիանս, Շըն՛՛ օմալոցի հալու՞յ առաջ հարցութեալու՞՞՞

፩፻፭፯- የብጀነት!

କୋରିବାଳ. ତମେବନ୍ତ ପ୍ରଲିଙ୍ଗବ୍ୟାଲ୍ପିସନ୍ଦାବ...

**დედოფ.** (ერთად) ჩვენი ერთად მოქმედება შეუძლებელი ხდება: ნილაბოსანს არ შემიძლია ველაპარაკო გულ-ახდილა.

**ଅଧିକାର.** ତ୍ରୈଯେନ ଶ୍ରେଣୀକାର ଉଲ୍ଲମ୍ବନଦ୍ୟାଳୀ ପ୍ରକାର,—ମେ ଏହା କାର୍ଗିଲ ପିଲାଙ୍କୁ-

**ԷՎԾՈՅ.** մոտեար! ցանք ՇԵՆ զուսոմք ցը՛՛նուան, հռամ առա ցեղին  
հյեմտան ցուլուածուունո ույո՞ւ

**რამზად.** ვსოდოვ თქვენ უდიდებულესობას ნება შომცეს აქე-  
დან წასვლისა!

**ଜ୍ଞାନୋତ୍ସୁଦ୍ଧି:** ଶ୍ରୀ ପ୍ରମାଣିନୀଙ୍କ ଶ୍ରୀନିବେଶ ମହାରାଜୀ—ମହାତ୍ମା?

ଶ୍ରୀ କୃତ୍ତବ୍ୟାମିନ୍ଦ୍ରା

დედოფლი. თავად-აზნაურობისა? ან ეგებ გსურს შენ რაიმე ბრწყინვალე წარჩინება... კარგი, შენი სურვილი აღსრულებული იქნება. თავად-აზნაურობას ყურადღებას არ მივაჭრევ!

କୌଣସିବାରୁ ମେ ତାଙ୍ଗାରୁ-ଦିନଙ୍କରିବିଲେ କୁ ଠା ମେଶିନରୁ...

**Հյանդագիր** Յու, մցըմուս: յըրութիւն օնքութեա, մազրամ Մյեն եռթ ոլոր, հոկիուու, հոռթ մյ կողաշչեր յըրութիւն պատճեալ առ զատեռ-  
ողի եռլումդ!

**რაჩნელი.** ქვეყანაზე მე არავისი შემშინი... გარდა...

**დედოფ.** გარდა? სთქვი რაღა!

**რიჩით.** გარდა თქვენისა!

**დედოფ.** ჩემიო! მაშ ეხლა გიბრძანებ ილაპარაკო!

**რიჩით.** თქვენ განგებ არიდებთ თვალსა, არა გსურთ არაფრის დანახვა, თქვენ ჰეუმრობთ მხოლოდ... მე-კი და-უშრეტელის ვნების ცეცხლი მწვავს; ამ ვნებამ მე გთლად შემიპყრო, მხოლოდ ის მამხნევებს მე, იგი მაძლევს ძალის ბრძოლაში გმირობის გამოსაჩენად თქვენის უდიდებულესობის სასახელოდ... როდესაც კი ჩატერება ჩემ გულში უკანასკნელი მისი ნაპერ-წყალი,— მაშინ მოისპობა ჩემი სიცოცხლეები!..

**დედოფალი.** რა მჭერმეტყველი გამხდარხარ, რიჩით, მე ვე-ლარ ცნობილობ შენ!...

**რიჩით.** თქვენ არასოდეს არც მიცნობდით! ჩემი მუდმივი მდუმარება ცბიერი იყო, ჩემი დაღრეჯილი სახე—იმით იყო ალბეჭდილი. ეხლა თქვენ თვითონ მიბრძანებთ გელაპარაკოთ — მაშ მომისმინეთ! მხოლოდ მას, ვისაც დიდებული რამ ჰსურს, შეუძლია მცირეზე უარი თქვას; მხოლოდ მას, ვინც ერთის აზრით, ერთის იმედით გატაცებულია, შეუძლია სულგრძე-ლად გადაიტანოს ტანჯვა; მხოლოდ მას, ვი-საც შეუძლია გარდაიტანოს უინი, დაცინვა, ცი-ლის-წამება, სიბოროტე!

**დედოფალი.** რაზედ ლაპარაკობ?

**რიჩით.** იცოდეთ, მე არ ვვევარ დარნელს, რომელმაც თავი მოგაბეჭრათ თქვენ, მით, რომ იგი არა გშორდებათ, არ ვვევარ არც იმათ, რომელნიც მზად არიან თავი იქონ მთელის ქვეყნის წინაშე, რომ დაჯილდოვებულ იქმნენ თქვენის შეხედვით, სიტყვით, ღიმილითა... და, დასასრულ, არც მათ ვვევარ, რომელნიც ერთ-აურ-ზაურს ასტეხავენ ხოლმე და ხმალში იწვევენ ერთმა-ნეთს ვითომ და თქვენის პატივის დასაცველად; მე არა ვცდილობ სხეუბის წინაშე ჩამთვალის თქვენ სა+

ყვარლად, მაგრამ ოდესმე, იქ... შორს, მომავალში... თაე განწირულობითა და ერთგულობით სავსე სი-ცოცხლის შემწეობით ვეცდები მივალშით ნეტარე-ბას—ჩემად ჩაგთვალოთ!..

დედოფლადი. ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა!

**რიჩით.** (სასოწარევეთიღებით) დეე, დამცინეთ, ეს თქვენი უფლებაა—დამცინეთ... დაივიწყეთ მსხვერპლი იმ რდუმალის სიყვარულისაგან თქვენდამი შემოწირული!.. დამცინეთ და დამკარით მე ფეხი, როგორც ცველა სხვის... აი რა გსურთ თქვენ!... (გადის).

### გამოსვლა გეათე

**დედოფ.** (მარტო უცხად მიაღებს სერიაზე სახეს) მეც კი ასე მევონი—და ისიც მხოლოდ ეძიებდა მარჯვე დროს! ისიც ჩემი ფარული მტერია. ნუ თუ ქვეყა-ნაზედ ისეთი კაცი არ მოიპოვება, რომელსაც შემიძლია ვენდო?.. რაღაც გაუგებარი შიში გულს მიხუთას... დიახ, განასცდელი თავს მაღვია! იმათ, რომელნიც ჩემთვის სამსახურის გასაწევად მოდიან, ჩემი ხელში ჩაგდება უნდათ. ჩემი მოტრფიალენი უფრო საში-შარნი არიან, ვიდრე მოძულენი! ვერა გამიგია-რა, —თავი მიხურს... აზრები მეფანტება... გული მისკ-დება... ო, ჩემი მუდმივო მფარველო, ყოვლად წმიდა ლეთის მშობელო, რომელმაც მომეც ჭახელი! შენ, დედაკაცის სამარადისო სიმბოლოვ, განმაბრწყინ-ვე შენის წმიდა ნათელით! არავინ არის ჩემი შემწე... ქმარი—ხან საბრალო ბავშვია, ხან იქვიანი მტარვა-ლი, ძმა—ჩემ წინააღმდეგ ხალხს აჯანყებს ყოველის მხრით, ჩემის სირცხვილისა და დაცუმის მსურველი მახვევიან. მოვედ-ლა ჩემდამი. მოწყალეო ქალწულო, მე ეგრე მჭირია მფარველობა! მისხენ მე! ვდნები მწუ-

ხარებისაგან და არ ვიცი საით წავიდე; რა ვქნა!..  
 (შაუზა) და წყნარი, მომთმენი რიჩჩიოც-კი! დირნ-  
 ლეი, ისევ შენ ხარ შენებურად ყველა იმათხედ სა-  
 იმედო, და აგრე ნორჩი-კი ხარ! მე ერთობ სასტიკი  
 ვიყავ, ეს შეცდომა უნდა გავასწორო (ზარს ჭრეკავს,  
 მსახური შემთდის). სთხოვე ლორდ სტუარტს! (მსა-  
 ხური გადის) დარნლეის ეუყვარვარ, სიყვარული-კო-  
 ყველაფერზედ მზად არის!

### გამოსვლა მუთხრიშვილი

დედოფლი, დარნლ-სტუარტი.

სტუარტი. (იქით) რიჩჩიო აქ არის? (ხმა მაღლა) madame  
 დედოფლი. უბრძანეთ მუსიკა დაუკრან, დაიწყონ ცეკვა!  
 სტუარტი. ამ წამსვე, თქვენო უდიდებულესობავ!

დედოფლი. დაუბანე დარნლეის და უთხარი, რომ ვიწვევ პირველ  
 ცეკვისათვის!

სტუარტი. მეფეს!

დედოფლი. დიალ!

სტუარტი. მეფე რომ არსად სჩანს!

დედოფლი. შედი მის ოთახში; თუ ჩაკეტილი ნახო, დაუკავუნე;  
 მოახსენე, რომ მე მოუთმენლად ველი.

სტუარტი. მეფეს?

დედოფლი. (წყრომით) დიალ, მეფეს! აბა, დაუჩქარე!

სტუარტი. მიედინარ, მიედინარ! (იქით) ნუ თუ ამ სასახლეში  
 მეფის მოფერება დაგვჭირდება?

დედოფლი. წალი-ლაა.

სტუარტი. მივრბივორ! (გადის)

### გამოსფლა შეთორმეტე

**დედოფ.** საღაც ბედმა ყოფნა მარგუნა, იქვე უნდა ვიმოქმედო, უნდა გარდვიტანო ყოველიფერი, რასაც გარემოება მაიძულებს (მუსიკა). მე ჩემში ვგრძნობ ძალლონეს და ახალგაზლობას, მე დიღი განზრახვანი მაქს, ძლიერნი მოკავშირენი,—ყოველი ეს (არარაობა), ყოველი ეს უწმინდურება, რომელიც მე მდევნის, თავის თავად გაქრება.

(მოცეკვავენი წუფილ-წუკილად ჰემოდან. მათ შორის ბოტკლი, ღერიანგრონი და მორტონი).

### გამოსფლა შეცამეტე

იგინიგე და ლორდ სტუარტი.

**სტუარტი.** თქვენო უდიდებულესობავ, მეფე თავის ოთახში არა ბრძანდება.

**დედოფ.** ეძიე იგი ყველგან. თან კაცები წაიყოლიე—საჭიროა, უსათუოდ საჭიროა აქ მოვიდეს.

**სტუარტი.** უსათუოდ საჭიროა! (აპირობს გასკვას).

**ღერიანგრ.** ვისაა რომ ეძებენ,—მეფეს?

რამდენიმე ხმა. დიალ!

**ღერიანგრ.** მე დავინახე, რომ მეფე ცხენით წაბრძანდა.

დედოფლი წაბრძანდა... ლამით?...

**ღერიანგრ.** მეც მოეხსენე, მაგრამ მიბრძანა: „სწორედ ჩემი შესაფერია“.

**დედოფლი.** საბრალო დარნლეი! მე ერთობ სასტიკი ვიყავი შენს შესახებ! ოჟ, ნეტავ ის აქ იყოს ეხლა! ეხლა

მაინც დადგებოდა ეს სასურველი წამი!...

**სტუარტი.** ვის გააბედნიერებთ, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენის არჩევანით?

დედოფალი. არავის! მე არ ვცეკვავ!

სტუარტი. ოჰ, თქვენო უდიდებულესობავ! ნუ მიგვიყვან ჩეენ  
სასოწარკეთილებამდე! ეს ხომ იმას ეგვანება, რომ  
დასწყეიტოთ ყველა ეს ყვავილები და გააქროთ სანთ-  
ლები!

გრაფინია არგალი. თქვენო უდიდებულესობავ, შეგვიპრალეთ,  
ჩეენ ამდენი ხანია ველოდის! (სხვები გარს შემოეხვე-  
ვან დედოფალს იმავე თხევნით),

დედოფალი. მაშ კარგი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ გულია  
არ დაგწყვიტოთ, ჩემო ძეირფასნო! (უკანა წერილ-  
წერილად დგებან).

სტუარტი. ვის ჰყოფთ ღირსაღ, თქვენო უდიდებულესობავ!

დედოფალი. (გადაკედებს რა თვალს უკედას, ამბობს იქთ) არის  
მათ შორის ერთი მაცნე, რომელსაც გაჭირვების  
დროს არ ეღალატოს ჩეენთვის ანუ ლალატის უნარია  
არ ჰქონდეს? დიალ, არის ერთი! (სტუარტს) გრაფი  
ბორცინი!

(მუსიკა უფრო სმა-მაღალა უკრავს. ბორცინი მიუახ-  
ლოვდება დედოფალს, მოიდრებს მის წინაშე მუხლს,  
ხელში ხელს მოჭეიდებს და შიგავს მოთამაშებთან. ისი-  
ნი დადგებან vis a vis სტუარტისა და გრაფინია არგა-  
ლის, რომელიც იწებენ ხელს, ძველებურ ცეკვას).

ფარდა

(შემდეგი იქნება)

(ვუძღვნი წუცი)

ჩეკულებრ სეკდით და შავ-ფინჭრთ გროვით  
გულ-შემსწერაზული, გარემოცული,  
მარტოდ გრებული, უამხანაგო,  
ქარელოვილი, დაკიწყებული

\*\*

სამგლოვიარო ჰანგზე აწყობილს  
ჩონგურის სიმებს ვაწვრიალებდი  
და მწარ ხმას მათგან გამოხალებსა  
კენესას გულისას ზედ გუმატებდი.

\*\*

შავის ცრემლებით, ტანჯვის ცრემლებით  
კრიორიდი წარსულს, აწყოს, მომაკალს,  
მომეთა ჩემთა სულით დაცემს;  
აზრთ უქონდობას, არარათბას.

\*\*

მაგრამ უცრიად ამ დროს შორადან  
უკად მოკვარი ტებილ საგალობელს,  
ტანჯულთ ნუგეშათ მაღლით მოკლენილს,  
მიაფრთოვნებელს, იმედის მომგვრელს.

\*\*

სეკდით აღსაგესე, დაწინებული  
უკრს რა გუგდებდი მე ამ სიძლერას,  
კელარ დაკომინე... ზე წამოგარდი,  
წამს ხმა გუცვალე მტირალ სიმთ კლერას,

\*\*

და შემოკიმახე: «ძედისგან ტანჯულს,  
სალხთაგან დევნილს შეუბრალებლათ  
გვლავ გაუღიმებს ტალი ბედი  
მოლაუკარდ-კაშგაშ ციმციმ გარსკვლავად..»  
\*\*

«ობლად შთენილი ობოლი სული  
გვლავ სასიცოცლოდ იბრუნებს პირსა,  
ტანჯუს უღელ ჭიშ ღონე მიხდილი  
არად მიაჩნევს კარამს და ჭირსა..»  
\*\*

«ჩანგი მტირალი, ჩანგი მგენესარი  
სალხინო ზარით დაიწეუბს წერიალს,  
უცხო რამ ხმების გამომეტებული  
სიმნი მორთავენ საამო ურიალს..»  
\*\*

«სიმართლე, მმობა და სიუკარული,  
აზრთა სიწმინდე, თავისუფლება  
ტაძარს აიგებს მომეთმ გულში  
და ძლევა-მოსით გვლავ გამეფლება»  
\*\*

აჭ კი შეცრათ გაწყდა სიმები...  
ბოლო მოედო ჩემს აღმა ფრენს;  
მაგრამ ამ რწმენით აღტევინებული  
გაორგეცებულს კედევი ლხენას.

დაბდუ ახთაბაძე

16 თებერვალი 1901 წ.  
ქ. ფოთი.

# „ჩემი სამუღლო ჩემი გულია!..”

## Ⅱ

— ააა, რას მივაწეროთ, ზდის, რომ მოგვონებივარ? — გაკვირვებით შევეკითხე ზდისლავ პშივალსკის, როდესაც იმან კარი შემოალო.

მე და პშივალსკი რუსეთში სწავლის დროს პირველ კურსზე დავმეგობრდით, და ჩვენ დამოკიდულებას სწავლის გათავებამდის ერთხელაც უერთ არ უკულია. ერთმანეთის აზრი, სული და გული კარგად გვქონდა აწონილ-დაწონილი და თითქმის, ოთხი წლის განმავლობაში, სულ ერთად ვიყავით, ერთადვე ვმეცადინობდით და ჩვენს საიდუმლოს უტყუერად ერთმანეთს ვუზიარებდით...

ექვსმა თვემ განვლო, რაც მე და პშივალსკი გავშორდით სწავლის დამთავრების შემდეგ. ჩვენ ერთმანეთისა ალარა ვიცოდითრა. მე ტფილისში ვიყავი, ის კი, არ ვიცოდი, იმავე ქალაქში დარჩი, თუ გაემგზაერა სიოთხე. ვფიქრობდი კია, რომ იქავე უნდა დარჩენილიყო. ყოველ დღე წერილის მიწერას ვაპირობდი, მაგრამ დღეს-ხვალიაობით ექვსმა თვემ გაირბინა, და მე კი ერთი წერილიც ვერ მივწერე.

ექვსი თვის შემდეგ ქუჩაში უეცრივ სისინი შემომესმა დაძახების ნიშნად. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, მე არავინ დამიძახებდა, მაინც უნებურად მივხედე და ჩემ თვალს არ დავუ-

ჯერე: ზდისი მოეჩერებოდა ჩემკენ. სიხარულით გადავკოცნეთ ერთბანეთი. თოთქმის ისევ ძველებური მეგობრობა დამყარდა ჩვენ შორის. თოთქმის უოველ დღე ვხვდებოდით. ხან ის იყო ჩემთან, ხან კიდევ მე მივდიოდი იმასთან. ერთად დავიარებოდით, ვშინჯავდით უოველიერს, რაც კი საყურადღებო იყო ტფილისში. რასაკვირეელია, მე ვწინამდლერობდი, ვუამბობდი წარსულს, აწმყოს ამა თუ იმ ჟაგნის შესახებ. უველაფერს გაფაციცებით ათვალიერებდა და დიდის აღტაცებით მისმენდა...

ერთი წლის განმავლობაში თითქმის უოველ დღე ვხვდებოდით და ხშირად სული და გული ერთმანეთისათვის გადაგვიშლია.

ზდისი მოხდენილი ვაჭ-კაცი იყო, კარგი მოსაუბრე, და, რასაკვირეელია, ვისაც კი გავაცანი, ყველაზედ, ნამეტნავად ქალებზედ, სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც ქანქლა ზაფხულის ღამეს სანთლის შუქს, ისე ეხვეოდნენ ქალები. ჩვენმა ქალებმა რომელიმე ყმაწვილისა „მოდაში“ იციან შემოლება. ყველანი იმაზედ ლაპარაკობენ, ყველანი ცდილობენ იმასთან იბაასონ, იმასთან ერთად დრო გაატარონ და... — ზდისი კი „მოდაში“ იყო ამ ერთ წელიწადს...

— იცი, ჩემო მეგობარო, — დაიწყო ერთ საღამოს ამ ტაციაობის შემდეგ: „უბედური ადამიანი ხარ!

— რაოგ! — განცეიფრებით შევეკითხე და თვალები მივაციცე.

— უბედური ხარ მეთქი!.. — გაიმეორა და მოთახში სიარული დაიწყო.

— სრულებითაც არა ვთვლი ჩემ თავს უბედურად!.. მე... ჩემ სამშობლოში ეარ და ამით ვარ ბედნიერი! — კოტა არ იყოს წყრომით ვუპასუხე და პირი მოვარიდე.

— კადევაც მაგისთვის ხარ უბედური!.. — ჩემდა საუბედუროდ კიდევ ახსენა სიტყვა „უბედური.“

— რატომ ყვავივით დამჩხაეი?!.. გთხოვ, აღარ აღსცნო ეგ სიტყვები!.. — ეხლა კი მოლად მოთმინებიდგან გამოსულმა ხმა-მაღლა წამოეილაპარაკე და სიარული დავიწყებ.

— ჩემი მეგობარო, ჩემი გაბრო! — შემომეხმაურა ზღისი და წინ დამიდგა: განა შენ გასაჯავრებლად გეუბნები: „უბე-დური ხარ.“ დაკვირვება მაიძულებს ეს გითხრა. იგრ ერთი წელიწადია შენთან ერთად ქართველ საზოგადოებაში ვტრია-ლებ და, მგონი, საკმარისია ჩემი შეხედულება ეიქონიო?!

— მერე მაგის წინააღმდეგი ეინ არის?

— შენი წყრომა.

— „ყვავსავით ნუ დამჩხავი!!!“ — ამას გეუბნები შხოლოდ.

— ყვაუობისაგან ლმერთმა დამიფაროს!.. ცოტა მომისმინე და შემდეგ გინდა ყალყზე შედექი.

— ცოტათი კი ჭრა, გინდა მთლად სმენად გარდვიქნე-ბი. დაიწყე!

— მასხრობაც დაიწყე, მაგრამ მაინც გეტყვი!

— გისმენ.

— ბედნიერად გთვლიდი იქ, როდეს შენს აღტაცებულ სიტყვებს შენი ერის შესახებ ვისმენდი და ვუმზერდი ამავე დროს შენს აღგზნებულ თვალებს. გთვლიდი ბედნიერად და იმ ერსაც, რომელსაც შენ ეკუთვნოდი. დღეს კი, სამწუხაროდ, ძალა უნდბურად წინააღმდეგი უნდა გითხრა. რა უნდა გაარი-გოს ადამიანმა იმ ერში, რომელსაც ჯერაც არ შეუგვნია ის უბრალო კეშმარიტება, რომ თავის დედა ენით უნდა ილაპა-რაკონ, უნდა...

— ეგ შეუგნებლობით სრულებითაც არ ემართებათ! — შე-ვაწყვეტინე ბასი: შეგნება კი აქვთ, მაგრამ გარემოების ბრა-ლია, არ ეხერხებათ, რადგანაც სასწავლებლებიდან თითქმის განდევნილია ჩვენი ენა... სკოლები კი...

— ვიცი, ვიცი, რაც გინდა სთქვა!.. ოჯახები ვიღას ხელ-შია?.. იქიდან ვიღამ გასდევნა?..

— არავის გაუდევნია და ლაპარაკობენ კიდევაც.

— გაბრო, რას მოასწავებს შენგნით განგებ თვალებისა და ყურთა დახშობა?! ან რა გაიძულებს ჩემთან სიტყვის გაღა-ბრუნებას?! ვინ ეცმის ხოლმე ჯვარზე თითქმის ყოველ ნაცნობის ოჯახში ენის შესახებ?! მე, თუ შენ და რამდენიმე შენი მეგო-ბარი?. ენა ვის გაპხდომია ერთად ერთ სალიპარაკო საგნად ნაცნობებთან?. და ეხლა კი იძახი: „ლაპარაკობენო“. რო ლაპარაკობდნენ, მაში რაღა ტყუილად თავს იხეთქავთ ენის შე-სახებ ბაასით?

— ეგ სულ მცირედი ნაწილია ჩეენი ერისა, და მაშასადამე ერზედ აქ ლაპარაკი არ შეიძლება.

— ეგ მცირე ნაწილი, ჩემო გაბრო, განათლებული ნაწი-ლია. თუ ყველა უმაღლეს სასწავლებელში არ ყოფილა, სა-შუალოში, დაბალში მაინც ყოფილა. ერთი სიტყვით, ვისაც კი ცოტა რამ სწავლა მიუღია და ნასწავლა საზოგადოებაში გარეულა, ყველას დედა ენაზედ ხელი აუღია. კარგა იცი, შენი ერი ეხლა სწავლა-განათლებას ძალიან ეტანება. მო-სალოდნელია, უმრავლესობა შენი ერისა ისწავლის, და სწავ-ლა კი, როგორც ჰქედავ, უკუღმა მოქმედობს შენს მოძ-მეებზე. მაშინ მცირედი ნაწილი და დაგრჩება დედა-ენაზედ მოსაუბრე...

— ის ერი, რომელსაც წარსული დიდებული აქვს, რო-მელსაც თავისი ლიტერატურა აქვს, არ მოისპობა! — გაბრაზე-ბულმა კიდევ შეგაწყვეტინე სიტყვა და აჩქარებულის ნაბიჯით დავიწყე სიარული რთახში.

— თუ წამკითხველი არა ჰყავს, თუ ხელის შემწყობი არა ჰყაუს ლიტერატურას, ივი ჩეარა მოისპობა. ორ მილიონამდის ხართ და ორი მილიონი რვაასიდან ათას ხუთასამდის მკით-ხველს იძლევა. ნუ თუ მართლა წერა-კითხვის მცოდნე ათას ხუთასზე მეტი არა გყავთ? არა, ბევრია მცოდნე, მაგრამ სულ მცირედი-და ეტანება. თქვენ ურნალ-გაზეთობას. ისიც, მგონი, მოქმედებული ნაწილი ამათგან ძალდატან ებით ხელის მომწე-

რია. მე დარწმუნებული ვარ, რადგანაც ბევრჯელ მქონია შემთხვევა თვალ-ყური მელევნებინა, ეინც იწერს, არა კითხულობს და არც სურვილი აქვს წაიკითხოს. რაა ამის მიზანი? თუ შენ გეძნელება ამის თქმა, მევე გიპასუხებ. თქვენ ჯერ ეროვნული თვით — შეგნება არა გაქვთ...

ვერძნობდი მის სიმართლეს; ყოველი მისი სიტყვა გულს მისერავდა, მაგრამ მე მაინც ვცდილობდი როგორმე გამექარ-წყლებინა...

— იცი, გაბრო, ერთად-ერთი თანამგრძნობელი გყავს, შენი აზრები მოსწონს. ეს — მართა. მართლა, რა კარგი ადა-მიანია!... — უეცრივ. შეცვალა ლაპარაკის კილო და მეგობრუ-ლად ხელი გადამხეით.

თავისუფლად ამოეისუნთქე. გამეხარდა ლაპარაკის კილოს შეცვალა. თვით მე ბევრჯელ მეფიქრია ამ საგნის შესახებ და ყოველთვის სახე დამლრეჯია, მწარე ფიქრები მომწოლია მო-მავლის შესახებ. გადავწყვიტე მომავალზედ აღარ მეფიქრია და მხოლოდ აწყოში ოდნავ მშეუტავ ცეცხლის აღით გული მო-მეობო და შეძლებისა და კვალად მეკეთებინა რამ მომავლის ასაკუდენად.

ზღისის მართალმა სიტყვებმა სუნთქვა შემიყენეს, და არ ვიცი, რითი გათავდებოდა ჩემი და მისი დამოკიდულება, რომ ლაპარაკის კილო არ გამოეცვალა.

— მართალი ხარ, ჩემი ზღის, მართ კარგი ადამიანია. ნამდვილი ქართველი ქალის ტიპია. — გაბრწყინვებულმა ვუპა-სუხე და პირდაპირ თვალებში მჟერა დავუწყე.

— მგონი, არც მართსა აქვს ეროვნული თვით-შეგნება!!

— არა, ზღის, მართს კი ცილსა სწამება!!

— ნერა არ იქნება! მაგრამ აი რას გეტუვი. მართ მხურ-ვალე მიმდევარია ეროვნულის საჭმებისა მხოლოდ იმისთვის, რომ შენ ხარ მიმდევარი. შენკი, როგორლასაც ვატყობ, მოს-წონხარ მართს.

— ერიპააა, ეხლა კი სინამდვილეს ჭალიან შორს გაუსხლა  
ტლი, ჩემთ ზღის!..

ამ ბაასის შემდეგ ზღისი დავკარგე. რამდენჯერმე მივედი  
იმასთან, მაგრამ შინ არ დამიხვდა. ის კიდევ ჩემთან აღარ  
მოდიოდა. ერთი ორჯელ ქუჩაში შევხვდი. შევეკითხე: „რა-  
ტომ მოსპე სიარული?“ „საქმეები მაქეს, საქმეებიო“ — მიპასუხა  
მოკლედ და გამშორდა. რა გაეწყობოდა. ძალა უნებურად შევ-  
წყვიტე ზღისთან შეგობრობა და ჩქარა ხულ გადამავიწყდა...

რასაკვირველია, გავცვიფრდი, როდესაც ერთი წლის შემ-  
დეგ ზღისი შემოვიდა ჩემთან.

— რა ვიცი, რას უნდა მიაწერო!.. — მიპასუხა მოკლედ და  
მოწყვეტით სავარძელზედ დაეშო.

ლოტნა დავუწყე, რას მეტყოდა, რადგანაც ჩემ კითხვაზედ  
პირდაპირ არ მიპასუხა.

ზღისმა კი რამდენჯერმე შუბლზე ხელი გადისო, ერთი  
ორჯელ ღრმად ამოიოხრა და უცნაურად ბორგეა დაიწყო..

— გამრო! — კარგა ბორგვის შემდეგ წამოდგა და ხელი  
დამიჭირა: პატარა გავიაროთ, აქ ჰაერი არ მყოფნის!..

ცოტა არ იყოს, ზღისის უკანასკნელმა საქციელმა მაწყე-  
ნინა და ჩემდა უნებურად გამაფიქრებინა:: უგავესირებია რამ და  
ამისთვის მოუნახივარ, თორემ რატომ ამ ერთი წლის განმავ-  
ლობაში, თუ კი მეგობრად მოვლიდა, ერთხელ მაინც არ მი-  
კითხა! მინდოდა უარი მეთქვა, მაგრამ მისმა ბორგვამ გამაბედვი-  
ნა და ცოტა ყოყმანის შვებეგ ეუბასუხეს;

— კარგი, გავიაროთ!...

\*\*

ქალაქის განაპიროს ვცხოვრობდი და ჩემი გასართობი იქ-  
ვე ახლოს სასაფლაო იყო. ხშირად, ხშირად, თუ კი ამინდი  
ხელს მიწყობდა, იქ ვათენებდი დამეს და იქ ვეძებდი სულის

სიმშვიდეს. ასეც იქმნება. მხოლოდ იქ ვპოვებ სიმშვიდეს, სა-  
უკუნო სიმშვიდეს.

მე და ზდისს ბევრჯელ გაგვივლია იქით და ეხლაც სახ-  
ლიდან გამოსვლის უმაღლ თრივებ პირი იქით ვიბრუნეთ.

გაჩუმებულები მივდიოდით. ის არ ვიცი, რაზე ფიქრობდა; მე კი თვალს ვადევნებდი ჩამავალ მზის სხივებს, თუ იგინი  
როგორ ეალერსებოდნენ არე-მარეს, როგორ ენანებოდათ მას-  
თან დაშორება...

ჩეარა დაეიწყებულ სასაფლაოს ავუდექათ... მინგრეულ-  
მონგრეული საფლავები, ზოვან კიდევ გადათხრილი, აქა-იქა  
შიყრილ-მოყრილი საფლავის ქვები სახიფათოდ ჰქილნენ სასა-  
ფლაოზედ სიარულს. სასაფლაოს გვერდით გაჭუარეთ და ხევის  
პირას მდგომ ხისკენ; რომლის ქვეშაც ერთი საფლავის ქვა  
მოჩანდა, წავედით.

ზდისი ჩამოჯდა საფლავის ქვაზედ, მე კი იმის ახლოს მხარ-  
თეძოზე მწვანეზე წამოვწექი და პირდაპირ ხევის მეორე ნა-  
პირას დაბინავებულ, საზაფხულოდ მთებისკენ მიმავალი თაორის  
ოჯახობას დავუწყე მზერა.

ურმები, საქონელი, ძალლები, ადამიანი რჩივე სქესისა  
სხვა-და-სხვა ფერად ტანისამოსით არეულიყვნენ ერთმანეთში  
და ფუთფუთებდნენ; მოისმოდა ყმუილი, ბლავილი, ყეფა, ყვი-  
რილი...

სულ მიმავიწყდა ზდისი. დამავიწყდა, რომ ზდისმა წამო-  
მიყეანა აქ, და რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის.

მთლად ჩამნთქა უბრალო, შეუხამებელმა ცხოვრებამ,  
ფრინველსაეით ზამთარ-ზაფხულ შესაფერ ჰავის მაძიებელთა  
ცხოვრებამ.

„ვინ იკის“, ვტიქრობდი ამ დროს: „რამდენი ვაი-ვაგლა-  
ხი ატყდებათ თაეს, რა ნაირად სჯის ბუნება ამ ბუნების შვილთ,  
შაგრამ, ვგონებ, ბედის ისე მომდეურავი არავინ იქმნება მათგან,  
როგორც ჩენ, ვითომ და უკეთესს პირობებში ჩაყენებულები,

რთული ცხოვრების შეიღნი... მცირე ოდენ შეფერხებას სასო-  
წარკვეთილებამდის მივყევართ, სასოებას ვკარგავთ, და ესენი  
კი სიკვდილსაც და სიცოცხლესაც სიხარულით ეგბებიან. ჩვენ  
წყვდიადში დავფათურობთ, დაეყეძეთ, მაგრამ რას? არ ვიცით.  
ესენი კი გარკვეული გზით მიღიან და იციან კიდევაც საით...“  
მაგრამ ამ დროს უნდაბურად მიიქცია ჩემი ყურადღება ჩარჩების,  
მერძევების და სხვა ქალაქის მცხოვრებთ ქალთა თუ მამაკაცთა  
ტაციობამ, რომელნიც ამათ შორის ირეოდნენ და ყიდულობ-  
დნენ ყველს, ქათამს, რძეს, კვერცხებს და სხვა მათ ნაწარმოებს,  
და უეცრივ გულს ჩამწყდა. „ჩაითრევენ, ჩაითრევენ ამათაც  
წყვდიადში, და ესენიც ჩვენსავით ხელების ფათურს დაიწყებენ—  
ამათი მომავალიც ისევ ის...“ ველარ დავათავე, თვალები მაგ-  
რად მოვიფშვნიტე, თავი გავიქნიე, რომ იქიდან იმათ ხვედრ-  
ზედ წარმოდგენა გამომედევნა, და ზღისს მივხედე, რომელიც  
ისევ ერთ წერტილს მიჰქერებოდა...

— ზღის, რატომ მაგრე საიდუმლოების ბურუსში გაპხვე-  
ულხირ და არას იტყვი?!...—დავეკითხე, რაკი ზღისი დავინახე,  
მომაგონდა მისი ალელვება და აქეთ წამოსვლის მიზეზი,

— რა საიდუმლოების ბურუსში?! ისე!—ხელები გაასავსა-  
ვა ჩემ შეკითხეაზედ და დაბნევით მიპასუხა.

— ხომ სიყვარულის ბადეში არ გაები?

— ვინ გითხრა?—გაოცებით დამეკითხა.

— ვის უნდა ეთქვა?!. შენი გამომეტყველება მეუბნება.

— ვითომ რაზედ მატყობი?

— ისე ხირ გაბუებული, რომ ძალა-უნებურად ეგ უნდა  
ვიფიქროთ.

— როგორლა ისე? მგონი ჩვეულებრივადა ვარ!

— ინდოურსავით გაბუება—ჩვეულებრიე მოვლენა შე-  
უვარებულთათვის.

— დაგლახვრა ღმერთმა; რალა ინდოურებს შეაღარე შე-  
უვარებულები!—ღიმილით შემომებმაურა.

- მე კი არ შევადარქ, თითონ ედრებიან..
- იმის დასამტკიცებლად, რომ შენ ჰქონდები, ენლავე გე-ტყეი, რისთვისაც მოვედი შენთან.
- ვნახოთ.
- ხეალ სამშობლოში მივდივარ.
- დროებითი!.
- არა, სამუღამოდ.
- ჩემ მოსაზრებას უფრო ამტკიცებ.
- სრულებითაც არა.
- როგორ თუ არა? ეგ მოვლენა უნდა გახარებდეს და არ გაღონებდეს. შენ კი...
- სულ სხვა იღელევება მეტყობა, არა?..
- დიალ. უთუოდ გული აქა გრჩება!
- თუ არას მითქმევინებ, როგორ გაგაგებინო ჩემი აღ-ლვების მიზეზი.
- მაშ გისმენ.
- ეს ერთი წელიწადია, დაიწყო ზღისმი, რაც ჩენ, არ ვიცი რად, ერთმანეთთან სიარული მოვსპეთ. ეხლა კი, როცა გამიჭირდა, შენთან მოველი, და აი ეს გარემოება მაღლ-ვებდა?..
- მერე რა გაგიჭირდა?!
- საგზაო.
- ხა, ხა, ხა!.. — გულიანად გადვიხარხარე და ხარხარითვე განვაგრძეს არა, ჩემი კარგო, საგზაო მაგრე არ აგალელვებდა! ცოტათი მაინც სცრულობ.
- მართალს გეუბნები და ეხლა, შენ იცი — გამიშართავ ხელს თუ არა? ხეალ კი უეჭველად უნდა გავიდე, — ცო-ტა დარცხვენით მიპასუხა და თვალი ცის სიერცეს გააყო-ლა.
- უკვე დალაშებული იყო. ცა ციაგი ვარსკვლავებით მობ-ნეულიყო და ქალაქს ადევნებდა ოვალურს, რომელიც თით-

ქოს ეხლა იწყობს ცხოვრებასო, ისე ხმაურობდა. ჩვენ პირ-  
დაპირ ბინები ლრმა ძილს მისცემოდნენ და მხოლოდ დრო-  
გამოშვებით ძალის ყეფა-ლა გამოისმოდა იქიდან.

— ხელს კი გაგიმართავ, მაგრამ სცრულობ კი!..

## III

სწორედ ერთი თეის შემდეგ, რაც მე და ზდისი უკანას-  
კელად ერთშანეთს გავშორდით, ფოსტიდან ფულის შესახებ  
უწყება მომიერდა. თუმცა სულ გადავიწყებული მქონდა ეს  
გარემოება, მაშინვე მივხედი, ვისი გამოგზავნილიც იქმნებოდა,  
რადგანაც უწყებაში იღნიშნული რაოდენობა ფულისა ეთან-  
ხმებოდა, რამდენიც ზდისს მივეცი საგზაოდ.

ბევრი ვაიგაგლახის შემდეგ ძლივს მივიღე ფულით წერი-  
ლი და იქვე გავხსენი. ხელში ბლომად მომხვდა წერილის ფურ-  
ცლები და მაშინვე წერილის კითხვა დავიწყე. „უკაცრავად,  
ძვირფასო მეგობარო გაბრო, რომ ფულის გამოგზავნა დაგი-  
ვიანე“, — ასე იწყებდა ზდისი წერილს: „მართალია, მეორე  
დღესვე შემეძლო ფულის უკან დაბრუნება, მაგრამ არ დაგიბრუ-  
ნე, რადგანაც არ მინდოდა ისე სწრაფად სიცრუე გამემელავ-  
ნებინა... „ხელს კი, — თუ ვახსოვს შენი სიტყვები, — გაგიმარ-  
თავ, მაგრამ ცრუობ კი“, მითხარი, როდესაც გემშეიდობებოდი.  
მართალიც იყავი. როდესაც შენთან წამოველ, სრულებით ფუ-  
ლი არ გამხსენებია. არც მიჰირდა. ფული ბლომად მქონდა.  
სულ სხვა განზრახვით მოვედი შენთან და ფულზედ კი მოვ-  
ჩინახე. რა იყო მიზეზი?... რა ვიცი. მგონია კი, ისევ ის, რის  
თქმაც მინდოდა შენთვის. მაშინ ძალიან აღელვებული ვიყავი  
და უთუოდ ამან შემიშალა ხელი. ეხლა კი, ცოტა არ იყოს,  
დამშვიდებული ვარ, სულ სხვა გარემოებაში ვარ და თავისუფ-  
ლად შემიძლიან მოვითხოო ყველაფერი, თუმცა სასიამოვნო.

იქმნებოდა ცემთვის ამ წუთას ჩეენ შუამავლობას ქალალდი არ გვიწევდეს...

„უმეტესობია, გაგიკეირდებოდა ჩემი დაკარგვა იმ დღის შემდეგ, როდესაც მე შემომწამე ვითომ-და „ყვავივით დაგჩხაოდი“. გამიწყერი კიდევაც. გახსოვს, განა? ამ დღეს ერთი ადამიანიც ვახსენეთ, რომელიც შენ ლმობიერად დაახასიათე და სთქვი: „ნამდვილი ტიპია ქართველი ქალისაო“...

„ვერ წარმოიდგენ, ჩემო მეგობარო, რა ნაირად მიზიდავდნენ მისი კვიმეტი, დიდრონი, საიდუმლოებით საესე თვალები! ბევრს ვიცნობ, და მაგვარი თვალები მხოლოდ ქართველებში შემხვედრია. მაროს მართლა და ტიპიური თვალები აქვს. დანარჩენ მის სილამაზეზე აღარას ვამბობ, რადგან მარო იშვიათის სილამაზისაა. რას გეუბნები, როდესაც შენ თითონ კარგად იცნობ და ჩემზე ადრეც გყავს გაცნობილი.

„მე ყოველთვის ცნობის მოყვარეობას მიძრავდა მისი საიდუმლოებით მოცული თვალები, და აი სწორედ იმ დღიდგან შევუდექი გამოცნობას. მინდოდა შემეტყო, რა იმარხებოდა იმის თვალების სილრმეში. მეგონა, შენ მოსწონდი და ამის-თვის გერიდებოდი და უცდილობით როგორმე ისიც არ შეგხვედროდა, რომ ხელი არ შეგეშალა ჩემთვის. როცა გიყვარს ვინმე გულ-წრფელი მხოლოდ იმასთან ხარ. მეც პირველადეე შევეცადე, რომ მაროს შევყვარებოდი. მე ხომ გადვირიე, ისე შემიყვარდა. ერთხელაც აღარ გამხსენებია ვანდა, რომელ-საც პირობა მივეცი ცოლ-ქმრობისა. წერილებსა მწერდა ვანდა, მეკი პასუხსაც აღარ ვწერდი. თუ მივწერდი, იმასაც ამინდზე.

„ჩეარა დაერწმუდი, რომ შენ მაროს სრულებით არ მოსწონდი. შენ ხომ ხუთშაბათობით დაიარებოდი იმათსა? მე მხოლოდ ხუთშაბათობით არ მივდიოდი იმათსა, რომ შენ არ შეგხეედროდი...“

აქ შევდექი. შუბლზედ ხელი გადვისეი და მძიმედ ამოვიქნეშე. საშინლად მეწყინა. მაროს რამდენჯერმე შევეკითხე:

ზღისი ხომ არ გინახავს მეთქი, და იმან ყოველ ჩემ შეკითხვაზე უარი მითხრა. ერთხელ კიდევაც დამავალა მარომ მიშეუვანა ზდისი. „სულ დავკარგეთ, აღარ გვიჩვენება, გეთაყვა, გაბრო, შემდეგ ხუთშაბათს უეჭველად მოიყეანეთ“. მე განგებ ზდისთან წავედი და რაკი შინ არ დამიხვდა, ბარათი დავუტოვე, რომ მაროსთან მოსულიყო. მაგრამ ის არ მოვიდა. მე ბოლიში მოეიხადე მაროსთან და დავძინე, რომ ზდისი მეც მემალება.

„ცბიერი!“ — წამოვიძახე, ეს რომ მომაგონდა და ბრაზით ავისევი.

მართლა და რა გულ-უპრყვილობა იხატებოდა იმის თვალებში მაშინ!.. მე ჩემ დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ იმას ცბიერობა შეეძლო. მაგრამ...

„დანარჩენი დღეები“, დავიწყე ისევ წერილის კითხვა და თან სიბრაზით კბილებს ვუძერდი: „სულ ჩემ ხელო იყო....“

— „ზდის, ხვალ სადამოს უეჭველად მოდი! — მითხრა მარომ რამდენიმე ფვის შემდეგ, რაც დაგშორდი.

— „ხვალ რომ გაბრო მოვა? უოუოდ დაგავიწყდა, რომ ხეალ ხუთშაბათია.

— „არა, მე არ დამვიწყებია. გაბრო მოვა, მაგრამ ავადგყოფობის მიზეზით არ მივიღებ.

„იმ დღეს კი დავრწმუნდი, რომ შენ სრულებით არ მოსწონდი მაროს. შენს მაგივრადერთ წამს გული მომეწურა, მაგრამ ამავე დროს აღვთროვანდი კიდევაც.

„უოუოდ გეხსომება ეს საღამო?!“

„მახსოვეს, მახსოვეს მეორე ხუთშაბათიც, როდესაც „შინ არავინ არისო“ მიპასუხეს! მახსოვეს ის დღეც, როდესაც მაროს შემთხვევით ქუჩაში შევხვდი და დაეკითხე: რატომ ხუთშაბათობა მოსპევი მეთქი, და იმან მიპასუხა: „საღამოობით საქმე გამიჩნდა და იმისთვის თავისუფალი დრო აღარა მაქვსო“! უნე-

ბურად წამოვიძახე ხმა-მაღლივ და ისევ წერილის კითხვა და-  
ვიწყე: „ამის შემდეგ ყოველი დღე ჩემ ხელთ იყო...“

„მე განზრახვა მქონდა ამომეკითხა მის თვალის სიღრმი-  
დან ყოველივე საიდუმლო, მაგრამ ისე დავბრმავდი, რომ ზედა  
კანსაც ვეღარ ვარჩევდი; ზედა კანიც საიდუმლოებით მოი-  
ცო....“

„ჰელავდა ის ჩემ გადარევას თუ არა, არ ვიცი. მე კი  
მეგონა მარო ვერ ამჩნევდა ჩემ გრძნობას და, აი, გადავწყვიტე,  
სწორედ იმის წინა დღეს, როდესაც შენ ფული გამოგარ-  
თვი, გამომერკვია ჩემი მუგომარეობა. გარემოებამაც ხელი შე-  
მიწყო.“

„სტუმრად ვიყავით. ლამის თორმეტი საათი იქნებოდა,  
რომ მარო მე გამოვაცილე სახლში. გზაში ჩემდა უნებურად  
შევეკითხე: „მშევნიერი ლამეა, ეტლით ხომ არ გაისცირნებთ?“  
სიმოვნებით დამთანხმდა მარო.“

„ი, ი... მარო!.. ხმის კანკალით მიუმართე მაროს, როდესაც  
ჩენ უკვე საბურთალოს გაფუდით, და ხელი დაფუჭირე.“

„მარომ თავი ჩემკენ მოიღო და ისეთი თვალით შემომ-  
ხედა, რომ მეტი ალარა მინდოდა რა. შისი თვალები სიღრმე  
სიგანით დავინახე. რასაც ვეძებდა ვპოვე, ალარ იყო ჩემთვის  
დაკარგული მისი საიდუმლოებით მოცული თვალები. ეხლა ყო-  
ველივე ცხადი იყო ჩემთვის. მხოლოდ გულის თქმას აევსო  
მისი არსება და სხეას აღგილი ალარას ჰქონდა. ყოველიფერს  
დაპერმობდა, ოლონდ გულის თქმისთვის გზა მიეცა. მის თვა-  
ლებში ჰირუტყვი დაცურავდა...“

„საკვირველია, რა წამსაც მარო ჩემთვის  
ცხადი შეიქმნა, უეცრივ ცივი წყალი გადამესხა და გამოვა-  
ფხიზლდი, გამოვერკვიე. სად გაპერა ჩემი ალტაცება, ალფრ-  
თოვანება ასე უეცრივი?... რად გამაგრდა ჩემი მთრთოლეარე  
სხეული? ასე უეცრივა მჩქეფარე გულმა დონეზედ ცემა რად  
დამიწყო?“

„ასე გულ-ცივი ჩემ-დღეში არავყოფილვარ, როგორადაც  
იმ წამს გარდვიქმენ...

„— მოაბრუნე ცხენები!..— ვუთხარი მეეტლეს, რომელმაც  
მყისვე შეასრულა ჩემი სიტყვა.

„მაროს ისევ შევხედე; მინდოდა ჩემი ამოცანა ისევ ამო-  
ცანად დარჩენილიყო, მარო ისევ წინანდელ მაროდ მჩვენე-  
ბოდა, მაგრამ არა, არა და არა!... მის თეალებში ისევ პირუ-  
ტყვი დაცურავდა....

— „ზდის, ჩემო კარგო!— თხოთოლით დაიწყო მარომ და  
ხელი მხარზე დამადო; თეალები კი პირდაპირ თვალებში გა-  
მიყარა...

„— მარო, — ცოტა დარცხვენით დავიწყე და ხელი წელზე  
შემოვურკალე:— მთლად გადარეული ვარ სიყვარულით, მაგრამ  
ვერ ვბედავდი აქნობამდის ცოტაოდნავ მაინც მეგრძნობინე-  
ბინა თქვენთვის ჩემი სულის კვეთება. დღეს კი სრულიად  
დაყრწმუნდი, რომ ყოვლად შეუძლებელია ჩვენი შეუღლე-  
ბა...

„— მერე რამ დაგარწმუნა?— ლმობიერად დამეკითხა მარო  
და უფრო ძლიერად მომეკრა.

„ მინდოდა ზრდილობიანად შემეწყვიტა მაროსთან კავშირი.  
მინდოდა არა ეგრძნო-რა, ისე დავშორებულიყავ მას, მაგრამ  
ეხლა გეიანლა იყო. მარო მევე გამოვიწვიე გრძნობის გამოსა-  
თქმელად და ეხლა ჩემ მხრივ უკან დახევა ძნელი იყო. კიდევ  
ჩავაშტრერდი თვალებში, იქმნება პირუტყვი სადმე განქრა მეთქი,  
მაგრამ ამაოდ. პირუტყვი ისევ დაცურავდა....

„— რამა და სულ უბრალო გარემოებამა: მე ამ დღეებში  
იძულებული ვარ წავიდე სამშობლოში. თუ გითხოვე, მაშინ  
მე იმედი უნდა მქონდეს მოგაშოროთ თქვენს სამშობლოს.  
ეს კი თქვენთვის, როგორადაც გიცნობთ, ძნელი იქნება, მარ-  
თალიკ ხართ...

— ზდის, უთუოდ კარგად ვერ მიცნობთ, რომ მაგას მე-  
უბნებით!..

„არა, მარო, ძალიან კარგად გიცნობთ და ამისთვის გე-  
უბნებით!..

„— ნუ თუ გვინიათ, მე გაბროს-დამეავებულ აზრების მი-  
მდევარი ჟიყო?!.. თუ ასე ჰფიქრობთ, სცდებით...“

„— დამეავებულ აზრებზე არას მოგახსენებთ. მე მწამს,  
რომ სამშობლო ყოველისფერზე უძეირფასესია და ამისთვის  
მოგახსენებთ...“

„— ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც მე ვიქმნები,  
სამშობლო იქ იქმნება! — აღგზნებით წამოიძახა და თავისი  
მთრთოლევარე ტუჩები ჩემ ტუჩებს შეახო.“

„— ხვალე, ხვალე!.. კოცნის დროს ვცდილობდი ჩამეგო-  
ნებინა, რომ ხვალ გადავწყვიტოთ ყველაფერი მეთქი, მაგრამ  
ვერ შევაგნებინე.“

„— სადაც გინდა იქ წამოვალ!.. ყველაფერს დავივიწყებ!..  
— შმაგივით მეტვევოდა და თან ამას გაიძახოდა.“

„— მარო, ხვალ მოვალ და ყველაფერზედ მოვილაპარა-  
კოთ!.. — მკვახეთ ვუთხარი და შევაყენე ეტლი იმათ კარებზედ.  
თანკი მის თვალებს თვალს არ ვაშორებდი...“


„ მეგობარო, ერთ წამსაც არ მოჰშორებია მის თვალებს  
პირუტყვი! დავალწიე თუ არა თავი, შაშინვე გაღავწყვიტე,  
თვალით აღარ დაენახვოდი და მეორე დღეს შენთან წამოვედი  
ამის სამშობლად. მაგრამ ველარ მოვახერხე და საგზაო მოვი-  
გონე. სამაგიეროდ ეხლა გწერ...“

შენი ზდისი.

წ. კ. მინდოდა კიდევ მომეწერა, მაგრამ წერილი ისეც  
გაგრძელდა. თითონ შენ დასკვნი და აბისთვის მე ალარას გწერ.  
მხოლოდ ამას გეტყვი, რომ ჩეენი ქალები სულ სხვას იძახიან  
ამ შემთხვევაში: „ ჩემი გული ჩემი სამშობლოსია და თუ ჩემი

სამშობლო არ იქმნება, ნურც ჩემი გული იქმნებაო... აოჩვენი  
ქალების წმიდათა წმიდა და თავიანთ გულს კიდევაც ანაცვა-  
ლებენ სამშობლოს... მგონი, თქვენი ვაუებიც ეთანხმებიან მა-  
როს აზრს. ჰომო?!.

ზღისი.



D. Shvartz

# ორი օგოლი

(„ურმული“ სიმღერა)

მოგვიყდა, შეინდავ, შატრონი  
ჩენი მოშველები, შემნახი;  
სუეველა დხრად დაურჩა —  
ტექ, მინდონი და გენახი!

— ადარ გვეავს ჭირისუფალი...  
ვინ გადაგვისგამს ზურგზედ ხელს;  
დილით ვინ დაგვპანს, დაგვგარცხისის  
და ვინ დაგვიურის უგრეხელს?!

— დილით ვინ დაგვიურვებს,  
ნაღამურს მოგეწმენდს თვალებსა,  
ციკს წეროზედ ვინ ჩაგვრეგავს  
უგრეხელითა მოფრალებსა!

— ვინ შეგვისტება კოფლზედ,  
შესძახებს აროველასა...  
გულის სიმწარით ვინ მოსთქვამს  
ჩენი ცხოვრების უველასა!..

— ადარ გვეავს ჩენი იღუა  
მთელი ჩენი სოფლის თვალი,  
განთქმული გუთნის დედა,  
მხექ მეურმე, ის საწეალი!

ଶେର୍ଷ୍ୟେର୍ଦା ମତା-କାନ୍ଦିଳ «ଯଗମିଲୁଣିଲା»  
ଠିଲ୍ଲୁପା କଥିଲା କରିବାଲା;  
ମିଳ ନାମ୍ରାଜୀର୍ଦ୍ଦ ତୁମିଥିଲୁ ପ୍ରମିଳାଙ୍କାନ୍ତିର୍ଦ୍ଦ  
କ୍ଷେତ୍ର-କ୍ଷେତ୍ରିଲାଲ ଧରିବାଲା!

ରାତ୍ରିକାଳିଲାଲା, କଥିଲାଲା ପରମାଦ୍ଵୀ  
ରାତ୍ରିକାଳିଲାଲା ମିଳିଲା କ୍ରମିଲାଲା;  
ସିମ୍ବିନାରିତ ମତା-କାନ୍ଦିଳ ପ୍ରମିଳାଙ୍କାନ୍ତିର୍ଦ୍ଦ  
ମନ୍ଦିରିଲା ମାଧ୍ୟମିଥି ଶେମକ୍ଷେତ୍ରିଲା!

ନେତ୍ରୀ ମାତ ଗିନ ଅନ୍ତର୍ବେଶୀଲା,  
ଗିନ ମତାର୍ଥୀନାଲା ମାତ ମତିରାଲ ତ୍ରୈତାଲା:  
ଠିଲ୍ଲୁପା ଗିନ ରାତ୍ରିକାଳିଲାଲା,  
ଗିନ ରାତ୍ରିକାଳା ଧେରିଲା ଗାଲା!

ରାତ ଗାନ୍ଧୀରାତି ଅନ୍ତର୍ବେଶୀଲା,  
ଏ ସିମ୍ବିନାରିତ ରାତ ପରମାଦ୍ଵୀ  
ନେତ୍ରୀ, ଠିଲ୍ଲୁପା ରାତ୍ରିକାଳିଲାଲା,  
ନେତ୍ରୀ ଧେରିଲାଲା ଫିରିଲା!

ଏତା, ଶ୍ଵରିନ୍ଦ୍ରାଜ! ମାତିର ପରମାଦ୍ଵୀ,  
ସାନ୍ତ୍ରେଲାଲାଲା ଏଥି ମତାର୍ଥୀନାରିତ,  
କ୍ଷେତ୍ରିଲା କଥିଲାଲ ପରମାଦ୍ଵୀଲାଲା,  
ପରମାଦ୍ଵୀଲା କ୍ଷେତ୍ରିଲା ମଧ୍ୟନାରିତ.

ସାନ୍ତ୍ରେଲା ପରମାଦ୍ଵୀଲ ଗାନ୍ଧୀରି, ଗାନ୍ଧୀଲାଲାଲା,  
ଗାନ୍ଧୀଲାଲାଲା ଏଥା ଲେଖା ଏ ଶ୍ଵରିନ୍ଦ୍ରାଜ? —  
ପରମାଦ୍ଵୀଲାଲ ପାନ୍ତିରାଲ ପରମାଦ୍ଵୀଲାଲାଲା  
ପରମାଦ୍ଵୀଲାଲ ପରମାଦ୍ଵୀଲାଲା ପରମାଦ୍ଵୀଲାଲା.

୧. ପରମାଦ୍ଵୀଲାଲା

# ვინ იყო მოგიდან ეპისკოპოზი?

„ქართლის ცხოვრებაში“ სწერია: „ამის არჩილისა ზე გარდაიცვალნეს სამნი ებისკოპოსნი: ითანე, გრიგოლი და ბასილი და ბასილისა შემდგომად ამანვე არჩილ დაბვე ებისკოპოზი, რომელსა ერტვა მობიდან. ესე იყო ნათესავით სპარსი, აჩვენებდა იგი მართლმადიდებლობასა, ხოლო იყო ვინშე მოგვი უსჯულო, შემშლელი წესთა, და ეერ უგრძნა არჩილ მეფებან და ძემან მისმან უსჯულოებად მობიდანისი, არამედ ჰელიონებდეს სარწმუნოდ. და ვერც განაცხადებდა მაშინ ქადაგებასა სჯულისა მისისა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა, რომელი შემდგომად დაწვა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ებისკოპოზმან მიქელ“. (იხ. ქართლის ცხოვრება, გამოცემა ბროსესი, გვ. 110, ზ. ჭიჭინაძისა, გვ. 155).

ვახუშტი სწერს თავის ისტორიაში: „ხოლო ამის არჩილისზე გარდაიცვალნენ ეპისკოპოსნი სამნი: ითანე, გრიგორი და ვასილი. ამან დასვა მობიდა, ხოლო ესე მობიდა იყო მოგვი სპარსი და იჩემებდა სარწმუნოებასა, არამედ ფარულად ჰწერდა წიგნთა ბოროტთა, რომელნი შემდგომად ამისა დასწანა ეპისკოპოსმან მიხაილ“. (იხ. საქართველოს ისტორია ვახუშტისა, გვ. 87).

ეს სიტყვები ჩვენის მატიანისა და ვახუშტის ისტორიისა დღევანდლამდე ისე ესმოდათ ჩვენს ისტორიკოსებს, ვითომც არჩილ და მირდატ შეფეხების დროს, მეხუთე საუკუნის პირ-

ველს ნახევარში 410—446 წლებს შორის, საქართველოში ყოფილიყოს ეპისკოპოსად ვინმე სპარსი, სახელიც მობიდანი, რომელიც მხოლოდ თავს აჩვენებდა მართლმადიდებლად, ხოლო ნამდვილად კი ყოფილი მოგვი (ცეცხლის თაყვანისმცემელი) და საიდუმლოდ უწერია ქრისტიანობის წინააღმდეგ წიგნები, რომელნიც შემდეგში დაუწევავს მის ადგილზე განწესებულს ეპისკოპოსს მიქაელს. ამ აზრს ადგვნან პირდაჭირ ს. ბარა-თაშვილი, დ. ბაქრაძე და ე. თაყაიშვილი, ხოლო ბროსე, პ. იოსელიანი და თ. ეორდანია ცოტა კრიტიკულად უცუ-რებენ მატიანის ასეთს ცნობას და გამოსთვენ აზრს, ვი-თომ მობიდანი ყოფილიყოს ნესტორიანზ, არიანი, ანუ მანი-ქვედლი.

ჩვენ ამ შენიშვნაში აზრად გვაქვს გავარკვით, რამდე-ნად უსაფუძველოა მატიანის ხსენებულის ცნობის ასეთი თუ ისეთი განმარტება და რანაირად უნდა გაგებულ იქმნას იგი ცნობი.

როგორ მომხდარა, რომ სპარსი მოგვი შექნილა საქარ-თველოს ეპისკოპოსად? როგორც ეიცით, მეოთხე და მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლანმდე საქართველოს ეპისკოპო-სებს ნაშნაედა ანტიოქიის პატრიარქი და ნუთუ შესაძლებე-ლიდა, რომ პატრიარქმა გამოგზანა საქართველოს სამწყსოდ სპარსი და ისიც მოგეი? თუ იმას ვიტყვით, რომ მომიდანი იქნებოდა დანიშნული ეპისკოპოსად საქართველოს მეფის არ-ჩილის არჩევით და, მაშასადამე, ანტიოქიის პატრიარქს შეეძლო არა სცოდნოდა მისი ეინაობა, შაინც კიდევ საკითხავია, ნუთუ საქართველოს მეფე აირჩევდა ეპისკოპოსად სპარსს და იმასაც მოგვს. იქნება იურქონ, რომ მობიდანი თავის თავს აჩვენებდა პატრიარქსაც და მეფესაც ურთგულს მართლმადიდებელს ქრის-ტიანიდ მოგვობის მიტოვების შემდეგ და ამიტომაც იქნა გან-წესებული ეპისკოპოსადათ, ხოლო ეპისკოპოსად გახდომის შემდეგ დაიწყო საეკლესიო წესების შლა და საიდუმლოდ სამა-ცოლო წიგნების წერათ.

საქმე ის არის, რომ როდესაც კაცი გარევნად უძრპყოფს თავის რწმენას და სჯულს და დაიჩემებს უცხო რწმენას და სჯულს, როგორც ეს უნდა ექნა მოგვს მობიღანს, უთუთად რამე ინტერესი უნდა ჰქონოდეს. ეს ინტერესი იქნება არაგვა-რი: საზოგადო, იდეითი, ან ჭირადი, ანგარებიანი. რა ინტე-რესი უნდა ჰქონოდა მობიღანს, როდესაც ის დასტოვებდა მოგვობას, მიიღებდა ქრისტიანობას და გახდებოდა ეპისკოპო-სად: იდეითი თუ ანგარებიანი? თუ იდეითი იყო — ეს ინტე-რესი იქნებოდა შემდეგი: ეპისკოპოსობის უფლებით აღჭურ-ვილს გაერყვნა საქართველოს ეკკლესია და გაეგრცელებინა თავისი სარწმუნოება. მაგრამ შეეფერებოდა თუ არა მანანს არჩეული საშუალება? უეპველია, არა. მობიღანი, როგორც ეპისკოპოსი, იძულებული იქნებოდა გარევნობით, მოჩენებით სიკვდილამდის თავის თავი ქრისტიანად და ქრისტიანულის მოძღვრების დამცველად ეჩვენებინა. იმას არ შეეძლო პირდა-პირ ექადაგნა რამე ძირითადად და არსებითად წინამდებარების ტაქტიკისა ცეცხლის მსახურებრის სასარგებლობად. მაშასადა-მე ცხადის თავის ქცევით მობიღანი ვერაფერს დაკვლებდა ქრისტიანობას და ფერაფერს შესძენდა თავის სჯულს. ხოლო მისი საიდუმლო მოქმედებაც უნაყოფო უნდა ყოფილიყო, რადგან, ჯერ ერთი, საიდუმლოდ, ფარულად, მოკრძალებით უფრო ძნელიდ კეთდება საქმე, ვიღრე ცხადად; მეორეც ესა, ცეცხლის კულტისთვის მაშინ ცხადად საქადაგებლადაც საქართველოში ფართო და თავისუფალი ნიადაგი აღარ იყო დასა-დუმლო ქადაგებისთვის ხომ სულ აღარ იქნებოდა. მისითან ეს საიდუმლო ქადაგება მოითხოვდა საიდუმლოვე აგრნტებს, რომ-ლებიც უეპველად ისევ სასულიერო პირნი უნდა ყოფილი ნენ. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს ცეცხლის მსახურებაზე მოსაქცევად გვის-კოპოსადაც და მღვდლებადაც სულ მოგვები განწესებულონ, რაიცა საფიქრებელი არ არის. ან რა შენებრივი ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა ეპისკოპოსის საყდარზე მჯდარს მოგვს იმ ქრის-ტიანებზე, რომლებისთვისაც ის სწერდა სამაცდურო წიგნებს?

განა არ იტყოდენ ისინი, რად ზის თითონ მობიდანი ეპის-  
კოპოსად, თუ მოგვობა სჯობიაოს ხოლო თუ ვიფიქრებთ, რომ  
მობიდანი თავის სახელით კი არ იგრულებდა სამაცდურო  
წიგნებს, არამედ სხვის სახელით ან უსახელოდ, მაშინ ხომ  
გაუგებარი ხდება მისი თვალომაქცური ქცევა. იმას, როგორც  
ზოროასტრის სარწმუნოების ინტერესების დამცველს, შეეძლო  
არც გარეგნობით ეღალატნა თავის სჯულისთვის და მოქმე-  
დებითაც უფრო მეტის წარმატებით ემოქმედნა საქართველოში  
თავის სჯულის გასავრცელებლად თუნდა იმავე სამაცდურო  
წიგნების საიდუმლოდ წერით. ამნაირის ქცევით ის არ გაა-  
კეთებდა იმაზე ნაკლებს, რასაც თავის მატყუარობთ.

იქნება ისიც ითქვას, რომ მობიდანისთვის, როგორც სპარ-  
სეთის მთავრობის საიდუმლო აგენტისთვის, ისიც საქმარისია  
იყო, რომ საქართველოს საეკულესიო წესები გაერყყნა, არევ-  
დარევა გამოეწვია და ეს ეკულესია დაეშორებინა ანტიოქიის  
ეკკლესიისაგან. შეიძლება საქართველოს განშორება საბერ-  
ძნეთის მართლმადიდებელის ეკკლესიისგან სასურველი და სანა-  
ტრელიც ყოფილიყოს სპარსეთისთვის, მაგრამ ის კი საფიქრე-  
ბელი არ არის, რომ მას ამ სანატრელის ასასრულებლად მიე-  
მართოს იმისთანა საშუალებისთვის, როგორც მოტყუებით  
თავის აფენტის საქართველოს საეპისკოპოსო საყდარზე იყვანაა.  
ეპისკოპოსის განწესება საქართველოში სპარსეთის მთავრობის  
საქმე არ იყო და საიდგან მოუეიდოდა მას ფიქრად, რომ  
უთუოდ ჩემს აგენტს დასვამს ანტიოქიის პატრიარქი ან საქარ-  
თველოს მეფე საქართველოს ეპისკოპოსადო. მეორეც ესა, სპარ-  
სეთი მაშინ ისე მძლავრი და ამაყი იყო, რომ ის არჩევდა  
პირდაპირ ძალით გაევრცელებინა თავის სჯული, ვიღრე ქრის-  
ტიანებში მწვალებლობა გამოეწევია ამისთანა შარლატნ ურის  
ხერხის ხმარებით. მართალია, სპარსეთის მართებლობა მფარვე-  
ლობდა თავის საბრძანებელში ზოგიერთა მწვალებლებს მართლ-  
მადიდებელის საბერძნების მტრობით, მაგრამ იგი იმას კი არ  
აკადრებდა, რომ ზოროასტრის სარწმუნოების მოსამსახურე

შოგვები შარლატნებად გადაექცია და მათ საშუალებით მწვალე-  
პლობა გაეჩინა ქრისტიანთა შორის.

არც პირადის, ანგარებიანის ინტერესით შეიძლება აიხსნას  
შობილან მოგვის გაქრისტიანება და შემდეგ ეპისკოპოსობაში  
მისი მოღვაწეობა. ეინც პირადის ინტერესით რჯულს იცვლის, ის  
აღარც ემსახურება ძველს სჯულს; პირიქით, უფრო მხურვალე  
მდევნელი ხდება ძველის რჯულისა, თუნდაც გულით არ იყ-  
ყვეს ახალის რჯულის მიმდევარი. პირადის ინტერესით რჯუ-  
ლის მოღალატენი თავის საქციელით საფრთხეში აღარ აგდე-  
ბენ თავიანთ თავს და აღარ ირჯებიან სამაცდურო წიგნების  
წერისათვის.

ამ მოსაზრებათა ძალით, დასაჯერებელი არ არის, რომ  
მობიდანს, გულით მოგვს, განგებ ქრისტიანობა მიეღოს ეპის-  
კოპოსობაში ეკლესიის წესების გასარყვნელად და საიდუ-  
შლო წიგნების საშუალებით თავის მოძღვრების გასავრცელებ-  
ბლად.

ამიტომაც იყო, რომ ბროსემ, იუსელიანმა და უარდანიამ მა-  
ტიანის ცნობა ცოტა სხვანაირად განმარტეს და გამოსთქვეს აზრი,  
რომ მობიდანი უნდა ყოფილიყოს მოგვი კი არა, არამედ ნე-  
სტორიანი, არიანი ან მანიქეველი და მართლ-მაღიდებლობის  
წინააღმდეგს მოძღვრებას ავრცელებდათ თუმცა ეს აზრი უფ-  
რო დასაჯერებელია და კუუაზე მოსასვლელი, ვიღრე პირვე-  
ლი, მაგრამ არც ეს არის საფუძვლიანი. ჯერ ერთი, ეს აზრი  
პირდაპირ ეწინააღმდეგება მატიანის სიტყვებს, რომ მობიდანი  
იყო სპარსი მოგვიო. მოგვი ნიშნავს ცეკვლის-თაყვანების აღ-  
მსარებელს სასულიერო პირს და შეუძლებელია მემატიანეს არ  
სცოდნოდეს — რა განსხვავებაა მოგვსა და ნესტორიანს, არიანს  
ან უ მანიქეველს შორის. ნესტორიანი, არიანი ან მანიქეველი  
რომ ყოფილიყო მობიდანი, მატიანე პირდაპირ იტყოდა. მე-  
ორე ის, რომ მობიდანი რომ ნესტორიანი, არიანი ან მანიქეველი  
ყოფილიყო, იმას, როგორც მთავარ-ეპისკოპოზის ცალკე დამო-  
უკიდებელის ქვეყნისას, შეეძლო თავისუფლად ექადაგნა თავი-  
სი მწვალებლობა და არ მორიდებოდა არც შეფეხს, არც ერს,

მთრიანე კი ამბობს: „ვერც განაცხადებდა (მობიდანი) მაშინ ქადაგებასა სჯულისა მისისა შიშისაგან მეფისა და ერისა, არა მედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცურებელისანა.“ სა-ქართველო ოხალი გაქრისტიანებული იყო, მართლ-მაღიდებ-ლობა ჯერ არ იყო გამჯდარი ხალხის ძვალსა და რბილში, მაშინსადამე, მთავარ-ეპისკოპოსი რას დაერიდებოდა ექადაგნა-ცხადე თავისი ქრისტიანული მოძღვრება, თუნდაც განსხვავე-ბული ანტიოქიის მართლ-მაღიდებელის ეკლესიის მოძღვრები-საგან. რა წარმოსადგენია, რომ ქართველი ხალხი ან თუნდა მეფე შესულიყვნენ იმის განხილვაში, თუ რამდენიდ შეეფე-რებოდა მართლმაღიდებლობას მათი ეპისკოპოსის საეკკლესიო განკარგულებანი ანუ მოძღვრებანი. მწვალებლები არ ერიდე-ბოდენ ცხადად თავიანთ მოძღვრების ქადაგებას იქ, სადაც უფ-რო მკვიდრად იყო ქრისტიანობა დამყარებული და სადაც უფ-რო მცოდნე მოწინააღმდეგებნი ჰყავდათ და ნუ-თუ მოერიდე-დებოდა ცხადად ქადაგებას რომლისამე მწვალებლობის გულ-შრფელი მიმდევარი ეპისკოპოსი საქართველოში, სადაც, რო-გორც საფიქრებელია, ის უნდა ყოფილიყო ერთად-ერთი უფ-ლების მექონე ეპისკოპოზი და სადაც ლეთის-მეტყველების ღრმა ცოდნა ფრიად ნაკლებ უნდა ყოფილიყო გავრცელებული? ამ მოსაზრებისა გამო ბროსეს, იოსელიანის და ეროვნულის აზრიც მობიდანის ნებტორიანობის; არიანობის ან მანიქეველობის შე-სახებ შეუწყნარებულია.

ან რა სახელია მობიდან? ეს სახელი არ იპოვება ქრისტიანთა კალენდარში და რა საფიქრებელია, რომ ანტიოქიის პატრიარქისგან დანიშნულს ეპისკოპოსს რქმეოდეს მო-ბიდან, არა ქრისტიანული სახელი. ქრისტიანობის მიღებიდან კითოლიკოზობის შემოღებამდე ანტიოქიის პატრიარქისგან დანიშნული ეპისკოპოსები აქართლის ცხოვრების“ ჩვენებით არიან: იოანე, იაკობ, იოანე, ელია, სეიმონ, იონა, იოანე II, გრიგოლ, ბასილ და მიქაელ. არა ქრისტიანულის სახელით იხსენება ეპისკოპოსად მხოლოდ მობიდანი. სხვა რომ არა იყვეს, რა, მარტო მთ ერთს გარემოებას შეეძლო. საეჭვოდ დაედო მაც

ტიანის ცნობა, რომ საქართველოში ყოფილიყვეს ეპისკოპოსი მობიდანი. ხოლო თუ ჩავუკირდებით ამ სახელს და გავიჩიევთ მის მნიშვნელობას, მაშინ ხომ უფრო საეჭვოდ გახდება მობიდანის ეპისკოპოსობა. მობიდანი ძველ-სპარსულს ენაზე ნიშნავს ცეცხლის თაყვანის-მცემელთა მთავარს მღვდელს, ანუ მღვდელ-მთავარს, ისე როგორც ქრისტიანებში სიტყვა არქია. ედა ანუ თვით კბასკობასი. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით იხმარება თვით „ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასალის ცხოვრების აღწერილობაში: „და წარეიდა ვახტანგ მეფე შინა ხვალის-დღე, შიავლინა ვახტანგისა ბაზარის საკუთარი და მთავარი და პრეზა ესრეთ გორგასალსა“ (იხ. ქ. ც. ბროსეს გამოცემა, გვ. 136., კიკინაძისა—გვ. 191). როგორც ბაზარის, ისე მობიდან აქ საკუთარი სახელები კი არ არიან. არამედ თავამდებობისა—ერთი სამხედროსი, მეორე სასულიეროსი.

ყველა ამ მოსაზრებათა საფუძვლით ჩვენ იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ ის პირი, რომელსაც მატინე იხსენიებს მობიდან ეპისკოპოსად, ქრისტიანთა ეპისკოპოსი კი არ იყო, არა მედ ცეცხლის-თაყვანის-მცემელთა მღვდელ-მთავარი, რასაც აღნიშნავს თვით სახელი მობიდანი. რა ნაირად უნდა მომხდარი იყო, რომ ცეცხლის თაყვანის-მცემელთა მღვდელ-მთავარი მატიანეს ფალაგეტია ქრისტიანთა ეპისკოპოსად და ასეთი უშევრი შეცდომა დამყარებულიყო ჩვენს საისტორიო მწერლობაში?

საქმე ის არის, რომ საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ცეცხლის თაყვანისცემა არ მოსპობილია. პირიქით, სპარსეთის მთავრობა უფრო მეტის ენერგიით შეუდგა ამ კულტის საქართველოში დაცვის და გავრცელების. ეს ის დრო იყო, როცა სასანიანთა დინასტია, ახლად გამეფებული სპარსეთში, შეუდგა ამ კულტის აღდგენას თვით სპარსეთში თავის ძველის სიწმინდით. სპარსელებმა მეფე მიზადა და მათ დიანის თქმით, აულელთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლის მსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი;\* ანუ, უახუშტი

თქმით, „ჰქონეს საცეცხლე მცხეთას ქალაქსა შინა.“ თავიანთ სარწმუნოების დასაცეცხლად და გასაერცელებლად სპარსელები, უყველია, ამავე დროს მოგვებთან ერთად გამოგზანიდენ მცხე-თაში ცეცხლის მოსავთათვის მოგვების უფროსს ანუ მობი-დანს, რომელიც უდრის ქრისტიანთა ეპისკოპოზს, რისთვისაც პირდაპირ ეპისკოპოზად იხსენიებენ მას. ამას ჩვენ ვიგულებთ იმის მიხედვით რაც მოხდა შემდეგში მირდატ V სიკვდილის შემდეგ, როდესაც ვახტანგ გორგასალი 7 წლის ყრმა დარჩა. ვახტანგ გორგასალის დედამ საგდუხტმა სთხოვა თავის მამას რანის ერისთავს ბარზაბოდს, რომელსაც სპარსეთის მთავრობა ბისგან მინდობილი ჰქონდა ფრეთვე საქართველოც, რომ შეე-ბრალებია ის და მისი შვილი ვახტანგ, არ აეკლო საქართვე-ლო და არ აეძულებინა ქართველები ქრისტიანობის დატევე-ბისათვის. ბარზაბოდმა უპასუხა: „იძულებით არცა ვის სხვას, ქართველსა დაგატეობებ სჯულსა ქრისტესსა, არამედ მივგზა-ნე ცეცხლის მსახურნი ქალაქს თქვენს. და იყვნენ მუნ მათ-ზედა ეპისკოპოზი სჯულისა ჩვენისა — და ვინცა ქართველი ნე-ბითა თავისითა აღირჩევდეს სჯულსა ჩვენსა, ნუ აყენებთ.“ შე-მდეგ მატიანე ვანაგრძობს: „მაშინ ბარზაბუდ წარმოგზავნა ცე-ცხლის მსახურნი მცხეთას და მათზედა ეპისკოპოზისად ბინქარ და დასხდეს მოგვთას... ხოლო ბინქარიან ეპისკოპოზი მცხე-თელთა, რომელი იყო სპარსი, ცეცხლის მსახური, ასწავებდა ქართველთა სჯულსა თავისსა. არამედ არავინ ერჩდა წარჩინე-ბულთაგანი, გარნა წვრილისა ერისაგანი მიაქცია მრავალი ცე-ცხლის მსახურებასა“ (იხ. ქ. ცხოვრება ბროსესი გვ. 111 და 112, ჭიჭინაძისა გვ. 154—155). ვახუშტის თქმით, ბარზაბოდ-მა „მოგზავნა ცეცხლის მსახურნი მცხეთას და ეპისკოპოზის მა-თი ბინქარ“ (იხ. ხაქართ. ისტორია, გვ. 88).

ამ ნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ სპარსელები გზავნიან მცხე-თას ცეცხლის მსახურთ და მათ უფროსს ბინქარს, რომელსაც მატიანე პირდაპირ ეპისკოპოზი უწოდებს.

რაც მოხდა ვახტანგ გორგასლანის გამეფებას პირველს წელს, აღვილად მოხდებოდა მის პაპის — არჩილის დროსაც. ამ

დროს სპარსთაგან დანიშნული ცეცხლის მსახურთა უფროსი, უეჭველია, ისევ ეპისკოპოსად იქნებოდა წილებული, და სწორედ ამ სახელწოდებას მოუხდენია ის გაუგებრობა, რომლის წყალობითაც ცეცხლის მსახურთა უფროსი, ანუ სპარსულად მთაბიძნი, მიუღიათ შემდეგში ქრისტიანს ეპისკოპოსად და ამისთანა გაგების მიხედვით ცოტაოდნად შეუცვლიათ მატიანის ტექსტი.

ზემოდ მოყვანილი მატიანის სიტყვები: „აჩჩალისა-ზე გარდა ცვალნებ სამნი ეპისკოპოზნი იოანე, გრიგოლ და ბასილი და ბასილისა შემდგომად ამანეკ არჩილ დასვა ეპისკოპოსი, რომელსა ერქვა მობიდან“ და სხვ., უნდა იყვეს შეცვლილი რედაქცია. იმ ტექსტისა, რომელშიაც სამის ქრისტიანის ეპისკოპოსის ხსენების შეძლევ იქნებოდა მოხსენებული მობიდანის (ცეცხლის მსახურთა ეპისკოპოსის) განწესება და მის მოქმედება. ცხადია, ძევლი რედაქცია, სადაც მოხსენებული ყოფილა ეპისკოპოსი, რომელიც იყო უსჯული მთაბი, მშდელი წესთა, საიდუმლოდ მწერალი საცოტოებათა წიგნებისა, როგორც ვასტანგის დროს მოხსენებულია, ბინქარ ეპისკოპოსი, რომელი იყო სპარსი, ცეცხლის მსახურთა და ასწავებდა ქართველთა სჯულისა თვითსასა, ვერ გაუვია შემდევის ლროის მწივნობარს და სხვათა ადველიდ გაგებისათვის გადაუსწორებია მატიანე, რასაკვირველია, ისე, რომ სულ შეუცვლია აზრი და ცეცხლის მსახურთა ეპისკოპოსი, ანუ მობიდანი გადაუქცევია ქრისტიანს ეპისკოპოსად, ვითომ მობიდანად წილებულად, რომელიც საიდუმლოდ უხხრის ძირს ქრისტიანობას.

უეჭველია, არჩილის და მიზანდატის მატიანე ცალკე ყოფილი შედგენილი ვასტანგ გორგასალის მატიანისგან, თორებევისაც წაკითხული ექნებოდა ვასტანგის მატიანეში ბინქარ ეპისკოპოსის ამბავი, ის უთუოდ მიხედებოდა მობიდანის ვინაობასაც. სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ შესწორებულს ტექსტს, მოუწევია არჩილის ცოვრებისას. მის ძველი ტექსტი, ეტუმბა ადრევე დაკარგულა, რადგან ახალის გასწორებულის ტექსტის,

მის ედვით უსწორებიათ შემდეგში თვით ვახტანგ გორგასალის შატიანეც, რომელშიაც მოიპოვება შემდეგი აღგილი: „და შეერია ქართლსა შინა წერილსა ერსა ზედა ცეცხლის მსახურება ამისთვის მწუხარე იყო დიდად საგდუხტ დელოფალი, არამედ მძლავრებისაგან სპარსთასა ვერა რა იკადრებდა. მაშინ მოიყვანა მლვდელი კეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქელ და დაადგინა ზემოსა ეკლესიასა, რამეთუ მობიდჩნ ებისკომისად გრძელდაცგადებულ იყო და ეს მიქელ ეპისკოპოსი წინააღმდეგა ბინქარს მაცოცხასა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, გამოც. ბროს ესი, გვ. 112, ჩ. კიკინაძისა, გვ. 155). ვახუშტის თქმით, „მაშინ დელოფალმან მოიყვანა კეშმარიტი მლვდელი მიხაილ და დასვა ეპისკოპოსად (რამეთუ მობიდა გრძელდაცგადებულ იყო), ეს მიხაილ აღმდეგა ბინქარს“ (იხ. გვ. 29). როგორც ვახტანგ გორგასალის შატიანეში, ისე ვახუშტის ისტორიაში სიტყვები რამეთუ მობიდან გრძელდაცგადებულ იყო განვებ იმიტომ არის ჩამატებული, რომ თავიანთი ცნობა დაეკავშირებინათ არჩილის მტკიანის ცნობასთან.

მობიდანის ქრისტიანს ეპისკოპოსად დასმა თითქოს ვახუშტისაც არ სჭამსო, იმ ნაირად აქვს მას ეს ამბავი მოხსენებული. იგი სწერს: „ხოლო არჩილის ზე გარდაიცვალნენ ეპისკოპოსნი სამნი: იოანე, გრიგოლ, ვასილი. ამან დასვა მობიდა. ხოლო ეს მობიდა იყო მოგვი სპარსი და იჩემებდა სარწმუნოებასა, არამედ ფარულად სწერდა წიგნთა ბოროტთა, რომელი შემდგრმად ამისა დასწენა ეპისკოპოსნან მიხაილ“ (იხ. გვ. 87): ვახუშტი აქ ისე სწერს, თითქო არ უნდა მობიდას ებისკომისად უწოდოს ან მართლმადიდებლობის დამჩერებლად აღნიშნოსო. ვახტანგ გორგასალის ისტორიაში ზემოც მოხსენებული ფრაზა (რამეთუ მობიდა გრძელდაცგადებულ იყო) რომ არა ჰქონდეს ვახუშტის ჩამატებული, ჩვენ ვითიქჩებდით, რომ მას სწორედ გაუგია მობიდას ვინაობა და არა სთვლის მას ქრისტიანს ეპისკოპოსად „არამედ ცეცხლის მსახურთი უფროსად“. ესეთი ორკოფი რედაქცია ვახუშტისა, უეკველია,

აიხსნება იქითი, რომ ეჭვი ჰქონია მასაც მთბიდანის ვინაობისა.

ის გარემოება, რომ ვახტანგ გორგასალი ისეთის პატივისცემით ეკიდება (კეცლის მსახურთა მღვდელ-მთავარს (მატიანის თქმით, ეპისკოპოსს) ბინქარს, გვაფიქრებინებს, რომ მისი თანამდებობა ახალი დაარსებული არ უნდა ყოფილიყო. მემატიანე ამბობს: „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქნი და განმზადა მეფებან სახლი ერთი და დასჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნიგე ეპისკოპოსნი დასხდეს საედართგვე, და სხვანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა“ (იხ. ქართ. ცხოვრება. გამოც. ბროსესი, გვ. 113. ჩ. ქავინაძისა, გვ. 157), აქ ხსენებულნი ორი ეპისკოპოსნი არიან: მართლმადიდებელი მიქელ და ცეცხლის თაყვანისმცემელი ბინქარ. ბინქარს, უეპველია, ეყოლებოდა წინა-მოადგილე ანუ წინა-მოადგილები, რადგან მირდატ IV დატყვევებიდან მირდატ V სიკვდილამდე გავიდა 36 წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ორი მობიდანიც გამოიცვალა. პირდაპირი წინა-მოადგილე ბინქარისა, ჩვენის ფიქრით, უნდა ყოფილიყო სწორედ ის მობიდანი, რომელიც მატიანეში მოხსენებულია ურჯულო ეპისკოპოსად.

ახლა საჭიროა ვიცოდეთ, რა ერქვა ამ მობიდანს, მოგვთა უფროსს. ამას გვაუწყებს „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა, რომელიც თუმცა სრულებით არ ისტენიებს მთბიდანს, მაგრამ სამაგიეროდ ისტენიებს ერთს ისეთს პირს, რომელიც, უეპველია, არის იგივე მთბიდან ეპისკოპოსი ქრონიკის თქმით მირდატ V-ის დროს „მთავარ-ეპისკოპოსი იყო გლონიჭით და ესე მთავარ-ეპისკოპოსი ერისთავადცა იყო ბაზზაბად ბიტიახ-შისაგან ქართლს და ჟერეთს“ (იხ. სამი ისტორიული ქრონიკა ე, თაყაიშვილისა გვ. 28).

აქ მოხსენებული მთავარ-ეპისკოპოსი, ცხალია, არის ცეცხლის თიყვანისმცემელთა მღვდელ-მთავარი ანუ მობიდანი.

გარდა იმისა რომ მისი, არა ქრისტიანული სახელი გლოვან კორ ამას გვაფიქრებინებს, ეპეს გარეშე სდეპს მის ცეცხლის მოსავობას მისი თანამდებობა, რომელიც სპარსელებს მიუნდვიათ მისთვის. ყოვლად შეუძლებელია, რომ მეზუთე საუკუნეში სპარსელებს მიეცეთ თავიანთ უფლების წარმომაზენლობა საქართველოში მართლმადიდებელის ეპისკოპოსისთვის. „ქართლის მოქცევის“ ავტორისაც ისეთივე შეცდომა მოსვლია, როგორიც „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეს. იმასაც ცეცხლის თაყვანის მცდელი მართლმადიდებელად მიუღია და ამ შეცდომის მიზეზი ისევ ის ეპისკოპოსის სახელწოდება ყოფილა. ამ შეცდომის გარეშე. „ქართლის მოქცევის“ ქრისტიანების ის ღირსება აქვს, რომ დაუცავს საკუთარი სახელი „ეპისკოპოსის“ გლოვანქორი და მოუხსენებია მისი სხეული თანამუდებობა, რომელიც ცხად ჰყოფს მის ვინაობას. ბართაბოდ პატიახში, სპარსეთის მეფის მოაღვიუეს რანში, შოვაკანში და საქართველოში, მიუცია გლოვანქორ ეპისკოპოსისათვის ანუ მოპირანისთვის ქართლისა და ერეთის ერისთავობა მხოლოდ იმისთვის, რომ, როგორც მობიდანი, ის მეტად სარწმუნო და სანდო უნდა ყოფილიყო სასანიანთა დინასტიისა, რომლის უმთავრესი ლტოლვილება მდგომარეობდა ცეცხლის კულტის გავრცელებაში.

ამ ნაირად „ქართლის მოქცევის“ წყალობით ჩვენ გავიგეთ უქართლის ცხოვრების“ მობიდანის საკუთარი სახელიც და საერთო თანამდებობაც. მთბიდან ეპისკოპოსი ჩვენის ისტორიკოსებისა მრის სპარსელებისაგან ქართლში გამოგზანილი ერისთავი და ცეცხლის მსახურთა უფროსი, ანუ მოპადანი, სახელად გლოვანქორი, პირუაპირი წინამობდებადე ბინჭირასა.

რაკი ჩვენ ასე გავიგებთ მობიდანის ვინაობას, მაშინ ადვილი გასავები ხდება ის ცნობები, რომელთაც იძლევა მას ზედ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, თუმცა შეცვლილი გაუძებარის მწიგნობრისაგან: „ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოებად მობიდანისი, არამედ ჰკონებდენ“

სარწმუნოდ და ვერცა განატხადებდა მაშინ ქადაგებასა სჯულისა მისესა შიშისაგან მეფისა და ერისა. არამედ ფარულად სწერდა წიგნებსა ყოვლისა საკორუებისასა, რომელი შემდგომად დაწვა ყოველი წერილი მისი კეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქელ“.

თუ ჩქართლის ცეკვება“, მოხსენებულის შეცდომის გარდა, სხვანაირად არ სცდება კიდევ და სიმართლეს მოვყიოხრობს (რაიცა ცოტა საეჭვოა, როკორც შემდეგ დავინახავთ), ამოწერილი ადგილი მატიანისა ასე უნდა გვესმოდეს... არჩილ და მირდატ მეფენი სპარსელებზე გამარჯვებულნი ყოფილიან და თუ ყაბულობდენ საქართველოში ცეცხლის მსახურთა მოგვებას და მობიდანის ყოფნას, მხოლოდ იმ ჰიტობით, რომ მათ ძალით ან რამე ხერხით არ მოექციათ ხალხი თავიანთ ჟჯულზე, არამედ ემწყსოთ უკვე მოქცეული ხალხი. მობიდანიც იძულებული ყოფილა ისე: ეჩვენებინა მეფეთათვის თავი, ვითომ არა ცდილობდა ქრისტიანების გადაბირებას, რაშიც ისინიც დაწმუნებულნი ჰოფილან. ნამდვილად კი მობიდანს გაუმართავს საიდუმლო პროპაგანდა, უწერია მაკორუებით სავსე წიგნები და უვრცელებია თავის აგენტების — მოგვების საშუალებით ხალხში, რაიცა მხოლოდ შემდეგში შეუტყვიათ. მობიდან გლონოქორის სიკვდილის შემდეგ, ეტყობა, რაოდენიმე ხანი გასულა ისე, რომ მის მაგიერი არ ყოფილა დანიშნული სპარსთავან. ეს შეიძლება იმიტომაც მოხდა, რომ მირდატი, რომელიც მძლავრობდა ბარზაბოლზე, არ აძლევდა მას ახალის მობიდანის გამოგზავნის ნებას. ხოლო როდესაც მირდატი მოკვდა და დარჩა 7 წლის ვახტანგი, მაშინ კი ვახტანგის დედა საგრუბერი იძულებული შეიქნა შემოეშვა გლონოქორის მოაღილე ბინქარი. ამ ბინქარის დროს ცეცხლის კულტმა იწყო გავრცელება, რადგან მოგვები მოურიდებლად ქადაგებდენ და, შეიძლება, გლონოქორ მობიდანის წიგნებსაც ავრცელებდენ. ამ ბინქარს წინააღმდეგა და დაუწყო ბრძოლა ახლად დანიშნულმა ეპისკოპოსმა მიქელმა, რომელიც წესისამებრ გამო-

წვეულ იქმნა საბერძნეთიდგან იოველ ეპისკოპოსის სიკვდილს შემდეგ. ეს იოველ ეპისკოპოსი, რომელსაც სრულებით არ იხსენიებს „ქართლის ცხოვრება“, „ქართლის მოქცევის“ ჩვენებით, იყო წინამოადგილე მიქელისა და მაშასადამე თანამედროვე გლობონქორისა.

მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის ცხოვრებაში არჩილისა და მირდატის ისტორია ცჯტა გადაჭარბებულის ქვბის კილოთი არის დაწერილი, ისინი ფრიად მძლავრებად და გამარჯვებულებად არიან მოხსენებულნი, რასაც არ ეთანხმება „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა.

„ქართლის ცხოვრების“ ოქმით, არჩილმა „გრიაცხადა მტერობად სპარსთად, გამოაჩინნა ჯვარნი და შეამკვნა ეკკლესიანი, მთასწინა და განხისხნა ეფეველი ცეკვების მსახურებაში საზღვართაგან ქართლისათა“ (იხ. ბროსეს გამოცემა ტ. I-ლი, გვ. 108. ზ. ჭიჭინაძისა გვ. 150). „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა კი ამბობს, რომ არჩილის მეფობის დროს „მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“ (იხ. სამი ისტ. ქრონიკა გვ. 27). მირდატ V შესახებ ქართლის ცხოვრება ამბობს, რომ „მეფობდა იგი ვითარცა მამად მისი“ (არჩილი), ესე იგი სპარსელებზე გამარჯვებული და ცეცხლის მსახურების დამთრეუნველი (ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც. გვ. 110. ჭიჭინაძისა გვ. 153), ხოლო „ქართლის მოქცევა“ კი გვამტნევს, რომ მირდატის დროს „მთავარ-ეპისკოპოსი (გლობონქორი) ერისთავადცა იყო ბარზაბოდ პიტიაზისაგან ქართლს და ჰერეთს“ (იხ. სამი ისტ. ქრონიკა გვ. 28).

ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა და მის თანახმად ვფიქრობთ, რომ ამ ორის მეფის — არჩილის და მირდატის დროს საქართველო სპარსეთის პოლიტიკურის და რელიგიურის გავლენის ქვეშ ყოფილა, რაიცა გამოიხატებოდა იმპში, რომ მცხეთაში იჯდა სპარსეთიდგან დანიშნული ქართლისა და ჰერეთის ერისთავი და თავისუფლად აღიარებოდა ცეცხლის კულტი, რომელსაც ჰყავდა უზენაესი

თავისი წარმომადგენელი მცხეთაშივე. ერთი უზენაეს წარმო-  
მადგენელთაგანი ამ კულტისა იყო გლონოქორი, ანუ ის მო-  
ბიდანი, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ შეცდომით სთვლის  
მართლ-მაღიდებელს ეპისკოპოსად.

დ. ჭარხლაშვილი

4 თებერ. 1901 წ.

# გურია-აჭარა

მგზავრის შეხილვები

—

აწინდელი გვარა

(დასასრული \*)

გ) სწავლა-განათლება და ქართული ენა: სწავლა-განათლება, ქართული ენა, ჩვენი ზრუნვა,—დ) შინაური ცხოვრება: ოჯახი და კოლ-ქმრობა, სამოსელი. ხალხის ჯანმრთელობა და მკურნალობა.

გ) სწავლა-განათლება და ქართული ენა:

სწავლა-განათლება. აქარა, როგორც ვიცით, შეადგენდა ნაწილს ზემო-ქართლისას, ანუ სამცხე-საათაბაგოსას, რომელიც ჩვენს ისტორიაში ჩვენთა საუკეთესო მწიგნობართა აკვნად და სამშობლოდ ითვლება. უნდა ვითიქროთ, რომ ეს მხარე სწავლა-განათლებით, თუ წინ არა, უკან მაინც არ იდგებოდა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. დარჩენილნი ნანგრევნი დიდებულთა ტაძარ-ეკკლესიათა უტყვენი მოწამენი არიან ძველის ბრწყინვალე დიდებისა. მაგრამ—მხოლოდ მოწამენი... რაკი ოსმალეთმა ხელში ჩაიგდო ეს მხარე, ხმლითა და ცეცხლით ბრძოლა გაუმართა აქარელთა სჯულს, დევნა დაუ-

\*) იხ. „შოამბე“ № I—1901 წ.

წყო მათს ენასა და მწრელობასა. ორასის წლის განმავლობაში ოსმალთა კირთების ქეეშ ყოფნაშ იმ ზომამდე მიიყვანა საქმე, რომ დიდებული ტაძრები მტრის ხელისგან შეიმუსრნენ და მათს ნანგრევებზე ჯამები აღიმართა; ხალხმა ქრისტეს სახელი დაჰგმო და მის მაგიერ მაჰმადის შმოსავი შეიქმნა; დიდებულის მწერლობის ნიშან-წყალი ვაჰქრა და ენა ქართული შეიბლალა ოსმალურის გავლენით; ხალხის სწავლა-განათლების საქმე და გონებრივის საზრდოს მიწოდება მოლებმა იკისრეს. ცალკე ამდენის ხნის ბრძოლამ, ცალკე ეკონომიურმა გაჭირებამ იქამდე დააჯანდაკა აჭარის მკიდრნი, რომ გონებრივად ნახევარ ველურთ დაამსგავსა, ქვეყნიერებას ჩამოაცალა.

ოსმალეთმა საქართველოს ამ ნაწილს წაართვა, შეუბლალა და შეუვიწა ყოველივე: თავისუფლება, მამა-პაპათა სალოცავობი, მათი სწავლა-მოძღვრება, მათი წმინდა ენა... მერე, სამაგიეროდ რა მისუა? ან ზრუნავდა კია ამ ხალხისათვის? აბა ვისთვის ზრუნავდა, რომ აჭარისათვის ეზრუნა?! ან ჰქონდა კია ამისი თავი? მისის ზრუნეისა და ფიქრის საგანი ის ღა იყო, რომ ამ მთის ხალხისაგან უკანასკნელი სისხლი ეწოვა, ათასის წვითა და ცრემლით მონაგარი წაერთმია და მათი ცოლშეილი კი ცრემლ-შეუშრობელი დაეყარნა... ასე ექცეოდა სხვებს და ეს პოლიტიკა ძარცვა-გლეჯისა, დაწიოკებისა და მტარვალობისა არც აჭარელების მიმართ შეუცვლია...

პირეელი ჯამეები აშენდა აჭარაში თუ არა, მათთან ერთად დაარსდა ოსმალური მედრესე (სასწავლებელი), სადაც თვით უსწავლელი მოლები აჭარელების ბაეშებს ჯოხის ცემითა და ყეირილით არაბულს ასწავლიდნენ. მასწავლებელ - მოლებს საპედაგოგიო მოღვაწეობისათვის ყორანის კითხეისა და რამდენისამე არაბულის ლოცვის ზეპარად ცოდნის მეტი არაფერი შოეთხოვებათ. მერე იმის ცდაშია, შიშითა და ბრძოლით. შეათეისოს თავისს მოწაფეს ის მწირი სიბრძნე, რაც თეითონ ვაინაჩრობით შეუძნება. ცემა ხელით, ჯოხით. და საზოგადოდ ყოველგვარი ხორციელი სასჯელი — საუკეთესო საშუალებად მიაჩნია. სწავლების დროს, ცალ-ხელში ჯოხი უჭირავს ამართ-

ული და იმავე დროს ბავშვს ათასჯერ ამეორებინებს გაუგებარს არაბულს სიტყვას. ამ შემთხვევაში სრული გარმონიაა მასწავლებელისა და ბავშვის მშობელთა შეხედულების შორის. მშობელი იმ აზრს შეხრდია, რომ ბავშვს, თუ არ ცემით, ისე სწავლას ვერ შეაყვარებო, და მასწავლებელს, როცა შვილს მიჰვრის, სთხოვს კიდეულა: ჩემს ბალვს კარგად სცემე, თორებ არაფერს ისწავლისო. მშობლების თანხმობითაც წათამამებული უვიკი მოლა სრულიად მხეცდება და თავს არ იზოგავს. რაც უფრო დაუზარელია ცემაში, მეტი ფასი და სახელი აქვს მშობლებთ შორის. რამდენისამე წლის ტანჯვის შემდეგ საცოდავი ბავშვი თუ სულ არ გამოტვინდა თავისებურ მასწავლებლის ხელში და გაუძლო მთელს პედაგოგიურს ინკვიზიციას, შეიძლება ზეპირად ისწავლოს არაბულ ყორანის წაკითხვა, რამდენიმე არაბულივე ლოცვა ზეპირად, რომლის შინაარსი, ისე ჩავა საფლავში, არ ეცოდინება, და ოსმალური წერა. უმრავლესობა ამასაც ვეღარ სწავლობს და სასწავლებელს თავს ანებებს.

წერა კითხვის სწავლებასთან ერთად მოლა-პედაგოგი თავისს შაგირდს გულში უნერგავს სიძულვილს ყველა იმ ერთა, ვინც მაჰმადის მმოსაენი არ არიან. მათთან კავშირის დაჭრა—ცოდვა და მაჰმადის საწყენი საქმე იქნებაო.—აი, ასეთი მოლები იყვნენ აქარელების მასწავლებლები და დღესაც ისეთ-ნივე დარჩნენ აქაურის სკოლების სვე-ბედის გამგეებად.

საანგარიშო წელს მთელს აჭარაში 68 მედრესე (სკოლა) იყო (ზემოში—31 და ქვემოსაში—37). შიგა სწავლობდა 1,177 ყმაწვილი (ზემოში—320 და ქვემოსაში—857). ამათგან სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა 26 მოსწავლე, ხოლო დანარჩენი ერისკაცთა შვილები იყვნენ. ამ უკანასკნელთა შორის 16 ყმაწვილი ბეგებისა იყო, ხოლო დანარჩენი სოფლელთა. თუ გავიხსენებთ, რომ ორსავ აჭარაში 32,448 სულია, 1,177 მოსწავლე მაინცა და მაინც ბევრად არ გვეჩვენება: ას ქაცშა 4-იც არა სწავლობს!... გარდა ყველა ნაკლულევანებისა, რომელიც თან ახლავს აქაურის იმამების საპედაგოგიო მოღვაწეობას, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მედრესეებში სამო-

სწავლო წელიწადი 2—3 თვე თუ გასტანს, ისიც ზამთარში, როცა დიდის თოვლებისა და სიცივეების გამო სასწავლებელში სიარული თითქმის შეუძლებელი ხდება ხოლმე, და როცა აქა- ურს ფიცრულს მედრესეებში 2—3 გრადუსის მეტი იშვიათად არის ხოლმე სითბო!..... დანარჩენს დროს ბავშვები მშობლებს ეხმარებიან ხოლმე მუშაობაში.

ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ, კიდევ ათიოდე  
წლის განმავლობაში, ისევ მოლების ხელში იყო სწავლა-განა-  
თლების საქმე როგორც აჭარაში, ისე ბათუმის ოლქის  
სხვა ნაწილებში. მხოლოდ 1886 წლის თებერვალში გახსნა  
ქუთაისის გუბერნიის სკოლების ღირექციამ აჭარის მეზობლად,  
გონიის ნაწილის სოფ. მარადიდში, პირველი სკოლა. მაგრამ  
მეტად დღე-ნაკლული იყო ეს პირველი სკოლა. მის გახს-  
ნის დროს სრულებით დავიწყებული იყო ის გარემოება,  
რომ საქმე პერნათ მაჰმადიანებთან, რომელნიც ყოველ-  
სავე საქმეს, ქრისტეანის-მიერ დაწყებულს, ეჭვის თვალით  
უყურებდნენ და რომელთაც ერთავად ის ელანდებოდათ,—  
უნდა გაგვაქრისტიანონ. . . . . . .

ამ პირველი სკოლის თავ-გადასაცალი სამაგალითოდ უნდა დარჩენილიყო შემდეგში მაინც არა სასურველის შეცდომის ასაცილებლად, მაგრამ, წარმოიდგინეთ, თითქმის იგივე შეცდომა განმეორებულ იქნა ათის წლის შემდეგ ზემო-აჭარაში სოფ. ხულოს. აქაურის ნაწილის უფროსის კაპიტანის ბანის აღმ. პერიძის მეცალინეობით და ჩაგონებით ხულოში საზოგადოებამ თავის ხარჯით სკოლა ააშენა და შემდეგშიც მის შესანახავად, რაც შეეძლო, დაპირდა. 1887 წლის ენკენისთვე-

ში გამოგზავნილი იქნა მასწავლებლად ერთი სპარსელი, რომელსაც ქართულად მოლაპარაკე ბავშვებისა არა ესმოდა რადა ბავშვებს იმისი. ამ გარემონტბამ იმ ზომამდე შეაფერხა სკოლის საქმე, რომ ცოტას გაწყდა არ დაიკეტა, რადგან პირველადვე მოყვანილი 30 ბავშვიდან 10 ძლიერს დაიარებოდა სკოლაში. სპარსი—მასწავლებელი როგორც იქნა გამოიცვალა და მის ნაცვლად დაინიშნა პლეილობრივის ენის მცოდნე მასწავლებელი, რომლის ხელში, რამდენადაც გავიგეთ, საქმე საუკეთესოდ წასულა.

რააცა შეეხება სასულიერო მთავრობას აქარაში სკოლის  
განსაზღვრული განვითარების და განვითარების სამსახურის მიერ განვი-  
თავოდა განვითარების მინდობილობით და გურია-სამეგრელოს მაშინდელ  
ეპისკოპოსის უოფლად-სამდვდელო გრიგოლის ლოცვა-კურთ-  
ხევით აქარა მოიარა ბ-ნმა იონა მეუნარგიამ, გაიცნო მცხო-  
ვრებთა სარწმუნოებრივი მდგომარეობა, მათი ყოფა-ცხოვრე-  
ბა, წარსული, და თავისი მოსაზრება წარადგინა იმის შესახებ,  
თუ როგორ შეუძლია „კავკასიაში ქრისტიანობის აღმაღვენებლ-  
საზოგადოებას“ აქეთკენ სწავლა-განათლების გავრცელება და  
საზოგადოდ აღდგენა აწ დავიწყებულის ქრისტიანობისათვის. ის  
მოხსენება მოხსენებად დარჩა, დაბეჭდილა კი არა პლირსებია,  
და აქარა—უსკოლოდ. 1896 წ. „ქრისტიანობის საზოგადო-  
ების“ სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ევტ. მამინაიშვილი იყო  
აქეთკენ. მცხოვრებთ სთხოვეს „საზოგადოების“ ხარჯით სკო-  
ლის გახსნა, მაგრამ, როგორც გავიგეთ, „საზოგადოებას“ „უსა-  
ხსრობისა“ გამო შესაძლებლად ვერ დაუნახავს აქარლების  
თხოვნა დაეკმაყოფილებინა . . . . .

ახლა ვიკითხოთ, რა მდგომარეობაში დაგვხვდა აქარაში ქართული ენა და რა ზომები ვიხმარეთ მის აღსაღვენად და მის აღდგენასთან ერთად—ორასის წლის მოწყვეტილი ძმების

სულიერად შემოერთებისათვის? აი, ამის შესახებ ვეცდებით მკითხველს შეძლებისა და გვარად პასუხი გავსცეთ.

ქათუელი ენა. მიუხედავად საშინელის ბრძოლისა, რომელიც სარწმუნოების გავლენით მაჰმადიანობამ გამართა მასთან, თითქმის ხელშეუხებლად და პირვანდელის სიწმინდით დაცულა შიდა აქარაში და გინსაკუდრებით იმ ადგილებში, რომელიც ზედ აკრავს გურიას. მაგალათად, სოფ. ჭვანის ქართული განთქმულია და შიგ მრავალ საუნჯესა ვპოულობთ ჩენის ძველის ენისას. ზემო აქარის აღმოსავლეთ სამხრეთ სოფლებში, შავშეთ-იმერხევის სამზღვრებზე კი შეტად დასტყობია ოსმალურის ენის გავლენა. მართალია, ხალხი ოსმალურად არ ლაპარაკობს, მაგრამ ქართული ლაპარაკი მეტად არის აჭრელებული ოსმალურის სიტყვებით. ახალმა მოსულმა კარგად უნდა შეაჩეიოს ყური, რომ აქაურების ნათქვამი გაიგოს. ოსმალური ბეერმა იცის, განსაკუთრებით ხანში შესულებმა. ოჯახში კი ცველა ქართულად ლაპარაკობს. შეტადრე ქალები არიან წმინდად დამცველნი ჩენის ენისა. რადგან ნაბეჭდი წიგნები აქეთკენ ამ უკანასკნელ ხანამდე არ მოიპოვებოდა, თუ წერა და ნაწერის კითხვა იცოდნენ, ისევ ქალებმა: აქაურის ბეგების დედებმა, უფრო ხანშესულებმა. მდაბიოთა შორის ძველებურის წერის მცოდნე იშვიათია დღესაც. წერის დროს, თუ ქალი სწერდა, სიტყვებსაც ქართულს ხმარობდა, რადგან ოსმალური ნაკლებ იცოდა, ხოლო მამაკაცი კი ქართულის ანბანით ოსმალურ სიტყვებს გამოსთქვამდა. თვით სახე ამათის ნაწერის ანბანისა მეტად დაშორებულია ჩენის აწინდელის წერისაზე და შეუტეველ თვალისათვის მეტად მძიმე გასარჩევია. იმ დროს, როცა ჩვენ ესცდილობთ მრგვლადა ვსწეროთ, თითქმის ყოველს ანბანს, ამათ მიერ დაწერილს, სამ კუთხედების ხასიათი აქვს: ნიმუშად აქვე ჩაეურთავთ ერთს ნაწერს, რომელიც ეკუთვნის სოფ. ქედაში მცხოვრებ ბეგის ბეგანიძის დედას. დაწერილია ნაწყვეტი („დ“-ამდე) „ანბანთქებისა“, რომლის შინაარსი, რამდენადაც შევიძელით ამოკითხვა, ასეთია:

- „ანუ ამას მოგახსენებ ჩუკენ უ(ე) რომ ქე თქვით ჩვენი ქება;  
 ბანუ ბიძის ჩვენს უყვარვართ, უკეთესი არ აქნება;  
 განუ გური (?) წელს უხმიგართ, რომ არ წეუდეთ, არ აქნება;  
 დონ დოდო, თლათ უნდა დაუკადეთ, თლათ ქეყანა განათლდება“.

ახალ-გაზლობაში კი ქართულის მცოდნეს თითო-ოროლის შეხვედება კაცი ხულოსა და ქედაში, საღაც სამმართველოებში ქრისტეანე ქართველები სცხოვრობენ. არიან აჭარელი ჩაფრები, რომელთაც ამ მოსამსახურე ქართველთაგან ქართული წიგნი უსწავლიათ. ქედაში ერთი მიქელაძეა აჭარელი, რომელიც ჩვენს მწერლებში მონაწილეობასაც კი იღებს და „ივერიის“ საშუალებით ქართველ საზოგადოებას აჭარის ამბებს აწვდის ხოლმე. ბეგების შორის ზემო-აჭარაში აჭარის უკანასკნელ შთავრის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილმა ზაქარია ბეგმა თითქმის თავისულად იცის როგორც კითხვა, ისე წერა ქართული.

რაიცა შექება ძეველს ხელნაწერებს, ერთიანად გამქრალია აქეთკენ. ბეგების გვაროვნობაში ორმოცდა ათიან წლებამდე დიდძალი სიგელ-გუჯრები ყოფილა ჩვენის მეცენებისა. მაგრამ ამ ხანებში ყველა ბეგებს სტამბოლში მოუწოდეს, თან მოატანინეს, თუ რამ სიგელები ჰქონდათ, ოსმალეთის მთავრობა დაპირდა, გამოგიცვლით ახლებზედაო და ის კი არა, რაკი ერთი ხელში ჩაიგდო, სულ ერთიანად ცეცხლის მსხვერპლი გახდა, რა არის, ძველთაგან მოპოვებული ყოველივე უფლება წავიართვა მათს პატრიონებსაო. დღეს კი, შესაძლებელია საღმე ერთი-ორი რამ კიდევ იყოს დარჩენილი ძეველ ხელნაწერებიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ მოკლე დროის განმავლობაში, რომელიც ჩვენ დავყავით ამ მხარეში, ვერსად წავაწყდით რას.

სახალხო სიტყვიერებაც სულსა ჰლევს. მთელის ერთის თვის განმავლობაში ორად-ორი ანდაზა გავიგონეთ. ლექსი

თუ კიდევ საღმე დარჩენილა, ისიც მეტად დამახინჯებული და ლექსის ღირსებას მოკლებული რამ არის, რაიცა აღვილი და სანახავი იყო ზემოდ ჩაწერილ ორ ნიმუშიდან. თან ისიც შევნიშნეთ, რომ აჭარელი ლექსს ვერ იტყვის, თუ სიმღერაც არ ააყოლა. ლექსი და სიმღერა განუყრელი შექმნილა მისთვის. სოფ. ფურტიოში (ზემო აჭარა) ერთს მოხუცებულს გლეხს, „ქოსა“-დ წოდებულს და განთქმულს მოლექსეს, ესთხოვე რამე ლექსი ეთქვა. პევრის ხევწინის შემდეგ სიმღერა დაიწყო ქართლულ „ოროველას“ ხმაზე, თანაც ლექსი დაატანა. როცა მოვინდომე ლექსის ჩაწერა, ბევრი ვეცადე განემეორებინა, მაგრამ ცდა აძაო იყო. „მოხუცი ვარ, რა ჩემი საჭირა ლექსის თქმა, ლექსი ახალგაზდებმა უნდა სთქვან“—ო.

სახალხო ლექსთან ერთად აქ მისი განუყრელი და სიმღერაც ჰქონება. მთელის ერთის თვის მოგზაურობის განმავლობაში სხვა-და-სხვა ადგილას განვებ თვალ-ყური გვეკირა და წამლად ერთი სიმღერა არ გაგვიგონია, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ ზემო აღნიშნულს მოხუცს, რომელსაც თავის სურეილის წინააღმდეგ და თითქმის ძალდატანებით ვათქმევინეთ ერთი ნაწყვეტი სიმღერისა. ცხენით თუ ქვეითად მიდის აქაური, ლეწავს კალოზე თუ თივასა ჰათიბავს — ხმას არ იღებს, საერთო დუმილს არ არღვევს, თითქო საერთო რამ მწუხარება გადასწოლია მთელს მხარესა და მისთა მკეიდროთაო. ოლონდაც რომ მიზეზი არ აკლიათ გლოვისათვის! ორასის წლის მწარე კირთება ეის არ დაავიწყებს სიმღერას და მხიარულებას!.. ან და აქ გამეფებულ უკიდურეს სიღარიბესა და შიმშილთან გამწარებულ ბრძოლაში მყოფს, რა სიმღერისა ეცხელებათ, თქვენს ღხენას? ამას ის გარემოებაც დასძინეთ, რომ აქაურის სუფრიდან სევდის უკუმყრელი, აღამიანის სულის გამამხიარულებელი და ამამღერებელი სასმელი — ღვანო, თანახმად მაპმადის ბრძანებისა, განდევნილია.

სიმღერა ხომ არ არის და არა, მაგრამ ველარც საკრავებს იპოვით აქეთკენ. ერთად-ერთი საკრავი და აქაურის მცხოვრების სულიერ მდგომარეობის გამომხატველია — ჭიმონი (რაჭულ

საზანდრის მსგავსი), მეტად მარტივი და პირველყოფილი მუსიკალური იარაღი, რომლითაც აქარელი ათასში ერთხელ თავისს სევდასა და დარღვეულამს გამოსთქვამს ხოლმე.

ძევლებურ ქართულის ნიშანი განსაკუთრებით შენახულა აქაურის სიტყვა-პასუხში. მათი ზრდილობიანი ლაპარაკი, თავაზიანობა, სურვილი სტუმრის ამებისა—უმაღლეს განვითარებამდეა მიღწეული. აქ ადამიანის ყური იშეიათად გაიგონებს უწმაწურს სიტყვებს. ქართველის მდაბიოთაგან ასეთის სიადგილით ხმარებული ლანძლვის ცნებები აქაურის ყურს რომ მოასმენინო, არა გვგონია, თავი შეიმაგროს და უსისხლოდ გაათავოს საქმე...

ჩვენ ორიოდე სიტყვა უკვე ვსთქვით აქაურს ლაპარაკში დარჩენილ ძველ ქართულ სიტყვებისა და აგრეთვე შეპარებულ ოსმალურ სიტყვებისა გამო. როგორც პირველი, ისე მეორე საკმაოდ არის. გვინდოდა, რაც შეიძლებოდა სრული კრებული შეგვედგინა ორსავე გვარის სიტყვებისა, მაგრამ უდროობისა გამო ამ უამად სურვილი ველარ ავისრულეთ. მაინც სანიმუშოდ ამ კნინს მაინც გავაცნობთ მკითხველს. განსაკუთრებით მივაქციეთ ყურადღება ისეთს სიტყვებს, რომელნიც ძველიდ საქართველოში საზოგადოდ იხმარებოდა და დღეს კი, ჩვენის აზრით, აქარასა და აგრეთვე სამეგრელოში თუ ლაა დარჩენილი ძველებურის სახელით. იმ სიტყვებს, რომელიც აქარის გარდა სამეგრელოშიაც იხმარება იმავე ცნების აღსანიშნელად; გვერდით ბრჩეილებში მოუწერთ „სამეგრო“ ის სიტყვები კი, რომლებიც ჩვენის წერილების სხვა-და-სხვა ალაგას შეგვხვდება, თავთავის ალაგას იქმნება განმარტებული. ცალკე სიტყვების გარდა ჩავურთავთ შინაურ პირუტყვის და თვეთა სახელებს. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მიგვაჩნია ინტერესის ღირსაღ.

### სიტყვები.

ალათი—წითელი ფერი (ცხენზე იტყვიან).

ატარი, ანუ კოპიტი—ხის ჯამი (სამეგრ.)

ბა — ჰო, კი, მაშ.

ბაღიში — შვილის შვილი.

ბაღვი — ბავშვი.

ბრეში — ნისლის ფერი (ხარზე იტყვიან).

გედეგი — კამეჩის შვილი ერთ წლამდე.

გვარდა, ანუ კაპიტი — კარაქის შესანახი კურპელი ხისა.

გზა-ბაწარია, ანუ ბაწარი — საცალფეხო წვრილი გზა, ბა-  
წარის მსგავსი.

გუგულის საგზალი — (ფრინ.) — ბოლოქან ქალა.

დამსხრიკება — გაჯავრებით გამოკიდება.

დერგულა — პატარა დერგი.

დობერა — ტყით დაბურული ხრამი, გინა ღრანტე (სა-  
მეგრელოში).

ეწერი — გვიმრა.

ვარია — მაწენის საღლვებელა კარაქის მოსახლელად.

კაპიტი — (იხ. გვარდა).

კარპალი — გარედან ქერქ შემოკლილი კაკალი; ზმია —  
გაკარპვლა (სამეგრ.).

კატარი — ფიქეი.

კველო — გეჯა, რომელშიაც ძალლს საჭმელს აჭმევენ.  
ზოგი გობსაენით მრგვალია, ზოგიც — ლარის  
სახისაა, მოგრძო. ამ სიტყვას სამეგრელო-  
შიაცა ხმარობენ, მხოლოდ ერთგვარს და-  
საჯდომსა ჰქიან, გურულ და აჭარულ  
„ჯორკოს“ მსგავსსა.

კობერა — სიმინდის ტაროს ხეიტი, ანუ გუგა, რასაც  
მეგრულად „გუნგა“ ჰქიან.

კოპიტი — (იხ. „ატარი“) (სამეგრ.).

კორკოტო — ჩაქუჩი ხისა საჭრეტელზე საცემად.

კოტუში — სიმინდის ტარო.

კუკული — ფიქეის კინკრუხელა, რასაც ფრანგნი la  
potte-s უწოდებენ.

მიატაური — ყელჭირება, დიფტერიის

მახარა—კარსა აქვს, რომ ავტომატიურად მიიხუროს.

სამობა—ცეკვა აქარული, სამი კაცი ერთად თამაშობს; ზმნა—ვსამობ, ვისამოთ.

ტაზელა—ბრტყელ და ერთიან ფურცლიან გვიმრის სახელია.

ურუში—საცოცხე მცენარეა.

ფაცია—გასათხოვარი ქალი.

ქერობა—ხარის ხნოვანების აღსანიშვნელი სიტყვაა,  
მაგალითად, ხარი ერთი ქერობაა, ესე იგი,  
ხარი სამი გამოზამთრულია, ორი ქერობა—  
ოთხი გამოზამთრული; შემდეგ ყოველი  
გამოზამთრული თითო ქერობას უდრის.

ქინცხა, ანუ გიდელა—გიდელა, ყურძნის საკრეფი  
კალათია.

ჭორი—ორივ თვალით ბრჩა.

ჩაფულა—ქალამანი ტყავისა (სამეგრ.)

ჩივი, ანუ სოლი—სოლი.

ჩხერალი—ჩახრიალა, cascade.

ძიგვა—შარვალი (სამეგრ.)

წებერა—კაკლის გარეთა ქერქი, მწვანე.

ხენჩქერი—ტარიანი დანა.

ხვადი—ვაყა ცხენი

ხოშავი—მსხლის ჩირის წვენი, compote.

ჯარა—სასარეცხო გეჯა; ზოგში ტალახსა ჰელენ.

### სახელები:

- ა) ხარისა: ბოზია (მრეში ფერისა), გაშერა, თვარია (სულშევი და შუბლზე თეთრ წერტილიანი), კაბია (თეთრი და შავი ერთად არეული), ნიკორა (პატარა თეთრი წერტილი შუბლზე), ჰელენა (შავია და წითელს შეა), ყარამფილა (სულშევი), ჩაქმა-

ნა (ფეხები თეთრი და ღანარჩენი ტანი შავი ან წითელი), წიჭორა (მოწითალო);

ბ) ძროხისა: კუთილა, კუდმელა, მასკლა, მაშალა, სანთელა (ძალიან ლამაზი), სანთურა (ძალზე თეთრი);

გ) თვეთა: განცხადობის თვე—იანვარი

თებერვალი	—	—	"
მარტი	—	—	"
აპრილი	—	—	"
მაისი	—	—	"
ივანობისთვე	—	—	თიბათვე
კვირკვობისთვე	—	—	მკათათვე
მარიამობისთვე	—	—	"
ენკენისთვე	—	—	"
წიფობისთვე	—	—	ღვინობისთვე
გიორგობისთვე	—	—	"
ქრიშობისთვე	—	—	"

### თასმაღური სიტყვები

ანჯახ	—ძლიერ
ალვი	—საწამლავი
ახორი	—ბოსელი
გელინი	—რძალი
გუგუმი	—თუნგი
ღუგუნი	—ქორწილი
ზათი	—მაინც
ზორით	—ძალით
თოფალი	—კოჭლი
იალი	—ერბო
იეგანი	—ძმისწული ან დისწული
მემლექეთი	—სამშობლო
ნიშანლი	—დანიშნული

ოლჩი	— ზრბა
რაზი	— მაღლობელი, კმაყოფილი
სილალი	— იარალი
ქათიბი	— მწერალი
ყაიმალი	— ნალები რძისა
ყაინი	— ცოლის ძმა, შაზლი
ყაინალი	— სასტუმრო ოთახი
ყურბანი	— შესაწირავი
ყურშუმი	— ტყვია
ხისიმი	— ნათესავი
ჰამამ	— აბანო
ჰეჩ	— არ არის

—

ჩგენი ზრუნვა. ახლა დაგვრჩენია აღვნიშნოთ მხოლოდ ჩვენი, ქართველების, ლვაწლი ახალ-შემოერთებულის ძმების განათლებისათვის. არ შეიძლება ამ შემთხვევაში გულ-გრილობა ვუკიუნოთ ჩვენს საზოგადოებას. ვისაც თვალ-ყური უდევნებია მაშინდელ გაზეთ „დროებასა“ და უურნალ „ივერიისათვის,“ ეხსომება, რომ ნომერი ისე არ გამოვიდოდა, განსაკუთრებით „დროებისა,“ რომ შიგ არაფერი ყოფილიყო ამ მხარის შესახებ. მკითხველი უახლოვდებოდა ამ ახალ-ნაპოვნ ძმებს, მათ ტკივილს შუაზე იყოფდა და იმის ცდაში იყო, რომ ამ შავ დღეში ძმურად ხელი გაეწვდინა, ენუგეშებინა და დაერწმუნებინა, რომ არც მაგრე უმწეონი ხართ, ისეთებიც არიან, რომ თქვენს საკეთილ-დღეოდ ჰფიქრობენო.

ამ საერო ფიქრმა ძალიან არ დაიხანა და მალე თავი იჩინა. ბათომის ოლქის შემოერთების შემდეგ შვიდ წელიწადსაც არ გაუვლია, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ განიჩრახა ბათომში სკოლა დაეარსებინა უდი ამ სკოლას სულიერად უნდა შეეერთებინა მაჲმადიანი ქართველები დანარჩენ ქართველობასთან. ამაზე უკეთესს არაფერს შოთაქრებდა ჩვენი საზოგადოება. საქმე პირველა-

დევე კარგად წავიდა, მაჰმადიანებმა თითქმის პირველადვე ნდობის თვალით შეხედეს ამ სკოლას და არა-ერთმა და ორვა მაჰმადიანმა ქართველმა მიიღო პირველ-დაწყებითი სწავლა ამ სკოლაში. როცა ისტორია დაიწერება ჩვენისა და მაჰმადიან ქართველების დამოკიდებულებისა ამ ხნის განმავლობაში, მეისტორიებმ არ უნდა დაივადწყოს ის უანგარო ლვაწლი და ამაგი, რა ლვაწლი და ამაგიც დაგვდო მაშინ პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებელმა განსვენებულმა მოსე ნათაძემ. პირველადვე ისეთი წინ-დახედული, საქმის მოყვარული, შეგნებული კაცი რომ არ დასდგომოდა სათავეში ამ დიდისა და წმიდა საქმეს, ვინ იცის, როგორ დაგვეფრთხო მაჰმადიან-ქართველები და ჩვენც სხვებსავით მტრებად და მოღალარებად დავესახეთ...

ხსენებულ სკოლაში მაშინაც და ეხლაც მომეტებულად თვით ბათუმისა და მის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა შეიღლები სწავლობდნ. საკუთრივ აქარა, თავის სიშორისა გამო, განზე რჩებოდა. თუ ხელი მიუწვდებოდათ, ისევ ქვემო-აქარის ბეგების შეიღლებს და იმათაც თითო-ოროლას. ზემო-აქარა სრულებით მოწყვეტილი იყო და არის კიდეცა ამ სკოლაზე. ასე რომ ქართულის ენის საშუალებით სწავლა - განათლების შეძენა აქარელისათვის დღესაც თითქმის მიუწდომელია.

1895 წლის ზაფხულში აქარის გაცნობა და მცხოვრებთა შორის ქართულ წიგნების გაერცელება განიზრახა ბ-ნმა ზაქარია კიჭინაძემ. თან წაიღო იაფ-ფასიანი სახალხო წიგნები, განვგძ საამისოდ აღმეცილი: „არსენას ლექსი“, „ქალ-ვაუიანი“ და სახალხო ლექსები. ყოველ წიგნს შიგ ჩაურთო ქართული ანბანი და გაუდგა გზას. როგორც იმ ზაფხულს, ისე 1896 წლის ზაფხულს ბ-ნმა კიჭინაძემ მოიარა ზემო და ქვემო აქარის სოფლები, ხალხს უსასყიდლოდ დაურიგა წიგნები, შეკრიბა მრავალი ამბები, ამ მხარის გამაჰმადიანების შესახებ ხალხში დარჩენილი, და „ივერიის“ საშუალებით მკითხველ საზოგადოებას გაუზიარა. საინტერესოა ის საშუალება, რომელიც ბ-ნს კიჭინაძეს უხმარია ამ ხალხის დასახლოვებლად და მისის გულის მოსაგებად, საინტერესო და საგულის-

ხმოა მით უფრო, რომ მეტის-მეტი სიცრთხილე მართებს ყველას, განსაკუთრებით ქრისტიანს იმ შევთხვევაში, თუ დაახლოვება უნდა მათი და აზრიც ამ დაახლოვებისა — მათს შორის სწავლის გავრცელება იქნება. არავინ უნდა დაივიწყოს ყოველთა-უწინარეს ის გარემოება, რომ აჭარელნი თავიანთის ფანატიკოს მოლების გავლენით და ჩაგონებით ყოველს ქრისტიანს ისე უყურებენ, როგორც წაწყმედილ ცხოვარს, უწმიდურ არსებასა, მაჰმადის მტერს და მოსისხლეს. ყოველს მოქმედებას თქვენსას ეჭვის თვალით უყურებენ; ასე ჰეონიათ, მხოლოდ ჩვენი გაქრისტიანება სწადო, სხვა დარღი არა აქვსთ რაო, თორემ ჩვენთან რა უნდოდათო? ყოველი ცდა ამ მოსულის კაცისა იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ხალხი არ დააფრთხოს ამ უადგილო ეჭვებით.

ბ-ნი ჭიჭინაძე თურმე შედიოდა მათს ჯამეებში, შესვლის წინად ფეხთ იხდიდა მათსავით, . . . მაგარ სასმელებისა და ლოთობის სიძულვილს უწონებდა და ბევრი სხ. ხალხის გული თურმე მაშინათვე მოიყვავილა და ყველასათვის ძვირფასი სტუმარი შეიქმნა. თანაც ქართულ წიგნებს უკითხავდა. ხალხში მიძინებული გრძნობა ქართველობისა იღვიძებდა, და დიდის სიამოვნებით ართმევდნენ წიგნაკებს და ანბანსა სწავლობდნენ. ერთის წლის უკან, 1897 წლის ზაფხულში, როცა ამავე მხარეს მეც ვეწვიე სტუმრად, არა ერთგან და ორგან შემხვდა ბ-ნის ზ. ჭიჭინაძის დატოვებული წიგნაკებით. რომელშიაც ქართულის ასოებით არაბული ლოცვები და აქაური ლექსები იყო ჩართული. ამ ლოცვებისა და ლექსების ხალისით ქართული ანბანიც უსწავლიათ და მაღლიერის გრძნობით იგონებდნენ ამ წიგნაკების დამრიგებელს ბ-ნს ჭიჭინაძეს, ან როგორც ესენი ეძახიან, „ზაქარია-ეფენდი“. სა, ესე იგი სწავლულ ზაქარიას „კაი კაცია, გურჯული (ქართული) ქითაბები (წიგნები) დაგვირიგა და ჩვენთან ერთად ჩვენს ჯამეში ლოცულობდათ.“

რაკი იმის შეძლება არა აქვს ჩვენს საზოგადოებას, რომ შიგ აჭარაში გახსნას სკოლა, ბ-ნის ჭიჭინაძის მაგალითით მა-

ინც უნდა ისარგებლოს და თუ ყოველ წელიწადს არა, თუ წელიწადში ერთხელ მაინც გაგზავნოს ხოლმე თითო ან ოროლი კაცი და წინდაწინე შემუშავებულის გეგმით დაავალოს წერა-კითხვისა და ქართულ წიგნების გავრცელება. სანამ უკუთესს რასმე მოეიგონებდეთ, ჯერ ამ ნაირს საშუალებას დავს-ჯერდეთ. წელიწადში თუ გინდ ათს ან ხუთმეტს კაცს რომ ვა-სწავლო წერა-კითხვა, ისიც სანუგეშო იქნება. ამ საქმეზე ყო-ველ-წელიწადს ოც თუმანზე მეტი არ წავა, ასე რომ ხარჯმა არ უნდა შეგვაშინოს. აქაური ხალხი, როგორც სტუმართ-მო-ყვარე, ყველა დიდის სიამოვნებით ხელს შეუწყობს მათს სას-წავლებლად მოსულ სტუმარს. ასე რომ, შესაძლებელია, შე-ძეგვს წლებში, შეიძლება, ხარჯიც აღარ დასჭირდეს აქ მას-წავლებლების ვამოგზავნას. მასწავლებლები, გარდა იმისა, რომ წერა-კითხვას ასწავლიან ხალხს, გაიცნობენ მათს ყოფა-ცხო-ვრებას, შეჰქონებენ აქ დარჩენილ ზეპირ-სიტყვაობებს და სხვ. ერთის სიტყვით, მონდომებაა საკმარისი, რომ, შედარებით მცი-რედის ხარჯით, დიდი და საშვილიშვილო საქმე გავაკეთოთ...

### შინაური ცხოვრება:

თვალი და ცოლ-ქმრთბა. ოჯახი აქარელისა პატრიალ-ქალურია; უფროსი და შბრძანებელი ოჯახის წევრებისა — სა-ხლის უფროსია. მას ემორჩილებიან ყურ-მოჭრილად, სიტყვა-შეუბრუნებლად ყველანი მისს პატარა სამეფოში. ქალს ხმა არათერში აქვს. იმას აქ წილად ხვდა გარდა პირდაპირ სადია-ცო საქმისა — ქსოვისა, კერვისა, საქონლის მოვლისა და წვრილ-ფეხობის ყურა-გდებისა, გარედ — ყანაშიაც მუშაობა თავისს ქმართან ერთად. ქალი მესი, სთიბავს აქაურს მიუვალს ადგი-ლებზე, ლეწაეს კალოზე, ჭირნახული სახლში შემოაქვს. ერ-თად-ერთი სამუშაო, რომლისგანაც ის განთავისუფლებულია, — არის ცხენით საპალნის გაზიდვა აქარის გარედ. სხვაფრივ კი, შინ ხანდისხან მამაკაცზე მეტს საქმეს აკეთებს. განსაკუთრე-

ბით დიდს შრომას ეწევა ქალი, როცა მთების ახლო მდებარე სოფლები თითქმის სანახევროდ აიყრებიან ხოლმე და საზაფხულოდ თავისს საქონელთან ერთად მთავე მიღიან რამდენისამე თვით. აქ თითქმის ყოველი საქმე ქალს აწევს კისერზე: დღისით მინდვრად საქონელს აძოვებს, საღამოს სწველავს, რძისაგან ყველს, კარაქს და ერბოს აკეთებს, სწერნდავს ბოსელს, ქმარ-შვილს საჭმელს უხარშავს, ურეცხავს, სამოსლისათვის ზალებს უქსოვს. მამკაცი მხოლოდ ხელმძღვანელია თავდარიგის მიმცემი.

მრავალ-ცოლობა თუმცა მაჰმადის კანონის ძალით აქეთკენ ნება-დართულია, მაგრამ ერთ ცოლზე მეტი იშვიათად თუ ვისმე ჰყავს. ერთს ცოლს მარტო შეძლებულები არა სჯერდებიან. აქაურს ბეგებს თუ ჰყავსთ ერთ ცოლზე მეტი. მიზეზი ერთ-ცოლიანობისა—წმინდა ეკონომიურია. აქაურს ქონებრივად დავრდომილს მკეიდრს სადა აქვს იმისი თავი, რომ რამდენსამე ქალს თავი მოუაროს და ასვას და აჭამოს!

მართალია, თითო ცოლსასჯერდება აჭარელი, მაგრამ თუ მისმა მეუღლებ არ აამა და თავის ნებაზე სიარული დაიწყო, ქმარი ბევრს არ მოებოლიშება, ასწევს და გაუშვებს, და სხვის, თავის კუუის და გეშოვნების აღაშიანს გონახავს. ევას ასულს აქ კარგის ოჯახიანობის გარდა ქმრის ერთგულება მეტად მკაცრად მოეთხოვება. ქმარი თვინიერ ღალატისა ყველაფერს შეუნდობს თავისს ცოლს. უმეტეს შემთხვევაში მიზეზად განქორწინებისა ცოლ-ქმრული ღალატი ხდება. ქალი ამ შემთხვევაში, ერთის მხრით, ულმობელად ისჯება ქმრისაგან, მეორეს მხრით— ყბალ-ასალები ხდება მთელის სოფლისა; სოფლის ჭორიკანებს აღდგომა უთენდებათ და რამდენისამე თვის სალაპარაკო მასალა ეძლევათ.

წესი ცოლის შერთვისა აჭარაში თითქმის ისეთივეა, როგორც სხვაგან საქართველოში. შერთვამდე ვაჯს თავისი საბედო ხანდა-ხან ნახულიც არ ეყოლება ხოლმე, რადგან აღარც ქორწილში, აღარც ტირილში ქალი მამკაცს არ ეჩვენება. ლირსება- ნაკლულევანება იმ აღამიანისა, რომელსაც ვაუმათვისი მომავალი ცხოვრება. უნდა შეუერთოს, უმეტეს

შემთხვევაში მესამე პირის საშუალებით უნდა გაიგოს. ამ მესამე პირის საშუალებითვე უნდა გადაწყდეს ჯვარის-წერის საქმე. ეს მესამე პირი არის შუამავალი, ანუ, როგორც აქ ეძახიან, „ელჩი.“ თუ ვაჟს მამა ჰყავს, იმ შემთხვევაში მამა არაგებს იმ ელჩის სეშუალებით საქმეს. ჯერ უნდა გაიგოს: ქალის დედ-მამის ზნე-დაცულობა და მათი ფიზიკური უნაკლულობა. თუ მამა შეკრებილ ცნობებით კმაყოფილი დარჩა, ქალის მამას ელჩს უგზავნის და იმის პირით უთვლის: შენი ქალი ჩემს შვილს ცოლად მინდა შეერთოვთ. სანამ გადაწყვეტილს პასუხს შეუთელიდეს, ქალის მამა თავის მხრივ ცნობებსავე ჰკრიფავს მომავალ სასიძოს შესახებაც. თუ ჰკუაში დაუჯდა წინადადება, თანხმობას უთვლის. მაშინ მამა ვაჟისა ქალს ნიშანს უგზავნის: ბეჭედს, თავსაკრავს და სხ., ქალი თავის მხრივ უგზავნის: თავის ხელით მოქსოვილს აბრეშუმის წვანჯარს, თუ შეძლებულია — აბრეშუმისავე პერანგს, მისს ამ-ხანაგს და ქისას. ამით ნიშნობა თავდება, წინდი მომავალის ცოლ-ქმრობის კავშირისა ორისავ მხრით მიცემულია. მერე ქალის სახლში მოვა ხოჯა, დასწერს ახტს (ცოლ-ქმრობის პირობის ქაღალდს, სადაც მზითვია ჩამონაუსხული) და გამოაცხადებს: მავანი ქალი მავანის ცოლიაო. ახტის დაწერას ეს-წრობიან (გარდა სასიძოსი) მამა სასიძოსი, რომელსაც თან ახლავს რამდენიმე მეზობელი. ქალი დამალულია. ამის შემდეგ წვეულება იმართება. ამ წვეულებაზე, როგორც სხვა დროსაც, ქალები არ ესწრებიან.

ნიშნობას რომ გადაიხდიან, ვაჟი თავისუფლად მიდის სიმამრის სახლში. ქალთანაც ცოლქმრულს კავშირს ასრულებს. ისიც მოხდება ხოლმე, რომ თავისს სახლში წამოყვანამდე ცოლი დაუორსულდება და შვილიც კი ეყოლება. ცოტა არ იყოს, სირცეებილში ჩაეთვლებათ ორსაეულ ასეთი სულსწრაფობა, მაგრამ ეგ არის, ამ გმობით თავდება საქმე, სასჯელის ღირსაღარც ერთსა სცნობენ და აღარც მეორეს. ქმრის სახლში წასვლის დროს ქალს მოსდევენ მაყარნი და მდადენი (ან ერთი მდადე, თუ ღარიბია). გზაში ქალები ცხენებზე სხდიან და

ქვეითა კაცებს მათი ცხენები აღფირით უჭირავთ ხოლმე. გზის სიშორეს სიმღერითა და ლექსით იაღვილებენ. ქორწილი საზოგადოდ შემოდგომაზე იყინა.

ზემოხსენებულ ახტში, სხვათა შორის, ის არის მოხსენებული, რომ თუ ქმარმა მოისურვა თავის ცოლის გაშვება, უნდა ნიჭაჭა (სასყიდელი, სარჩო) მისცეს გაშვებულს ცოლს. ზელმოკლენი ცოლის გაშვების დროს ნიჭაპად 100—200 მანეთს აძლევენ. ხოლო მდიდრები, მაგალითად, ბეგები, თუ ცოლად დიდის გვარის ქალი ჰყავთ, გაშვების დროს 10,000 მანეთსაც აძლევენ. ახტი ქალსაც აძლევს უფლებას თავისს ქმარს განექორწილოს. ამ შემთხვევაში თავის მზითევზე ხელს იღებს, უკან დაბრუნებას ვერ მოითხოვს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს უფლება ქალისა მხოლოდ იწერება, ისე კი თავს იშვიათად ანებებს ქალი ქმარს. ქმარი განქორწინების დროს ცოლს ნიჭაპს მაშინ არ აძლევს, თუ დაამტკიცა ქალის დანაშაული. ხოლო თუ ვერ დაამტკიცა და ისე ხუშტურის გავლენით მოინდომა მისი გაშვება, მაშინ კი კანონი ვალდებულს ჰყოფს ცოლს ნიჭაპი მისცეს. რომ ნიჭაპის მიცემა აიცილოს, ქმარი ცდილობს თავისი უგემური ცოლი, როგორც აქ იტყვიან, „გააძალლოს“, ესე იგი იმ ზომამდე მიიყვანოს, რომ თვითონ ქალმა უთხრას: ოღონდ გამიშვი და შენი არაფერი მინდაო. ისეც შეუძლია, ცოლმა ქმარს თავი დაანებოს, სხეასთან კავშირი იქონიოს, მაგრამ კანონიერად კი ვერ გაჰყვება, თუ ქმრის თანხმობა არ არის. ამ შემთხვევაში ერთად ერთი გზა აქვს ქალს: თავისი პირობა აპატიონს, ესე იგი მზითევი არ მოსთხოვოს. ქმარიც სულ დიდი „ბოხრიკს“ (საქონელს) აჩუქებს და მორჩა.

ცოლქმრის განქორწინების წესიც თავის მხრივ სამგვარი ანუ სამ ტალახიანია (სამ მუხლოვანი). ცოლის გაშვება ერთას ტალახით იმას ნიშნავს, რომ ქმარი დროებით აძლევს ქალს განშორების ნებას. ერთის ტალახით გაშვებული ქალი სხვაზე ვერ გათხოვდება, თუ ქმარმა ნება და ნიჭაპი არ მისცა. ქმარიკი, თუ ისურვებს, შეუძლია შეურიგდეს თავისს ცოლს და ისევ შე-

შოთავანოს სახლში, მხოლოდ განკორწინების დღიდან სამის თვის განმავლობაში აქვს ეადა. ხოლო თუ ამ ვადის განმავლობაში ქმარმა თავისს ცოლზე გული არ მოიბრუნა, ცოლს ნება აქვს სხვას მისთხოვდეს. ჰრის ტაფახით გაშვების დროს ხელახლა შერიგებისათვის-კი—რა თქმა უნდა, იმავ სამის თვის განმავლობაში—ქალის თანხმობაა საჭირო, საჭმის მობრუნება იმის ხელთაა, ქმარს არავითარი ხმა არა აქვს. სამის ტაფახით გამიშვიხარო, თუ უთხრა ქმარმა ცოლს, მაშინ ქალმა და კაცმა ძალიან გულითაც რომ მოინდომონ სამს თვეზე ადრე ვერ შეუუღლდებიან ერთმანეთს ხელახლად. ამ სამის თვის ვადას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ხნის განმავლობაში გამოჩნდება გამვებულიქალი ორსულია, თუ არა. თუ ორსული არ გამოდგა, მაშინ ისევ შეუღლდებიან. წინააღმდეგს შემთხვევაში-კი, სანამ არ მოილოგინებს, ვერავის წაჟყვება. მოლოგინების შემდეგაც შემდეგი ფორმა უნდა დაიცვას: ჯერ უნდა სხვა კაცს გაჰყვეს, ამ მეორე ქმარმა უნდა გაუშვას და მხოლოდ მეორე ქმრისაგან გაშვებულს შეუძლიან პირველ ქმრის სახლში იდია-სახლისოს.

თუ ოჯახის უფროსი მოკვდა, შეიღები დარჩა და ქვრიემა გათხოვება მოინდომა, შეუძლია მოძრავიდან მერვედი ნაწილი წაიღოს, დანარჩენი ობლებსა რჩებათ. ხოლო თუ შეიღები არ დარჩა მიცვალებულს, მაშინ ქვრივს უძრავის მეოთხედი მიაქვს, დანარჩენი ქონება ქმრის ნათესავების კუთხილებად რჩება. მზითვის ნაწილის წაუღებლობისათვის ქვრივ რძალს, თუ მიცვალებულს საცოლე ძმა დარჩა, ეს ძმა ირთავს, რა თქმა უნდა, თუ იმის მხრივაც თანხმობა იქნება. მაგალითად, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის უფროსი ძმა რომ მოჰკვდა, დედამ თავის ქვრივ რძალს უთხრა, მეორე შვილი (შერიფ-ბეგი) მყავს, დაუცადე, სანამ დასაცოლიანებელი გახდებოდეს და იმას წაჟყვეიო. რძალმაც გაუგონა დედამთილს რჩევა და შერიფ-ბეგს გაჰყვა.

ძველთაგან ახლაც არის აქ დარჩენილი ჩვეულება აკვან. შე მყოფ ბავშვების გათხოვებისა. ორს აკვანს, რომლებშიაც

დედათა სქესის და მამათა სქესის ბავშვებია, მშობლები ერთ-მანეთს მოუდგამენ და ამ დღიდან ქალ-ვაჟი ერთმანეთის ცოლ-ქმრად ითვლებიან. საზოგადოდ კი ქალს 15—20 წლისას ათხოვებენ. 30 წლის განმავლობაში, გაუთხოვრად დარჩენილს ქალს დრომოქმულს, დაბერებულს ეძახიან. ასეთს ქალებში ასში ორმოცდა ხუთს თუ და აქვს კიდევ იმედი გათხოვებისა. ვაჟი კ. 25—30 წლისა ირთავს ცოლს. თუ შინ ოჯახის მომ-ვლელად დედათა სქესისა არაენია ჰყავს, მაშინ შეიძლება 20—22 წლისაც დაცოლიანდეს. რომ გათხოვდება ქალი, აქა-ური მართებულობა მოითხოვს, ქმრის სახელი არ ახსენოს ხოლმე; თავის მხრივ ქმარიც ვალდებულია თავისს მეუღლეს. სახელი არ დაუძახოს,—მეტის-მეტი სირცევილი და დასაძრახი-სია. გარდა ამისა ქალსვე ვალად ედება თმა და თითებს ზემოდ-ხელის სიშიშვლე მამაკაცის ცნობის მოყვარე თვალებს არ აჩვენოს ხოლმე.

გარეშე ცოლქმრობისა გასათხოვარს ქალსა და საცოლე ვაჟს შორის კავშირი მეტად გასაკიცხია აჭარაში. მაგრამ ბუ-ნებას თავისი გააქვს და მიუხედავად კარჩაკეტილის ცხოვრე-ბისა აქაური ქალი ათასში ერთხელ კიდევ დაარღვევს აქაურს-მტკიცე ჩვეულებას. კიდევ კარგი, თუ ცოდვა სიყვარულისა. არ გამოაჩინდა და თავის დანაშაულის დაფარვა მოახერხა, ხო-ლო წინააღმდეგს შემთხვევაში—ბრალი იმისი! ქვეყნის ყბად ასაღები და სათრეველი ხდება როგორც მისი, ისე მისის შემ-ცდენელის სახელი და სიცოცხლე! მაგრამ ესეც კია, რომ უფროს ერთ შემთხვევაში ხალხი ვაჟს ამტყუნებს, მთელს დანაშაულს იმას ახვევს თავზე და სასჯელსაც იმასა ხდიან ხოლმე.

ნათესავური გრძნობა შეტად დიდი აქეთ აქაურებს. ასე წარმოიდგინეთ, თუ ქალმა ვისსამე ბავშვს რაიმე მიზეზით ძუძუ აწოვა, მისი ნათესავი ხდება მეშვიდე მოდგმამდე.

---

სამთამბე. რამდენადაც თავისებურია. ბუნება აჭარისა, იმდენადვე თავისებურია. სამოსელი მისის მკეიდრისა. იმერული

გრძელ კალთებიან ჩოხას, ფეხით სიარულის დროს მეტად უხერხულ სატარებელს, აქ ვერ შეხვდებით. რაკი ცხენით სიარული აჭარაში მეტად სამძიმოა და რაკი მკვიდრი იძულებულია ძალა-უნებურად აქაურს აღმართებზე თავისს ფეხებს დაატანოს ძალა, სამოსელიც ამ აღმართ-დაღმართების შეფარდებული გამოუგონია. მეტი აჭარელის ტანისამოსში არაფერია. ყველაფერი, რაც აცვია, მოკლეა და ტანზე მჭიდროდ დამდგარი. აქაურის შალის ჩოხა წელს ქვემოდ ოდნავ-ლა სცდება და ჩატანებულია აქაურ შალისავე ძიგეაში. ჩოხას ქვემოდ ზუბუნა (სახელოიანი ჟილეტი) აცვიათ; ზუბუნი ჩითისა და საზამთროდ დაბამბულია; ხოლო საზაფხულოდ იგივე ზუბუნი უსახელო და დაუბამბავია და სახელიდ ელეგი პქეიან. მიგდა საჯდომთან ძალზე დანაოცებულია, სიარულს და ძირს ჯახრას სრულებით არ უშლის; ბოლოში ვიწროვდება, წვივებს მჭიდროდ ადგა და ფეხებზე პაჭანაგით არის მიმარტებული. ფეხებზე ადგილობრივი მოქმედებილი ძალზე სქელი და ჭრელი წინდები აცვიათ და წინდებზე კანის ჩაფედას (ქალამანს) ატარებენ. თავზე უეჭველად ყაბალახი უნდა პქონდეს შემობლანდული კოხტად. თავ-მომწონენი ზაფხულობით სირმა შემოვლებული ჩოხას, ზუბუნს და ძიგვას შავის სატინისას ატარებენ. ოსმალური ფესი იშვიათი სანახავია. თუ ატარებენ, ისევ მოლები, ყადები და სახოგალოდ სასულიერო წოდებისანი. ჩეუნებური გრძელი ჩოხა-ახალუხი აქაურა ბეგებს და აცვიათ.

აქაურის ტანისამოსის უეჭველს ატრიბუტს შეადგენს იარაღი. თოფი, წელს გარეშემო საპატრონე, მოვერცხლილი დამბაჩა, საჯაყვე, ტარიანი და ქარქაშში ჩაგდებული და ქამარზე დაკიდებული, სატევარი, საქონე, სამოგვის მათარა,—აი აქაური. რას ატარებს. თოფს ყველანი არ ატარებენ, ხოლო დანარჩენი არსენალი თითქმის ყველას აქვს წამოკიდებული. ამნირად გამოწყობილი აჭარელი, მხარბეჭიანი, ჩამკრივულის ტანისა, წევრ გაპარსული, შავ და პირდაპირობის გამომთქმელ თვალებიანი, შავგვრემანი, სურათ ცხვირიანი, თამამად მოსია-

რულე, თან ზრდილობიანის, სიტყვაპასუხის პატრონი—მეტად უშვენის, მეტად საამო საყურებელია.

ახლა ენახოთ, აქაური ქალი როგორ იცვამს. ჩეენებურს. ტანისამოსთან აჭირელი ქალის ტანისამოსს მსგავსება არაფერი აქვს. სჯულთან ერთად დედა-სქესის წარმომადგენელთ სამო-სელიც გამოუცვლიათ. ზევიდან აცვიათ ქათიბის მსგავსი ხილება ჩითისა, დაბამბული ანუ უბამბო, სეზონის მიხედვით; ხირხას ქვემოდ ატარებენ კაბას, კაბას ქვეშ—პერანგსა და მისს ამხა-ნაგს, ალისფერ ჩითისაგან შეკერილს. პერანგის ამხანაგი მეტად განიერია, მხოლოდ კოჭებთან ვიწროვდება, თავში თეთრი ამერიკა აქვს გადაკერებული ხონჯრისათვის; ფეხებზე ჩუსტები აცვიათ აღმართებზე სიარულის დროს, ხოლო ვაკეში დადიან ნილაძნა-თ (ხისგან გაკეთებული მაღალ ფეხებიანი საცმელია, ზევიდან ვიწრო სამოვე აქვს გადაკრული, ფეხის შესაყოფად და დასამაგრებლად). თავზე შემოკრული აქვს თავისჩითივით იაზმა, იმის ზემოთ თავის გარშემო ლეჩაქი, რომლის ერთი ური წელზე გადაშვებული, წინ სახეზე შემოკრული აქვთ სინათლის სანახავად თხელი შანდილი—ფეჩა. ყველა ამის გარ-შემო გადაფარებული აქვთ თეთრი ჩადრი თავის დასამალავად. სიარულისა თუ მუშაობის დროს, შინ თუ გარედ სულ ერთა-ვად ატარებენ ამ ჩადრს, რომ მამათა-სქესის წარმომადგენელთ, განსაკუთრებით უცხოელებს და გიაურებს (ქრისტეანებს) თავი არ დაანახონ. როგორცა ხედავს მკითხველი, რამდენადაც აჭირელ მამაკაცის ტანისამოსი პრაკტიკული და ადგილ მდება-რეობის პირობებთან შეფარდებულია, იმდენად დედაკაცის ტანისამოსი უხერხულია, ადამიანს თავისუფლად მოძრაობას უშლის, ხელსფეხს თითქმის უბორკავს. თითქო იმისთვის გა-მოუყონიათ, რომ მისმა მტარებელმა თავის ნებით თავის თა-ვი დაიტყვეოსო. ესტეტიკურს გემოვნებაზე ხომ ნურას ბრძა-ნებთ!

საზღვრების ტანძროველია და მკურნალია. ჰაერი აჭირისა-საზოგადოდ მეტად მრთელია. არის რამდენიმე სოფელი, სა-

დაც კიება ზაფხულობით საკმაოდა სტანჯავს სოფლელთ. ესე-  
თი სოფლები (შუახევი, ხიჭაური) მეტად ჩავარდნილ ალაგებში  
არიან გაშენებულები, წყლის პირას. თითქმის ყოველის მხრით  
კლდებით არიან შემოზღუდულნი და ჰაერის მოძრაობა მეტად  
შეჩერებულია. კიების გარდა ზოგიერთ სოფლებში (მორისი  
და ცხმორისი ქვემო-აჭარაში, ლორჯომი—ზემო-აჭარაში) ჩი-  
ყვიც არის სოფლელთა შორის, ზოგიერთს ცხვრის დუმხსავით  
დაჰკიდებს კისერზე ჩიყვი და თავის-თავისუფლად მოძრაობს  
უშლის. თითონ ამ ჩიყვიანებ შორის კაცი იდიოტებსაც შე-  
ხედება. წმინდა ალაგებრივი სატკივრები ესენია. ზამთრობით  
ფილტვის ანთებაც ხშირია. და უმეტეს შემთხვევაში ავადმყო-  
ფი მოუვლელობისა გამო თან უნდა გადაჰყვეს ხოლმე. ამ  
შემთხვევაში ერთად-ერთი მომხმარე ავადმყოფისა—მისი აგე-  
ბულებაა. თუ მაგარის აგებულებისაა და სენი სძლია, ხომ რა კარგი,  
თუ არა და თავისი მრავალტანჯული სული ღმერთს უნდა ჩაა-  
ბაროს.

მკურნალობა აქაურს სოფლებში ჯერ-ჯერობით ისევ მო-  
ლების ხელშია. პეტაგოგობის გარდა ესენი ხალხის კურნებასაც  
ხელს ჰკიდებენ. რაც უნდა სენი სჭირდეს ავადმყოფს, მოლა  
უკან არ დაიხევს, ყველაფერში მეცნიერებას იჩენს. მათი წამა.  
ლი — შელოცვა და თილისმებია. თუ ავადმყოფი მორჩა, — დიდე-  
ბა და სახელი მოლას, თუ თქვენი ჭირი წაიღო, მაინც არ  
დაემდურებიან, — ალბად წერა ყოფილა, თორემ მოლას ცდა  
არ დაუკლიაო. გასამრჯელოს მოლას ამ თილისმებისა და შე-  
ლოცვებისათვის ზოგჯერ 2—3 მანეთამდე აძლევენ.

ნამდვილის სამკურნალო მეცნიერების მსახურნი აჭარაში  
ამ ოთხი-ხუთის წლის წინად დაინახეს მცხოვრებთ, როცა სოფ-  
ქედაში საგუბერნიო საექიმო უწყებამ სამკურნალო გახსნა.  
სამკურნალოს გახსნისათანავე ქედაშივე გამწესებულ იქმნენ  
ერთი მკურნალი, ერთი ბებია-ქალი, ფერშალი-ქალი და ერ-  
თიც ფერშალი-კაცი, სამკურნალო მხოლოდ გარედან მოსია-  
რულებთათვის არის დაარსებული და მისი შენახვა წელიწადში  
რათხას თუმნამდე ჯდება. დღეში ზოგჯერ 25 კაცი მოდის ხა-

ექიმოდ, უფრო მაგა კაცები, დედათა სქესისანი ჩვენებულს ექიმს გაურბიან. ისევ ფერშალ ქალს თუ ეჩვენებიან, ისიც როცა სიკედილის კარამდე არიან. მიღწეულნი. მაგრამ სამწუხარო ის გარემოებაა, რომ არც ბებია-ქალმა და ალარც ფერშალმა-ქალმა ქართული ენა არ იციან, რომ გააგებინონ რამ მათთან რჩების საოხვენელად მისულ აჭარელ ქალებს.

ქედის სამკურნალოს მოქმედების რაიონი მეტად განაწილებულია, მეტად მცირედი ნაწილი მცხოვრებთა, და ისიც ქვედა აჭარისა ჰპოულობს შვებას გასაჭირში, რაღან, უგზოობისა გამო, აქ მძიმე ავადმყოფის ჩამოყვანა ფიზიკურად ყოვლად შეუძლებელი ხდება. მთელი ზემო-აჭარა კი, საღაც მხოლოდ ერთი ფერშალია, სრულებით მოკლებულია მკურნალობას. ხულოში, ეგრედ წოდებული, საფერშლო პუნკტია, აქ განწესებულ ფერშალს, რომელსაც თითქმის 20,000 სულის მოვლა და ყურის-გდება აქვს დავალებული, წარმოიდგინეთ, ქინაქინასა და საფალიარათო ზეთის მეტი არაფერი მოეძევება მისს სამგზავრო აფთეკაში! ხანდის-ხან ისიც არ მოეპოვება ხოლმე. ხოლო ექიმი აქეთკენ თავის-დღეში ოვალითაც არ უნახავსთ, რაღან ერთად-ერთს მკურნალს. ქედის სამკურნალო აქვს ჩაბარებული და იქიდან ფეხს ვერ მოიცვლის. ექიმი კიდეც რომ დაიძრას ქედიდან, ამ უგზოობაში სადღა წავიდეს. განსაკუთრებით ზამთრობით, დიდ-თოვლობის დროს, როცა სოფლებ შორის ყოველი მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია! ასეა თუ ისე, 33,000 მცხოვრებს ერთი მკურნალი, ორი ფერშალი ვაჟი და თითო თითო ბებია-ქალი და ფერშალი ქალი. ოლონდაც რომ ბევრს ვერაფერს სამსახურს გაუწევენ. სამკურნალო საქმე, სხვა მრავალთა შორის, აჭარაში მეტად ბეხავად არის დაყენებული და მომართული. ამ მხრივ შველას გარედგან მოელის აჭარელი, თვითონ კი სრულიად უმწეოა. უმწეოა—ქონებრივიდ, თავის წარმატებისათვის ზრუნვის თავი არა აქვს; უმწეოა იმ ტრადიციების და ქრისტეანეთამდი უნდობლობის გავლენით, რომლებიც ამდენის ხნის განმავლობაში ოსმალეთის უკუღმართმა

ცხოვრებამ ჩაუნერგა და დედის ძუძუსთან ერთად შეაწოვა... და უველა ამისგან რომ გაიკურნოს, ჩვენის მხრით მედგარი ბრძოლაა საჭირო.

აი, დაახლოვებით სურათი იმ ცრემლ-შეუშრობელის მხარისა, რომელსაც აქარა ჰქვიან; ჩვენ თვითონ კარგადა ვგრძნობთ, რომ ეს სურათი სრული არ არის, მაგრამ ვეტადენით თავი და თავი გასაჭირი აღვენიშნა აქაურთა მცხოვრებთა. მგონია, ესეც საკმარისია, რომ მყითხველმაც იგივე იგრძნოს, რაც ჩვენ ვიგრძენით, როცა პირველად თვალი-თვალში გავუყარეთ ამ ვაებისა და მწუხარების მხარეს.

თ. სახოვაო

## არხეოლოგიური მოვზაურობანი და შენიშვნანი

### გ ა რ თ ლ ი

ურბნისის უზარ-მაზარი ეკლესია ერთი უმთავრესთაგანი წარმომადგენელია საქართველოში ნამდვილი ძველი ბაზილიკისა. ეს ერთი ულამაზესთაგანი და მასთან მდიდრული ნაშთი არის ქართული ხუროთ მოძღვრებისა. უგამბათო ეკლესის საქართველოში სიონს უწოდობდენ საზოგადოდ და მართლა ურბნისი უძველეს წარწერებში სიონათ არის ცნობილი. ურბნისის ეკლესია რამდენიმეჯერ არის თითქმის ძირითურთ აღმიფხერილი მტერთაგან და შემდეგ აღდგენილი მეფეთა და ებისკობისთაგან. ამიტომ მასალა ეკლესის კედლებისა სხვა-და-სხვა არის. ეხლა უმეტესი ნაწილი აგურით არის ნაშენი, მაგრამ საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ძველათ ეკლესია თლილის ქვით ყოფილა აშენებული. თლილის ქვისა, მაგრამ ძალზე დამდნარი, არის უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთის კედლისა. ასეთი ქვით ნაშენი ეკლესია და ასეთივე დამდნარი კედლებით ჩვენ ვნახეთ სკრის ხეობის სათავეში. ჩვენ გვვონია ურბნისის ეკლესის ქვებიც სკრის ხეობიდან არის მოტანილი. შიგნით ეკლესია საშნაწილად (ნეფათ) არის დაყოფილი და ეს ნაწილები თითქმის თანასწორი და პროპორციულია. საზოგადოდ ურბნისის ეკლესიას რომანულს ხელობის ნაშთს მიაწერენ საქართველოში და, კონდაკოვის აზრით, განვებდ დახავლეთ ეეროპიდან გამოწერილი ხუროთ მოძღვრებისაგან უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს.

**XIII** საუკუნისა. პირველათ ურბნისის ეკლესიის აშენებას შეიწყერე თათეს ერთ მეოთცამეტე სირიელ მაშათაგანს მე- გქვესე საუკუნეში. პირველ ეპისკოპოსათ ურბნისისა მოხსენე- ბულია ნეოფიტე, მახმადიანობაში ომარათ წოდებული, ნათე- სავი ხალიფასი, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო შიომლვიმის მონასტერში და ეწვალა არაბთაგან მერვე საუკუნის დასას- რულს. ნეოფიტეს საფლავს დღემდის უჩვენებენ ურბნისის ეკ- ლესიაში. ამ გვარათ საფუძველი ურბნისის ეკლესიისა უძვე- ლეს დროს უნდა მიეწეროს, მხოლოდ დროთა ვითარების გა- მო რასაკირველია პირვენდელი სრული სახე ეკლესის არ შერჩებოდა. მაგრამ არა ვგონებ, რომ გეგმა სრულიად შეეცვა- ლონ. ამიტომ კანდაკოვის აზრი მისაღები არ არის, ვინაიდგან ურბნისის ეკლესია ისეთ ძველ დროს ეკუთვნის, რომ დასავლეთ ეკროპიდან ხუროთ მოძღვრის გამოწერა შეუძლებელი იქნე- ბოდა. იატაკი ეკლესიისა ეხლა აგურისაა, მაგრამ ძველათ, რო- გორც ეტყობა, ჭვისა ყოფილა. ეკლესიას ორი კანკელი აქვს, ერთი ხისა, ლამაზი ნიხელავი, რომელიც, ჩვენის აზრით, ერეკ- ლე მეორის მიერ უნდა იყოს გაკეთებული, ამიტომ რომ ამ გვარივე კანკელი მოიპოვება რუისის ეკლესიაშიც, რომელიც როგორც წარწერიდან სჩანს, ერეკლე მეორეს გაუკეთებია. ხის კანკელი ჰვარავს მეორე კანკელს ჭვისას, ლამაზ ნახელავს და შემკობილს შვენიერის სურათებით. აქ მარჯვნივ გამოხატუ- ლი არიან იქსო ქრისტე და იოანე ნათლის მცემელი, მარც- ხნივ ყოვლად წმიდა და წმიდა ნინო. კანკელი გაუკეთებია ვა- ხტანგ **VII.** ურბნისის ეკლესიას წინეთ ჰქონია შემოვლებუ- ლი ზღუდე კოშკებით, ზღუდე ეხლა მოშლილია, მხოლოდ დარჩენილია ერთ ადგილას ილაყაფის კარები ეხლა ამო- შენებული, თაღზე ამ კარებისა ამართულია მშენიერი ხა- მოეკლო ვახტანგ **VII**-ის დროისა. ურბნისის ეკლესიას რო- გორც საყურადღებო ნაშთს საქართველოსას საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა აქვს. ყველა ჩვენი ძველი ნაშთების მკლევარი ყოფილა ურბნისში და ასე თუ ისე აუწერია მისი ნაშთები (იხ. Dubois, Voyage... t. III, p. 183—184. Brosset, Voyage ა-

ch'el. VI, Rapp., p. 13—19. Muравьева, Грузия и Армения, ч. III. Бакрадзе, Кавказъ въ древн. пам. христ., стр. 151—162. Кандакова, Русскія Аревности., вып. IV, стр. 73. Графиня Уварова, Материалы по археол. Кавказа, вып. IV, стр. 141—145).  
თუ რა არის ახალი ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილ მასალაში,  
ამას მკითხველი დაინახავს ზემო ნაჩვენებ შრომათა შედარები-  
დან. ჩვენ ვეცადეთ, რამდენათაც შესაძლო იყო, სრულათ შე-  
გვეკრიბა ყველა წარწერები კედლებისა, ნივთებისა, სასაფლა-  
ოს ქვებისა და აგრეთვე მინაწერები ხელთ-ნაწერთა და ვგონებთ  
ზეზე აღარაფერი დაგვრჩენია ღირს სახსოვარი, რომლის წარ-  
წერა არ მოგვეყუნოს. თუმცა არ მოველოდით, მაგრამ უშე-  
ტესი ნაწილი ქვემო მოყვანილი წარწერებისა და მინაწერე-  
ბისა პირველათ იძეჭდება აქ.

I. სამხრეთის კარის ზემოდ თრად გაყოფილ ქვაზედ სწე-  
რია ძველი ამობერილი ასომთავრულით:

1. ოთ ღო შე თე ებსკი	ძე ღკსი მშბლი
2. ასსაჲ ოდს ღნ ღს	მყო ასსა ებკსღ
3. იყო ესე სნი დაძლ	ოფს ზმსა ოთხნი
4. კთხნი და კქი გპლ	იყს სტნი ქტცი დპლ
5. იყს და მდლა ღნ ას ყი	საჲ აღშბღ ყთა გქ
6. [ბე] ძალისჲ მხთა	ღა ყი გთაბთა მქა <sup>1)</sup> )

უქარაგმოთ ჩვენის აზრით წარწერა ასე უნდა წავიკით-  
ხოთ:

\*უფალო ღმერთო, შეიწყალე თეოდორე ებასკოპოსი, ძეჭ  
ლუკასი, მაშენებელი ამისსაჲ, ოდეს ღმერთშან ღირს მყო ამისსა  
ებისკოპოსად, იყო ესე სიონი დაძველებულ უფროს ზომისა:  
ოთხნი კუთხენი და კანქელი (?) <sup>2)</sup> გაპობილ იყვნეს, სვეტნი

1) უკანასკნელი სტრიქონის ასოები სანახევროდ არიან დაცულნი.  
უმეტეს შემთხვევაში ზემო ნაწილები.

2) ბროსეს აზრით ასოები „კქი“ უნდა ნიშნავდეს სიტყვას „კათო-  
ლიკე“-ს, რომელიც სომხურის გამოთქმით უდრის გუმბათს.

ქტცი (ქატაცი?)<sup>1)</sup> დამპალ იყენეს და მოწმადლა ღმერთმან ამის ყოვლისად აღშენებად, ყოვლითა გაკეთებად ძალისად, მეოხებითა ლვოისათა ყოველი გათავებითა მიქმნია<sup>2)</sup>“.

ეს და ამგვარივე ასოებით დარჩენილი წარწერები უძველეს დროს უნდა ეკუთვნოდენ, მაგრამ განმარტება დროისა შეუძლებელია, ეინაიდან თარიღი არ უზის.

## II. ოღონსაფლეთის კედელზე იმ ნაირივე ასოებით სწერია:

1. სბო წო შე მნა
2. შნი ქთრ შშნ და
3. ნშპნი მთნი უწნი
4. ამს სნი ქნ შნ ან

უქარაგმოთ:

„სამებაო წმიდაო შეიწყალე მონად შენი ქავთარ, შუშან და ნაშობნი გათნი, შემწენი<sup>3)</sup> ამის სიონისნი. ქრისტემან შეუნდევნ, ამინ“.

## III. ოღონსაფლეთისავე კედელზე იმნაირივე ასოებით:

ქარაგმით:

დბჟ შა ქე  
რ მდლე თე  
ებკა ასსა  
ალშბჟ თნა

უქარაგმოთ:

დიდებია შენდა ქრისტე,  
რამეთუ შომმადლე<sup>4)</sup> თეოდორე  
ებისკოპოსსა ამისსა  
აღშენებად, თანა

<sup>1)</sup> არ ვიცით, რომელი სიტყვა უნდა იგულისხმებოდეს ასოებში „ქტცი“. ბროსე ამ სიტყვის აზრის მიხედვით კანკელათ სთარგმნის. თუმცა უფრო ჩვენის აზრით კანკელი უნდა იგულისხმებოდეს ზემო აღნიშნულ ასოებში „კქი“.

<sup>2)</sup> უკანასკნელ სტრიქონებს ბროსე ასე კითხულობს: „და მმადლა ღმერთმან ას ყოვლისად, აღშენებითა გაკრძალვასა და... ღმერთსა ყოველი ვათავეთ ამ ქორონიკონსა“. ჩვენის მოსაზრებით ეს სტრიქონი ისე უნდა წავიკითხოთ, როგორც ზევით მოგვყავს.

<sup>3)</sup> ბროსე კითხულობს: „შეწირულნი.

<sup>4)</sup> ბროსე კითხულობს: მიმადლე.

შწნთა მქლ	შეწევნითა მიქელ
ძისა კტსით	ძისა კოსტანტინესითა <sup>1)</sup> ,
ქნ შე ესე მე	ქრისტემან შეუნდვენ. ესე მე
აბთარ დწრე <sup>2)</sup>	აბიათარ დავწერე <sup>3)</sup> )

IV. აღმოსავლეთისაკედელზე წვრილის ხუცურით სწერა:

ქ ე მ ნ დ ვ ხ თ ნ  
ქ ე მ კ ხ ნ ე მ ნ დ შ ნ ი  
ვ ხ თ გ ნ  
[ქ] ე შ ე მ ნ დ შ ნ ი ც ო დ ვ

აზრი ამ წარწერებისა მცირეოდენი განსხვავებით ერთია  
და იგივეა, რომელიც საზოგადოდ ნიშნავს:

„ქრისტე, მოიხსენე მონად შენი ვასტანგ“.

V. ዓመትናዕላጊውን በቃል ስራው ተደርጓል፡፡

ქ.: ოის. ყლთა მ'წთა უწარჩინებულესო  
პირველ მოწამეო სტეფანე, შეიძყალე ფრიად  
ცოდვილი [მონაი] შენი მამუკა....<sup>4)</sup>).

VI. ዓለምኑኩንድን ተስፋዎች ሃይልና ስርዓት የሚያስፈልግ ነው፡፡

<sup>1)</sup> უკანასკნელ სამ სიტყვას ბროსე კითხულობს: მიქელა-ძისა გალა-ტოზით.

2) ამ სიტყვების პირველი ასო „ღ“-ია და არა „ჰ“-ი, როგორც ბრო-სეს მოჰყავს.

8) ამავე ასოებით ნაწერი ქვის ნატერი დატანებულია კიდევ შიგნით საკურთხეველის კედელში, მაგრამ აյ განცალკევებული ასოები განიჩრჩევა მზოლოთ:

୩୭୩

• • ५

რაღა თქმა უნდა სადაც ჩვენ „უ“-ნს უჩვენებთ ის ასონი „ო“-ნათაც შეიძლება მივიღოთ.

<sup>4)</sup> ეს წარწერა პირველათ იბეჭდება.

ართ...	ბროსეს დედი	ძნ დრი დღთნ	მუსლოვს
--------	----------------	----------------	---------

ბროსეს აზრით, შინაარსი ა? წარწერისა უნდა იყოს:

„არხიმანდრიტი დემეტრე დეკანოზი ადიდენ ღმერთმან“.

### VII. ჩრდილოეთის კედელზე ხუცურად:

ოო ივ ქვ	უფალო იესო ქრისტე, კტი ბმმქლ შწყნ
----------	--------------------------------------

კტი ბმმქლ შწყნ

ას სნა მშბლნი

უფალო შეიწყალენ ამის სიონისა მაშენ ებელნი.

აბთრ	აბიათარ დეკანოზი
------	------------------

დკზი ოო

უფალო შეიწყალე

ქ. შე	ქრისტე, შეიწყალე
-------	------------------

მნა შნი

მონა შენი დეკანოზი

დკ ზი

ან:

ქ. შე ზ	ქრისტე, შეიწყალე
---------	------------------

ქრა მვ

ლეადო

ძეა დკ

ნზი.

ზაქარია მკედლიძე(?)

დეკანოზი.

ქ. შე მნა შნი

ქრისტე, შეიწყალე

მონა შენი კანდელაკი.

### VIII. ერთ ქვის ნატეხზე, რომელიც ეკლესიაში მოიპოვება, წწერია<sup>1)</sup>:

„ეს მოიხსენე უფალო. ყ-დ ულირსი: მონა შენი: ურბნელი: ევდემოზ საყდრისა: ამის...“

აქ მოყვანილი წარწერა ეპიტაფიას, ესე იგი საფლავის ქვაზე წარწერას მოგვაგონებს, მაგრამ ეპიტაფია არ არის. ალბათ ევდემოზს რაიმე აუშენებია ურბნისში და ეს წარწერა მის შრომას უნდა მოიხსენებდეს, მაგრამ წარწერას სრულად ჩვენ მდის

<sup>1)</sup> ეს წარწერა პირველად იბეჭდება.

არ მოულწევია სამწუხაროთ. ჩვენ ეიცით, რომ ევდემოზი ჯერ ურბნელი იყო, შემდეგ მანგლელი და ბოლოს არხი-ეპისკო-პოსი ქართლისა. ევდემოზი დამარხულია მცხეთის სამთავროს მონასტერში და მისი ეპიტაფიდან ვტყობილობთ, თუ როდის და რამდენი წლისა გადაცვლილა იგი. აი მისი ეპიტაფია:

ქ ქ' ს აქათ  
 ათას შვიდას ა  
 თსა მპურობელ მმარ  
 თებლობასა ვახტანგ  
 ბატონის შვილისასა მე მთავ  
 არ: ეპისკოპოზმან ევდემოს ოთხ  
 მეოც შვიდის წლისა აღვესრულე ცხვ  
 რება უფროს შრომა: და სალმობა  
 ხოლო ჩემსა უწინარესნი არა განდიდ  
 ებულ იყო სამთვაროსა არამედ:  
 აწ ესე არს განსასვენებელი  
 ჩემი ამას დავემკვიდრე რ  
 მთნავს ესე მხილველნი  
 შემინდობდეთ სიყვარ  
 ულისათვს ლ'თისა მარ  
 ტსა ბ ქ' კსა ტჟო

ქორონიკონი უდრის 1711 წელს და არა 1710. თუ ევდემოზი 1710 წელს 87 წლისა იყო, მაშასადამე ის დაბა-დებულა 1623 წელს. ერთ ურბნისის გუჯარზე 1669 წლის (იხ. ჩვენი საქართველოს სიძველენი, გვ. 324) მინაწერია თვით ევდემოზისა, სადაც ევდომოზი თაეის თავს ასე იხსენიებს: „ჩვენ ქსნის ერისთავთა ერისთავებს სახლისა ძემან“. ამ ფრაზას დ. ბა-კრაძიზა მიუკია საბუთი ეთქვა, რომ ევდომოზი ქსნის ერის-თავის გვარისათვის (Кавказъ въ древн. пам. христ., стр. 125), მაგრამ ეს შეცდომაა, სიტყვა „სახლისა ძემან“ ნიშნავს, რომ ევდემოზის დედა ყოფილა ქსნის ერისთავის ქალი. ევდემოზი გვარად რატიშვილი იყო, რაც ცხადათ სჩანს მისი ბრძა-

ნებით 1674 წელს გადაწერილის ყანჩაეთის გულანიდან, რომელშიაც მოიპოვება სურათი თვით ევდემოზისა და რომელიც ჩვენ ფოტოგრაფიით გადავაღებინეთ.

**IX.** სამხრეთის კარის ზემოთ ძველი წარწერის მარჯვნივ ჩატანებულია ქვა შემდეგი მხედრული წარწერით:

ქ.: შენ:- ყ-დ:. სანატრელო:. ღვაწლ:.  
 მრავალო: და დიდებულო:;<sup>1)</sup> ყოელთა:.  
 მოწამეთა: უწინარესო: და უწარჩინებულესო:.  
 წმიდაო: სტეფანე: შემწე: მექმენ: ორსავე  
 შინა: ცხორებასა: რომელმან:;<sup>2)</sup> ოღვაშენეთ:  
 ძირითურთ: აღმოფხრული: ტაძარი: შენი:.  
 ჩვენ: დადიანის ასულმან: დედოფალმან: პტრონ-  
 მან:;<sup>3)</sup> მარიამ: რათა: მეოხე: ექმნა: სულსა  
 ჩემსა: და: სულსა: ძისა: ჩვენისა: სა  
 სურველისა: ოტიასასა: წე: ღთისა: შენისა:.  
 დღესა მას გაკითხვისასა: ქვა: ტნვ.

ამრიგათ ურბნისის ტაძარი განახლებულია როსტომ მეფის მეუღლის დედოფლის მარიამის მიერ 1668 წელს:

**X.** სარდაფში სახლისა, რომელშიაც ეხლა ცხოვრობს ურბნისის მღვდელი, სარკმელის ზემო პირათ კედელში ჩატანებული იყო ქვა ორი წარწერით. ჩვენის თხოვნით ეს ქვა გამოიიღო კედლიდან ურბნისის მღვდელმა სეით გამრეკევლოვა-  
 მა, რომელსაც შრომისათვის მადლობას კუძღვნით. ორივე წარწერა ამ ქვისა პირველად იბეჭდება. ქვა ოთხ-კუთხედია,  
 104 × 52 სანტიმეტრი, მარჯვნივ ქვაზე ხუცურად სწერია:

**1.** წ ეჲა: სამებაო: წ-ო: მე: შ-ნ: მ-რ; ნამუშაკევ: მიწა:  
 მიწისაგან და აწ

1) ბროსეს უწერია: ქებულო.

2) ბროსეს უწერია: რომელ.

3) ეს სიტყვა გამოშვებული აქვს ბროსეს.

2. ცა მე მუშაკი: მიწიერობთა: შემზღვებათა: ჯა: შ'ნ: წ'თა:  
შ'ს: მწმ
3. ეთა: უპირველესო: და ქ'ს: რჯ: თ'ს: ღვაწლ: მრავ-  
ლობით
4. ა: მსხვერპლად: შეწირულო: ღიღო: მ'წმეო:
5. სტ'ფნე: ჩ'ნ: შ'ნ მ'რითა: შეწ'ვნითა:  
ხრისხსა: სყდ
6. რისა: შ'ნისა: მჯდმ'რე: ურბნ'ლ: ეპისკპისი:  
ხეხეულიძე: ნ'კზ უ
7. ღირსი: ესე: ღირს: ვიქმნ: მს'ხრ'ბდ: ეკლსი-  
სა შ'ისა: ღ'ვიწყე ალშ'ნბდ:
8. გ'ლვნისა: ამის: კოშკებითრ'თ: და ზღუდე: გ'რე:  
მოვსდევ: მ'ს და ბ'კე: ეს'ცა: სდ'გრ
9. სავნითრ'თ: ა'დ ჩ'ნცა: მოქენე: ოხ'თა: შ'ნთა:  
ვითხ'ვ: ღიღსა: მ'ს: ღლ'სა: გ'ნკითხვს'სა:  
ქ'კსა: უკზ:

XI. მარტენა ნაწილზე იმავე ქვისა მოყვანილია მხედრუ-  
ლის ასოებით ლექსი. ვინაიდგან ქვაზე იმდენი ადგილი არ  
დარჩენილა, რომ ტექსტი ლექსის რიგათ დაეშერით, მიტომ  
დაუწერიათ პროზის მსგავსათ. ჩვენ ტექსტს ლექსის სახედ  
მოეიყენოთ, მხოლოდ ხაზებით უჩვენებთ, თუ სად თავდება ნამ-  
დვილზე სტრიქონები:

„ქ. მარტივად: მდგომი: ტბა|რა: ვიხილე სრულად უშენი:—|  
ჭალავან კოშკები სიმაგრით სრა|განწყობილი უშენი  
ქართლს უს|ჯულონი მკვიდრობენ ვინ ძალ მწემეყო უშენი:—  
და პატივს მოგიბყრ(ო)ბ | ქვათაგან არა ხარ პირველ უშენი.

ქ: განვასრულე: გალავანი: ქქ'ს: უნ: კან: ზენით:  
ისმიტელთ | ერთ. მირ. ჩვენ. ვიყვენით. განუს|ვენით:-  
რაც დამტალდა. კარ|გად. ვამკობ:- აქ მყოფო ნუ. მო|იწყენით

და შემდგომ. ჩამსა: ეინ | აც დამკვიდრდეთ. უბადრუკი მომიხსენით.  
ამინ. ურბნელი ნიკოლოზ<sup>1)</sup>.“

ქორონიკონები ნიკოლაოზის წარწერებისა უდრის 1739  
წელს.

XII. სამრეკლოს დასაქლეთის კედრით, ალაყაფის კარების  
ზემოთ, რომელიც ეხლა ამოშენებულია, თეთრ ქვაზედ მოყვა-  
ნილია მხედრული წარწერა, რომელიც აქ პირველად იბეჭ-  
დება:

1. ქ: ჩვენ:. დიდის:. მეფის შპანაგაზის:. ძის:. ლევა-  
ნის:. ძემან:. და საქა
2. რთველოს მჰმანბერმან<sup>2)</sup> და კეთილად განმგრან  
ბატონისშვილმან:. ვახ
3. ტანგ:. და თანა მეცხდრმან ჩვენმან:. დიდის  
ჩერქეზის:. ბატონის:. ასულმან:. დედოფალმან
4. რუსულან აღვაშენე:. სამრეკლო:. ესე:. გალაგან:.  
პალატითა:. და:. სხვა:. სახლებითა:. სულისა  
ჩვენისა:. საოხად:. და
5. ძისა ჩვენისა ბაქარის აღსაზრდელად შეიწირე  
შენ ლვაწლ მრავალო პირეელ მოწამეო სტ
6. ეფანე და მეოს გვეყავ დღესა მას დიდსა  
განკითხვისასა მას ეამს ოდეს გვადგა სარქალ ბები-
7. დას:. შეილი:. ჩემი ჯვარის მამა ურბნელი-  
ეფისკოპოზი ფალავანდის შვილი ქრისტეფორე:, ინ-
8. დიკტიონისა მეფობისა ჩვენისსა:. გ:.<sup>3)</sup> ქუს:

ტედ.

ქორონიკონი უდრის 1706 წელს.

<sup>1)</sup> უკანასკნელი ორი სიტყვა ხელჩართულათ არის ამოჭრილი ქვაზე,  
ისე როგორც ნიკოლოზ ურბნელის ხელის მოწერა მოიპოვება გუჯრებზე.  
ამოჭრელს წარწერისა სისწორით გადმოუკია ორიგინალი.

<sup>2)</sup> უნდა იყოს „მბრძანებელმან“

<sup>3)</sup> ასო ნამდვილზე ვგონებ უფრო „ბ“-ს წავგავს, რაც მართალი  
არ არის.

XIII. ძველ კანკელზე ქვისა<sup>1)</sup>, რომლის სისქე არის 14,5 გოჯი, დაცულია მხედრული წარწერა ადგილ ადგილ მოსპობილი ახალი კარების გამოქრით და ძველის გაფართოებით:

„... ა: და: განმგებელი: ქართლისა: ბატონიშვილი:  
ვახტანგ: რომელმან: შევამკე: კანკელი ესე რათა  
მე]ოხ: მეყოს: ორსავე: შინა: ცხოვრებასა: მეულ-  
ლით: ძით: და: ასულით: ქვესა: ტედ“.

ქორონიკონი უდრის 1706 წელს.

### ნეგობით ურბნისის კედესისა.

I. წმიდა სტეფანეს ხატი ვერცხლისა, სურათი ნახატია ძელზე მინანქრის მსგავსი ფერადებით,  $17,5 \times 11$  სანტიმეტრი, ხატში შოთავსებულია ვ3 ნაწილი სხვა და სხვა წმიდანებისა. თუ რომელი წმიდანების ნაწილები არის აქ ამას გვიჩვენებს მხედრული წარწერები ზურგისა, სადაც სწერია:

„სტეფანე, ნათლის მცემელი, ყოვლადწმიდის თმა, მათე მახარებელი, ლუკა, იოანე ოქროპირი, გრიგოლ ღეთის მეტყველი, წმიდა ეგნატე, წმიდა პროკლი, იაკობ დაჭრილი, ბიკორ, კეიირიანე, კოზმან, ქრისტეფორე ძლიერი, სტეფანე ახალი, დომენტი, კლემენტი რომთა პაპი, თეოდორე სტრატე-ლატი; წმიდა ნიკიტა, ლოთ ქ'ესახ, წმიდა პარასკევა, წმიდა მარინე, წმიდა ელიასი, წმიდა ანასტასიასი, წმიდა სერგისი, სეეტი ცხოვლის ხე, ძელი ჭეშმარიტი“ (შუაში უზის). ხუთს ნაწილს სახელები არ აწერია.

კუბო ამ ხატისა,  $47 \times 34$  სანტიმეტრი, შემკობილია ამო-ბერვილი სურათებით, რომელზედაც გამოხატულნი არიან ყდ

<sup>1)</sup> წმ. ნინოს და ყოვლად წმიდის სურათები გადმოულია და ჩაურ-თავს თავის გამოცემაში გრაფინია უვაროვისას (Mat. по Арх. Кавк., виц. IV, стр. 145). წარწერას გრაფინია უვაროვისა იხსენიებს; მაგრამ არ მოჰყავს, თუ რა წარწერა არის.

წა, ი კ ქ ე, ნათლის მცემელი. აშიებზე წარმოლგენილია სკენები წმიდა სტეფანეს ტანჯვისა, რომელთაც უწერიათ:

განიყვანეს: გარეშე: ქალაქისა და ქვასა დაკრებდეს.

აქა წმინდა სტეფანე ჩაქოლვილი აღმოილეს.

აქა სტეფანეს შესულრა.

აქა სტეფანეს საფლავის დადება.

აქა სტეფანეს ნაწილის აღმოყვანება.

ვერცხლის აშიას ხატისა გარეშემო სისქვზე აქვს წარწერა წვრილი მხედრულის ხელით:

„ქ: ჩვენ: ლო: გვირგვინოსანთა: მეფეთა: ძის: ძემ: საქართველოს განმგემან: ბატონიშვილმან: ვახტაგ: შევაჭკევით: მონასტერის: ესე ურბნის წმიდა სტეფანეს: და მო[ვ]პედეთ ხატი ესე მინაქრითა და: ვერცხლის: კუბოთი: რათა: დღესა: მას: განკითხვისასა: დიდებული: მოწამე: სტეფანე: მხსელ: გვექმნას: ჩვენდა: თანა: მეცხდრესა: ჩვენსა: ჩერქეზ: ბატონის: ასულსა: და ძენი ჩვენნის: აღორძინოს: ამინ: ქს-თ: ჩლზ“. 1)

1) ქართული ტექსტი ამ წარწერისა პირველად იძებდება. რუსული თარგმანი მისი მოყვანილი აქვს დ. ბაქრაძეს (Кавк. въ дреv. пам. христ., стр. 152). გრაფინია უვაროვისას ვერ შეუმჩნევია წარწერა ხატისა, და ეპეს აცხადებს, რომ ამ ხატზე წარწერა იყოს და ხატი მეფის ვახტანგის შეწირული იყოს. არ ვიციო, ამბობს გრაფინია, როდის ნახა ბაქრაძემ ხატი და ამოიკითხა წარწერაო, შემიძლია მხოლოდ დავამოწმოო, რომ ხატი, რომელსაც ბატონიშვილის შეწირულათ ხალიან ეხლაო, წარმოგვიდგენს ნამდვილათ წმ. სტეფანეს წვალების სურათებსა და იმდენათ ულაზათოთ ნაჭედია, რომ მეფის შეწირულათ არ ჩაითვლებათ; ამას გარდა სახე წმიდანისა დახატულია ხატზეო და მინაქრის კვალიც არ არისო (Mat. по Арх. Кавк. IV, стр. 144—145). თუ რამდენათ შემცდარია გრაფინია უვაროვისა, ამაზე ლაპარაკი მეტია წარწერის მოყვანის შემდეგ. მინაქრათ ის, ლამაზი სახე და სხვა ფერადები იგულისხმება, რომლითაც დახატულია. თვით სტეფანეს სურათი და არა ვერცხლის შემკობილობა ხატისა, რომელიც ყოველ შემთხვევაში ისეთი ულაზათ არ არის, როგორც გრაფინია მოიხსენიებს. ვინაიდგან წარწერა ხატისა სისქვზეა მოყვანილი და მასთან წვრილი ასოებით, ამით აიხსნება, რომ სხენებული წარწერა ვერც ბროსეს შეუნიშნავს. (VI Rapp., p. 18) და ვერც გრაფინია უვაროვისას.

ამრიგდთ ხატი მოუკედინებია ვახტანგ VI 1707 წელს.

II. ვერცხლის ბარძიმი, ოქროთ დაფერილი, რომელზედაც  
მოიპოვება ასომთავრული წარწერა:

„ჩენ ფრდ ცოდვილთა დავრდრმილთა სატამ და მისმა შეუ-  
ლლებ შრიმ ვიღვაწეთ მცირე ესე შესაწირავი (ე შსაწრავი?)  
ვა ქვრივსა მის მიერ ბარძიმი ერთის ფეშუმით:. და შეგ-  
წირეთ შენ ქანთვს ჯრცმულსა რა მოგვიტყვნ ცოდვანი  
ჩნნი დღესა მა (sic) საშინელსა განკითხვლსა რნც შეწირვი-  
დეთ წა მსხევრპლსა შნდობასა ჰყოფდეთ ჩნთს: წელსა ჩდმთ:  
ივნისს და მისხალი“.

III. ვერცხლის კამარა, რომელსაც მხედრული წარწერა  
აქვს:

ქ. ურბნისის. წის. სტეფანესათვის. შემიწირავს. მე. ურ-  
ბნელს. იუსტიანეს.

IV. ვერცხლის პირი წმიდა მარინეს ხატისა, (ხატი თვით  
დაცული არ არის) ასომთავრული წარწერით:

წილი	მარინ
ეს. მფრვ	ელა: ექ
ა მე	ნა
ხე	მში
ას	შა
ვ	ლ
ს	ა
ფარა	იშენს
	ამენა

უქარაგმოთ:

„წმიდაო მარინე, მფარველ ექმენ ხემშიაშვილსა ფარაიშენს  
ამენ“.

V. იუსტიანე ურბნელის მიტრის ნაშთები. დაცულია მხო-  
ლოდ ცხრა რგვალი ვერცხლის ფირფიტი, რომლებზედაც გა-

მოხატულნი არიან ღმერთი საბაოთი, იესო ქრისტე, დედა ლეთისა, ოთხი მახარობელნი, იოანე ნათლისმცემელი და წმ. სტეფანე. ერთ ნაკერზე აწერია მხედრულით:

„მე ფ' დ ცოდვილმან ურბნელ ეპისკოპოსმა იუსტინე მალაძემ გავაკეთებინე მიტრა ესე და შემოვწირე შენ პ'ლ მოწამეს სტეფანეს. ვინც იხმაროთ შენდობას ჰყოფდეთ. კასა უდღ“.

ქორონიკონი უდრის 1786 წელს.

VII. საკურთხეველში მოიპოვება ძველი ხატები წმიდა იაკობისა და წმიდა ბარბარესი.

VIII. სარტყელი აბრეშუმის ძაფით ნაკერი, რომელზედაც ხუცურად აწერია:

... ნ ჩ'სმა ბენ: დ'ანს ას'მა თ'მრა: შვ'რე ეს:. სრული:.... სახად:.. ვინც იხმროთ თითო:.. შ'ნდბას ბძანებდეთ ამინ... უქარაგმოდ:

„...მისმა ბერან დადიანის ასულმა თამარ შევკერე ეს სირტყელი [სულისა ჩემისა] საოხად, ვინც იხმაროთ, თითო შენდობას ბძანებდეთ, ამინ...“

VIII. ნაშთები ხის ყავარჯენისა, ძვლებით მოვედილი.

IX. ვერცხლის აზარტეშა მხედრულის ახალის წარწერით:

„ქ. ურბნისის წ'ის სტეფანეს ეკლესიას შევსწირე კაკაშვილის ქალმა მარიამ სულის ჩემისა საოხად და საფლავის ფასათ. მისხალი:.. ით:..“

X. ენკერი მღვდელმთავრისა ოქროს კედით ნაკერი და მარგალიტებით შეძერწილი. ზედ გამოხატულია ყ'დ წ'ა, ი'კ ჩ'ე. ქვემოდ ხუცურად აწერია:

შ'ე: დ'რ { შეიწყალე დარეჯან, ამინ.  
ეჯნ ან }

XI. გარდამოხსნა რუსული ხელობისა. ქვემოდ მხედრულად აწერია:

„ვარლაამ მიტროპოლიტი მცხეთისა და ტფილისისა და ექსარხოსი უისა საქართველოისა და იმერეთისა“<sup>1)</sup>)

XII. ჯვარი ხისა ათონურის ხელობისა,  $27 \times 10,5$  სანტიმეტრი, ვერცხლის მილანქრიანის ბუდით, მშვენიერის ხელობისა და ძირფასი ქვებით შემკობილი. ეს ჯვარი თავის მილანქრიანი ხელობით საუკეთესო ნიერს შეადგენს ურბნისის ეკლესიისა.

XIII. ჯვარი ვერცხლისა ძირფასი ქვებით შემკობილი,  $12,1 \times 6$  სანტიმეტრი.

### ეპიტაფიები<sup>2)</sup>

I. ქვა გადასული წარწერით. დარჩენილია მარტო სიტყვები:

... ვინც წაიყი... დეთ ალვესრულე: ქას უმა:

II. სხეა ქვაზედ:

ქ. მოხსენენ: უფალო: დეკანოზის: მეუღლე: მიუვალებული: საფლავს შინა: მდგბარე: სულკურთხეული.... ვინც წარიკითხედეთ შენდობას ბრძანებდეთ.

აქ მოხსენებული მეუღლე დეკანოზისა უნდა იყოს დეკანოზის პანტელეიმონის ცოლი.

III. მესამე ქვაზედ:

ქ. აპა მწარისა სუკულილისა მახვილითა განკვეთილი და წიალთაგან საყვარელისა მამისათა უწყალოსა სიკედილისაგან ალტაცებული რომელიცა ვიყავ მხოლოდ შობილი ურბნისის დეკანოზის პანტელეიმონის ძე ოთანე წლის ათორმეტისა და თოვსა ხუთისა დედისაგან ობლად დაშთომილი და აწ მამის ოხრად დამტევებელი დავიდევ ლოდი ესე საცნობელად

<sup>1)</sup> მე-2—11 ნომრებში მოხსენებული წარწერანი ნივთებისა აქ პირველად იბეჭდება.

<sup>2)</sup> ეპიტაფიები აქ პირველად იბეჭდება.

ყოველთა რომელნიცა იხილვიდეთ ოხანი მაგეთ თთვესა ივნისა ამ ქს აქეთ ჩდგ ქ'კს უდ".

IV. ნეოფიტე ურბნელის საფლავის ქას, რომელსაც მარცხენა სვეტის მახლობლად უჩენებენ, წარწერა არა აქვს, როგორც ყველა ჩენი ძველი წმინდანების და მეფეების საფლავს.

### ხელთნაწერები.

I. გულანი<sup>1)</sup> in folio დიდი ტანისა, 45 × 31 სანტიმეტრი, ნაწერია ორ სვეტად წვრილი ნუსხა ხუცურის ხელით. თითო სვეტზე დატეულია ორმოც და ათ ორმოც და ათი სტრიქონი. ხის ყდა ტყავ გადაკრული ცოტა დაზიანებულია. ფურცლები ზოგი არეულია, ზოგი გასვრილი. სხვა-ლა-სხვა აღგილას ხელ ნაწერისა იმეორება მინაწერები საზოგადოდ შემდეგის შინაარსისა:

"შეფობასა სახელოვანისა გიორგისა. და გამგეობასა ჩმსა მეოთხესა აღვაწერინე მე გამგებელმან ქართლისამნ ბატონის-შვილმან ვახტანგ გულანი ესე. საოხად ს'ლისა ჩ'ისა. და მეულლისა ჩ'ისა ჩერქეზის ბატონის შვილის რუსულანისათვ. და ძეთა. და ას-ლთა ჩ'ნთა აღსაზრდელად. და შეესწირე ურბნის წ'ა სტეფანეს: ქ'კა:. ქ'ეს აქათ:. ჩ'ღზ:. "

მეორე აღგილას ვკითხულობთ:

"წ'ო შ'ე ფ'დ ც'ო იესე გრსევანიშვილი:. ქ'კა ტუგ: "

II. კონდაკი, 27 × 21 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდზე ორ სვეტად ნუსხა ხუცურით. ყდა ხისა დამტვრეულია. ბოლოს ტექსტის ხელით აქვს მინაწერი:

"ს'რლ იქმნე[ს] ეს წესები თვესა მაისსა: ზ: ქ'კა: ტუგ: — 1705.

1) ეს გულანი მოხსენებული აქვთ ბროსქს და ბაქრაძეს თავიანთ წარომებში. ხოლო სხვა ხელთნაწერები მოხსენებულნი არ არიან და არც ქართული ტექსტია დაბეჭდილი გულანის მინაწერებისა.

აშიაზე მეორე ადგილას სწერია:

ქე შეიწყლე ცი ნეზ ძე დათუნასი.

ქე შე მდგნის თმაზას ძე სამებლი იოსბ.

ღო შე მლდელი მახარებლი.

III. კურთხევანი,  $21 \times 16$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდზე ნუსხა ხუცურის ხელით. ყდა გატეხილი აქვს. ნაწერის მიხედვით ხელთნაწერი მე-XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

IV. ფსალმუნი დავითისი,  $21 \times 17$  სანტიმეტრი, ნაწერია ქალალდზე ნუსხა ხუცურით, ყდა ტყავისა აქვს გაფუჭებული. ხელთნაწერი მე XVIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ერთ ადგილას გადამშერს ტექსტი აურევია და ამიტომ შენიშნავს:

„ძ'მო ჩმო ნუ მწყევთ იბ'კა გ'მვლინა და წ'მ არსი: წინა უკან მომივიდა:—“

V. კონდაკი, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ხელთნაწერებიდან, მაგრამ ერთ წიგნათ არის შეკრული,  $16 \times 10,5$  სანტიმეტრი, წერა ნუსხა ხუცურია. ზოგიერთი ადგილები რუსულათ არის მოყვანილი. ბოლოს სწერია: „სრულ იქმნა სიწის განახლებისა: წესი და წირვა“, შემდეგ მოყვანილია რუსული ტექსტი იმისა, თუ რა უნდა თქვას დიაკონმა წირვის დროს. ამას შემდეგ მოყვანილია ქართული სათოვეო წიგნი (კალენდარი) და ბოლოს ნაბეჭდი ლოცვანი.

VI. იპჰოლიტე რომის პაპის წირვის წესი, ლამაზი ნუსხა ხუცურით ხაწერი ქალალდზე,  $16 \times 10,7$  სანტიმეტრი, ქალალდის ყდით. ბოლოს სწერია:

მრავალ გმ'ირ ურბნელ მიტროპოლიტი ისებ: ი'კი'კ შ'ჭ მწერალი ამისი ულირსი მლდელი ნკ'ლზ სიონის დეკანოზი: ჩლაც: 1768“.

დასაწყისი ტექსტისა:

თთვესა ინვრსა ლ წ'ისა მლდ'ლ მოწამისა იპოლიტე ჰრომთა პაპისა:

VII. ურბნისის ტაძარს დღემდის შერჩენია მხოლოდ თორმეტი სიგელ-გუჯარი, რომელიც ჩვენ სრულად ოლვბეჭდეთ ჩვენს საქართველოს სიცელენში, ტ. I, №№ 266—277, გვ. 321—333.

როგორც სჩანს ზემო მოყვანილი საბუთებიდან უძველესი დროის განახლება ურბნისის ეკლესიისა თავს უდიდა და კიდევაც ჯეროვანოთ შეუსრულებია თეოდორე ებისკოპოზი, ლუკას ძეს, შეწევნითა მიქელისა, ძისა კოსტანტინესა, რომელიც, როგორც საგონებელია, ყოფილა კალატოზია ანუ ხუროთ მოძღვარი. ეკლესიის განახლებას შესწევიან კიდევ აბიათარ დეკანოზი და ცოლ-ქმარი ქაეთარ და შუშან. თეოდორე ებისკოპოზის ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს დეკანოზი დიმიტრიც და შეიძლება ვახტანგიც, თუმც ეს პირი დეკანოზია, რაც საეჭვოთ უნდა ჩაითვალოს.

მეორეთ ურბნისის ეკლესია განუახლებია 1668 წელს ცნობილს მოღვაწეს და დელოფალს მარიამს, როსტომ მეფის მეუღლეს.

1706—1707 წლებში ვახტანგ VI გაუმშვენებია და შეუმჯობია ურბნისის ეკლესია მშვენიერის კანკელით, საეკლესიო ნივთებით და წიგნებით. მასვე აუშენებია დღემდის კარგათ დაცული სამრეკლო და აგრეთვე გალავანი და პალატი, რომელთაც ჩვენამდის აღარ მოუხწევიათ. ვახტანგს მოუკედინებია აგრეთვე ურბნისის წმიდა სტეფანეს თავი ხატიც. ერთი სიტყვით რაც უფრო თვალ საჩინო ნივთია დღემდის დაცული ურბნისის ეკლესიაში, უმეტესი ნაწილი ვახტანგ VI წყალობაა.

1707 წლიდან 1739 წლამდის მტრებს ერთხელ კიდევ გაუნადგურებიათ ვახტანგის მიერ აშენებული გალავანი და აღნიშულს წელს ურბნელს ნიკოლოზ ხერხეულიძეს ხელმეორედ, გაუკეთებია გალავანი კოშკებითურთ და შემოუვლია ზღუდე აუშენებია სადგური სახლის კარისბჭე და სანკვიური (სალაზო). ჩვენამდის არც იმ გალავანს და სხვა შენიბას მოულწევია.

ურბნელებათ წირწერებში და სიგელებში ჩანა:

თევდორე ლუკას ძე, უძველესი ღრმოსა; ვლასე 1566 წელს<sup>1)</sup>; ევდემოზ რატიშვილი 1669 წელს<sup>2)</sup>; იოსებ ჯავახიშვილი 1700 წელს<sup>3)</sup>; ქრისტეფორე ფალავანდიშვილი 1706 წელს<sup>4)</sup>; ელისე 1711 წელს<sup>5)</sup>; ნიკოლოზ ორბელიანი მროველ-ურბანელი 1717 წელს<sup>6)</sup>; ნიკოლოზ ხერხეულიძე 1739 წელს<sup>7)</sup>; იოსებ 1768 წელს<sup>8)</sup>; იუსტინე მალალაძე მროველ-ურბანელი 1786 წელს<sup>9)</sup>.

### პ. ობგაიშგილა

(შემდეგი იქნება)

1) ნახ. საქართველოს სიძველენი ტ. I, გვ. 321—323.

2) საქარ. სიძველენი გვ. 324. დ. ბაქრაძე სცდება, როდესაც ამბობს, ვითომც ევდემოსი იხსენიებოდეს 1700 წლის გუჯრის მინაწერში.

3) Ibid. გვ. 326—328.

4) იბ. ზემოთ წარწერა სამრეკლოსი.

5) საქართ. სიძველენი I. გვ. 328—329.

6) ეს სჩანს რუისის ხელნაწერთა მინაწერებისაგან.

7) იბ. ზემოთ მისი წარწერა ქვაზედ და ლექსი და აგრეთვე საქართ-სიძველენი, გვ. 330—332. დ. ბაქრაძე შეცდომით ხადის ნიკოლოზ ხერხეულიძეს დომენტი II თანამედროვეთ მე-XVII საუკუნეში (კავკ. ვხ. ძრევნ. იამ. ქრისტ., სტრ. 152). აქ დომენტი III იგულისხმება.

8) იხილვ ზემოთ მინაწერი იპპოლიტე რომის პაპის წირვის წესისა.

9) იბ. მიტრის წარწერა ზემოთ და აგრეთვე რუისის წიგნების მინაწერები.

# სამეგრელოს აღმერა

\*\*\*

მ დ ა ნ ა რ ე გ ბ ი

აზის \*) უკელა მდინარეებს თავისი სათავე აქვთ კავკასიის და ტავრის მთებში, როგორც ერთხმად სწერენ ქვინტო კურუიუსი და არრიანე. მათგანი ზოგი შეერთვის კასპის ზღვას, ზოგი — შავ ზღვას და ზოგიც — აზის ზღვას (Meotide Palude). ჩვენის საგნის მიხედვით, ჩვენ ჩამოვთვლით აქ მხოლოდ იმ მდინარეებს, რომელნიც გამოდიან კავკასიის მთებიდან, გაივლიან კოლხიდას და შეერთვიან შავ ზღვას. უმთავრესი და უფრო ცნობილი არიან: ფაზისი, ცხენის-წყალი (Hippo), აბაშა, ტეხური, ხოჭი, ჭანის-წყალი (Ciani), გნგური, ხეთი (Het'i), აქეშა, ეგრისი (Egris), მოქვი და კოდორი. სწორედ ამ რიგზედ არიან დაწყობილი დღეს კოლხიდის მდინარეები, როგორც დავასახელეთ.

ამ მდინარეთა შორის უპირველესი და უფრო შესანიშნავი არის ფაზისი. სტრაბონის სიტყვით შავის ზღვის უდიდესი შანძილი არის თრაკიის სრუტესა და ფაზის შუა, რაღაც ფაზისთან ხშელეთი იღუნება ჩრდილოეთისაკენ. პროკოპიუსს ეგონა, ეს მდინარე ისეთი სიჩქარით შედის ზღვაში, რომ დიდ ხანს მისი წყალი ზღვის მარილიან წყალს არ შეე-

\*) ავტორს მხედველობაში აქვს წინა აზია.

თვისო. ამიტომაც ზლვით მოგზაურებს შეუძლიათ მდინარის წყალი თვით ზლვაშივე ამოილონ გემებზეო. სულ წინააღმდეგი აზრი გამოსთქეა აგრიკოლამ, რომლის სიტყვით ფაზისი სრულებით ნელა მიმდინარეობსო. ხოლო არც ერთს და არც მეორეს არ უნახავს ეს მდინარე და ადვილად შეეძლოთ შემცდარი აზრი გამოეთქვათ. ნამდევილი კი, როგორც მე ჩემის თვალით დავრწმუნდი, ის არის, რომ ეს მდინარე, როცა ჩამოდის მთებიდან, საშინელის სისწრაფით მომდინარეობს, ხოლო როცა ვაკეში შედის, ისე მდორედ მიღის, რომ თითქმის ვერც კი შენიშნავთ, საითკენ მიიმართება. თუმცა მართალია, რომ ამ მდინარის წყალი არ შეერევა ზლვისას, მაგრამ ეს მდინარის სიჩქარის მიზეზით როდია, არამედ იმის გამო, რომ მდინარის წყალი უფრო მჩატებ, ვიდრე ზლვის მარილიანი წყალი, და ამიტომაც პირველი ზევით რჩება და მეორე კი ძირს.

ფაზისის წყალს ტყვიის ფერი აქვს. ამის მიზეზი ის არის, როგორც არიანე ამტკიცებს, რომ წყალში მიწა არის შერეული. ხოლო, როგორც კი ოდნავ ჭურჭელში დააყენებენ, მაშინვე ისე გაიწმინდება, რომ კარგის ღირსებით არც ერთს სხვა წყალს არ ჩამოუვარდება. ამიტომაც ძველად ზლვით მოგზაურნი, როგორც კი შემოვიდოდნენ გემებით ფაზისში, მაშინვე რაც ჭურჭლები ჰქონდათ დასკლიდნენ სხვა წყლისაგან და გაავსებდნენ ამ მდინარის წყლით, რადგან ჩვენ მოგზაურობას ბედნიერად ვერ შევასრულებთო, ამტკიცებდნენ იგინი, თუ ფაზისში შევალთ და მის წყალს არ წავიდებთო.

ფაზისი ზლვას შეერთვის ორის ტოტით. ამ ტოტებ შორის არის კუნძული, რომელზედაც ოსმალებმა 1578 წ. ციხე ააგეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმ ხანებში ოსმალთა სულთანი ამურატი ოშობდა სპარსელებთან. მან აიღო ტფილისი და აპირებდა მთელი სპარსეთის დაპყრობას. ამ საქმის შესასრულებლად მას უნდოდა საქართველოს გზა გაეხსნა იავისთვის და დაეჭირა ამ გზის გასაღები — ქალაქი ქუთაისი, რათა ჯერ ზლვით და მერე ფასისით ჩაქარა და ნაკლების ხარჯით გაეგზავნა თავისი ჯარები სპარსეთისაკენ. ამ განზრახვით გაგზავნა ორი გალერი ფაზისში.

ხოლო, როგორც კი ეს გალერები მიუხსლოვდნენ ქუთაისს, შათ დახვდათ თოფებით შეიარაღებული ჯარი ქართველებისა, რომელიც ჩაესაფრა, სადაც უფრო ვიწრო იყო მდინარე, და ისე ძლიერად დაუწყეო თსმალებს თოფის სროლი ორისავე ნაპირიდან, რომ აიძულა იგინი მაშინვე თავი დაენებებინათ თავის განზრახეის შესრულებისათვის. უკან დაბრუნებულმა თსმალებმა ზემო ხსენებულ კუნძულზე ააშენეს ციხე. ბევრი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს ციხე დაანგრია აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა, რომელმაც წამოილო იქიდან ოცდა ხუთი ზარბაზანი. სულთანმა ეს ამბავი არც კი იცის. მიზეზი ამისა თსმალების მოხელეთა ანგარებაა. იგინი არ ატყობინებენ ციხის დაანგრევის ამბავს სულთანს და იღებენ ჯამაგირს უწინდებულად, თითქოს ციხე არსებობდეს.

ხოლო დაეუბრუნდეთ ისევ ფაზისს. ჩვენ ვთქვით, რომ იგი ზღვაში შედის ორის ტოტით და ამ ტოტებს შუა კუნძული არისო. კუნძულის ქვემოთ მდინარეს ხუთასი ნაბიჯი აქვს სიგანე და ორსავე ნაპირზე იზრდება და წყალს დაჰყურებს მაღალ-მაღალი და მწვანე ფოთლებიანი ხეები, რის გამო წყალიც მწვანე ფერისა არის. აქ ყოველთვის ბლომიდ არიან მეთევზები, რომელნიც უხვად იჭერენ ზუთხს. მდინარის ზემოდ არის კიდევ რამდენიმე კუნძული. ორივე ნაპირი მდინარისა სულ დასახლებულია. თვითეულ ოჯახს აქვს თავისი ერთის ხისაგან გამოთლილი ნავი, რომლითაც გადიან და გამოდიან ერთის ნაპირიდან მეორეზე. წყლის სიმშვენიერის გამო ნავებს ხშირად ქალები მართავენ.

არიანე, რომელიც ადრიანე იმპერატორის ბრძანებით წაეკიდა ამ ადგილების დასათვალიერებლად, თავის წერილში, რომელიც მისწერა ადრიანეს, ამბობს ფაზისის თაობაზე, რომ ამ უამად ფაზისის შესავალის მარცხნით მოსჩანსო კერპი რეა ღმერთას, რომელსაც ჰქვია ფაზისის ღმერთა: *Intrantibus autem Phasim, & sinistris Phasiana Dea appetet quam ex eius specie atque forma Rheam esse coniicere licet.* რადგან ამ ღმერთას კერპი ფაზისის ნაპირად იყო აგებული, რომლის კვალი დღე-

საც სჩანს, უადგილო არ იქნება. ამის შესახებ შემდეგი მოვუთხრო მკითხველს. პირველად ყოვლისა უეჭველად მიგვაჩნია, რომ ამ ღმერთას კერპი ააგო და მისი თაყვანისცემა შემოილო აქ იაზონმა თავის არგონავტებით. ამის თაობაზე ი რას მოვცითხრობს გრიგორიუს კედრენუსი. იაზონმა თავის არგონავტებით მოინდომა ჰელესპონტან \*) მდებარე კიზიკის ქალიქის დაპყრობა. ჰელესპონტის მეფე, რომელსაც აგრეთვე კიზიკი ჰქეიოდა, წინააღუდგა მას, მაგრამ შეეტაცა თუ არა არგონავტებს, დამარცხდა და მოკლულ იქნა. მხოლოდ კიზიკის სიკვდილის შემდეგ გაიგო იაზონმა, რომ იგი ამის ნათესავი იყო. იაზონმა იფიქრა, რომ ამ მკვლელობით ღმერთის რესხვა გამოეიშვიერო, და დანაშაულის მოსანან იებლად ააგო არგონავტებთან ერთად უმშვენიერესი ტაძარი, რომელიც ასწერა პლინიუსმა (Plin.—lib. 36, cap. 15). როდესაც დაასრულა ეს ტაძარი და უაღრესად შეამკო, იაზონმა მიკმართა აპოლლონის მარჩიელს (dall'oracolo) და რჩევა ჰკითხა, ვის ვუძღვნა ეს ტაძარით. მარჩიელმა უპასუხა შემდეგის ლექსით, რომელიც ბერძნულით ლათინურად ნათარგმნი იგრე ითქმის: გულმოდგინედ გააწვრთენით ქეცდაბაში და მით დაამკვიდრეთ უმაღლესი დოდება. გავაღებთ თქვენ, იყვეთ მოშიშარი და თავგანისმცემელი ღმერთისა, რომელიც არს ცათბ შინა და განაგებს ქვეურაბას, და აგრეთვე სამარადასთ სიტევისა მისისა, რომელიც იყო საუკუნეთ უწინარეს. არა მცოდნე ქმრისა ქაღწელი დაბადებს ძესა, რომელიც, გათარცა ისარი, გატერცნილი ცეცხლმოსის გრიგალისაგან, მსოფლიოს დაუმორჩილებს მდმას თვისას. მის დედა ძმისა, რომლის სახელია მარიამ, აგუბეთ, შესაფერთს წესთა შესრულებით, ესე ტაძარი.

არგონავტებმა მოისმინეს მარჩიელის რჩევა, რომ აგებული ტაძარი უნდა ეძღვნათ ღმერთის დედას, ანუ რეას, და რჩევისმებრ ტაძრის წინა კარებზე კიდევც ამოსჭრეს ბრინჯაოს ასოებით, რომ იგი რეას სახელობაზე არის. აგებულით,

\*) აწინდელი დარღანელის სრუტე

ხოლო ქრისტეს სარწმუნოების მიღების შემდეგ, ზენონ იმპერატორის დროს, უკეთ გაიგეს ზემოხსენებული რჩევა და ტაძარი უძლვნეს ყოვლადწმიდა ქილწულს. არგონავტებმა, ამბობს იგივე კედრენუსი, კიდევ დაგესო იმავე ღმერთას სახელზე კერპი იმ მთაზე, რომელიც დასკერის კიზიკის ქალაქს, და ეს კერპი შემდეგ კოსტანტინე დიდმა გადაიტანაო კონსტანტინეპოლის მოედანზე. იმავე რეა ღმერთას იაზონშა თრავიის სრუტესთან აუგო საკურთხეველი, როგორც მოგვითხრობენ დიონისიუსი და გილლიუსი. იქნება ეს იყო იმ ადგილზე, საადაც ეხლა არის ღვთასმშობლის სახელობაზე ბერძენთა ეკკლესია მონასტრით. ცხადია, რომ შემდეგში ღმერთის დელის რეას სახსოვარი გარდაიქცა მარიამ ღვთის-მშობლის სახსოვრად. რადგან არგონავტები თაყვანსა სცემდნენ რეას, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ არგონავტების დატოვებული უნდა იყოს იმისი კერპი ფაზისის ნაპირად და მათვე უნდა შემოეღოთ კოლხიდაში რეას თაყვანისცემა. რადგან ის კერპი ფაზისის ნაპირად იყო, მე ვფიქრობ, რომ მეგრული სახელწოდება ნაპირისა-რეგას აქედან უნდა სწარმოებდეს: სიტყვა რეა გადაუსხვაფერებიათ რეგას აუ. გარდა ამისა სხვა საბუთებიც გვაქვს იმის დასამტკიცებელი, რომ მეგრულებს ძერლად ამ ღმერთასათვის მრავალი ტაძარი აუგიათ. ერთია მოწმობა გილილიუსისა (Gillio), რომელიც ამბობს, რომ ეს ღმერთა თავის სამყაფად მთებს ირჩევდათ და იმიტომაც ყველა მისი ტაძრები მთებშია აგებულით. მეორეა ჩვეულებრივი გარდაცვლა სახელოწოდების რეასი მარიამად. რადგან დღეს კოლხიდაში მრავალი ეკკლესია მთებშია და უმეტესობა ყოვლად წმიდა ქალწულის სახელობაზეა აგებული, როგორც უკვე აღვნიშნეთ მე-XXII კარში, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს აღვიაროთ, რომ ყველა ეს ეკკლესიები ძველად რეას ტაძრები იყვნენ და მხოლოდ შემდეგში, როცა ქრისტეს სარწმუნოება დამყარდა და როცა ზენონ იმპერატორის დროს ერთი რეას ტაძარი გარდააქციეს მარიამ ღვთის მშობლის ეკკლესიად, ამ მაგალითის მიბაძვით

რეას უკელა ტაძრები გარდაქმნეს ეკკლესიებად ყოვლად წმიდა ქალწულის სახელობაზე.

მღ. ფაზისის შემდეგ უნდა დაესახელოთ ცხენის-წებლი, რომელსაც აგრე უწოდეს მისის სიჩქარის გამო. უკელა გეო-ვრათები (Cosmografi) დიდად სცდებიან, როცა უჩვენებენ ამ მდინარეს ფაზისის მოშორებით და ასახელებენ რამდენსამე მდინარეს მათ შორის. რადგან თვითონ მინახავს, მე დაბეჯითებით ვამბობ, რომ მდინარეთა შორის, რომელნიც ფაზის ერთვიან, პირველია ცხენის-წყალი. უარესი კიდევ ის არის, რომ იგივე არჩიანე, რომელიც ზემოდ მოეიხსენეთ, თავის წერილში აღრიანეს მიმართ ცხენის-წყალს უჩვენებს, როგორც მეტუთე მდინარეს ფაზისის შემდეგ. მე ამან ეჭვში შემიყვანა, იქნება დღეს ამ მდინარეებს ძელებური სახელები შეცვლილნი ჰქონდეთ მეთქი. ხოლო სტრაბონი სიმართლეს მოწმობს, როცა ამბობს, რომ ცხენის-წებლი და გლავგვასი ერთად გამოდიან მახლობელ მთებიდან და შეერთვიან ფაზისსაც. საქმე ის არის, რომ ერთ აშკარა შეცდომას სხვა ბევრი შეცდომაც მოსდევს დანარჩენ მდინარეების მდებარეობის შესახებ. ამ შეცდომების გასწორებას ვეცდებით, რამდენადაც შესაძლო იქნება.

ცხენის-წყალი მარტო როდი შეერთვის ფაზისს. შასთან ერთად შეერთვიან აბაშა და ტებური. აბაშა ძელად შეიძლება იყოს სტრაბონის გლავგვასი, რომლის შესახებ იგი ამბობს, რომ ცხენის-წყალთან ერთად ფაზისს ერთვისო. ცხენის-წყალს არიანე კი ხარენტად უწოდებს.

ტეხური შეიძლება იყოს არჩიანეს სიგამე, თუმცა იმის სიტყვით ეს მდინარე მეოთხეაო ხოფის შემდეგ. ხოლო, რაღან არჩიანებ შეცდომით აღნიშნა ცხენის-წყლის მდებარეობა, აღვილი შესაძლებელია, რომ იგი შემცდარი იყოს სიგამეს მდებარეობის შესახებაც. არჩიანე ამტკიცებს, რომ ეს მდინარე ჩაუდის ერთ ადგილს, რომელსაც მდინარის გამო ეწოდების სიგამე. ამის მსგავსი სახელი მართლა ჰქია იმ ადგილს, რომელსაც ჩაუდის ტეხური. ამ ადგილის სახელია სენაფი (Senafhi). ადგილი შესაძლებელია, რომ ენის განუვითარებლობის გამო

სიგამე გადაიქცა სენაგ-ად (Senàghi) და მდინარემ რომ თავისი სახელი მისცა ამ ადგილს, ადგილმა შეინახა ეს სახელი და თვით მდინარემ კი გამოიცვალა ეს სახელი სხვაზედ. ტეხურს ანუ სიგამეს მოსდევს ხობი (Cobe), რომელსაც მკვიდრნი დღესაც მსგავს სახელს უწოდებენ — ხოფი (Copi). ეს მდინარე მეტად მდიდარია ნაირ-ნაირ თევზებით და ნავით სავალი იმ ადგილამდი, რომელსაც ჰქვია ხოფი (Copi). ამ ადგილის გამო თვით მდინარეს ეწოდება ხოფი. აქ არის ეკკლესია, რომელიც წინად საეპისკოპოსო იყო.

ხოფის შემდეგ რომ მდინარეა, მკვიდრნი უწოდებენ მას ჭანის-წყალად და რუკებზე კი იწერება Cianeo. ეს მდინარე შეერთვის ხოფს და ამასთან ერთად შეერთვის ზღვას. ჩემის აზრით ეს სახელი იმიტომ ეწოდება ამ მდინარეს რომ მასთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნავებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ჭანი.

ჭანის-წყალის შემდეგ მოსჩანს ენგური, რომელიც უნდა იყოს ძეელთა ასტელეფოსი. აგრე ეფიქრობ თრის მოსაზრებით: ერთი — რომ არრიანე უჩვენებს ასტელეფოსს სწორედ ჭანის-წყალის სიახლოვეს და მეორე — რომ შესავალში ამ მდინარეს აქეს მოყვანილობა ჩანგის ბუდისა (di una coverta di cesta), რასაც ბერძნულად ნიშნავს სიტყვა ასტელეფოსი. ენგური ჩამოდის დიდის სისწრაფით სეანეთის მთებიდან. ზაფხულის სიცხეებში თოვლის დრობის დროს იგი საშინლად მატულობს, და უნავოდ გასვლა მასში შეუძლებელია. რამდენადაც უფრო სიცხეა ჰაერში, იმდენად მისი წყალი უფრო გრილია. წყალი რიყის ქვებს შეუ იწმინდება და მეტად მშეენიერია. ამ მდინარეში მრავალი ნაირ-ნაირი თევზებია, რომელსაც მკვიდრნი იქცერენ ბადითაც და ხის კავებითაც. როცა ზაფხულობით წყალი მატულობს, ამ მდინარის ზღვასთან შესართავში ძალიან ბევრს ზუთხს იჭრენ.

ენგურის იქით არის ხეთი (Heti), რომელსაც სიპატარავის

გამო რუკებზე არ ნიშნავენ, თუმცა ლირს-შესანიშნავია თევზის სიუხვით; ზღვას შეერთვის გავიდასთან. \*)

ხეთის იქით არის ფქვმა, რომელიც ჩაუდის ტარშენს (Tarchen) და რომელმაც, შეიძლება, ამ ადგილისაგან მიიღო თავისი სახელი, რადგან ეს ის მდინარე უნდა იყოს, რომელიც რუკებზე იწოდება ტანსუსა-დ. ოქვმის იქით ეგრისია (Echaris) და ეგრისის იქით — მოქვის წევალია. ამ მდინარეს ასე ჰქვია იმიტომ, რომ იგი ჩაუდის მოქვის საეპისკოპოსოს.

ყველაზე უკანასკნელი მდინარე არის ჭადანი, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) ჭადაქსი, რადგან კოლხიდის საზღვრებია (ძველთა სიტყვით) ერთის მხრით ფაზისი და მეორეს მხრით — კორაქსი; როგორც ფაზისი ჰყოფს სამეგრელოს გურიისაგან, ისე კორაქსი ჰყოფს მას აფხაზეთისაგან, და როგორც ფაზისის გაღმა — იცვლება აფხაზურად. აქედან ცხადია, რომ მეგრელების კოდორი ძველებური კორაქსია, რადგან კოდორს გადაღმავე ცხოვრობენ აფხაზები თავისის განსაკუთრებულის ენით.

### XXX

#### ა ღ გ ა

შავი ზღვა, რომელიც არტყია კოლხიდას, საკმაოდ აწერილია როგორც ძველის მწერლებისაგან, ისე ახლებისაგან, და ცნობის მოყვარე მკითხველებს შეუძლიათ მიშმართონ იმ მწერლებს. მე კი მხოლოდ ისეთ საგნებს შევეხები, რომელთაც ან სულ არ შეპხებიან სხვები და ან საკმაოდ არ გამოუკვლევიათ. პირველად უნდა აღნაშნოთ ის ცილობა, რომელიც აქვთ თეის შორის გეოგრაფებს (Cosmographi) კასპის ზღვის შესახებ, რომელიც მდებარეობს კავკასიის ყელის იქითა მხარეს. თუმცა ეს ზღვა ყოველის მხრით შეკრულია, არავითარი კავშირი სხვა ზღვასთნ მას თითქმ არა აქვს, ტბასავით ყოველ მხრით მიწა არტყია და მრავალი მდინარეც ერთვის, მაგრამ,

\*) ამ მდინარეს დღეს გაკიდა ჰქვია.

მიუხედავად ამისა, მის წყალს გემო მაინც მარილიანი აქვს და რაოდენობა წყლისა არა მატულობს არასოდეს. საზოგადო აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ მისი წყალი ერთეულის შავი ზღვის წყალს მიწის ქვეშეთის არხებითო. ამის უარყოფა შეუძლებელია, თუმცა არავის არ გამოუკვლევია, თუ სად არის ეს არხები. მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ზოგი ისეთი არხი კოლხიდაში უნდა იყოს. ამის დამამტკიცებელი ის არის, რომ კოლხიდაში მე მრავალ ადგილას შემინიშნავს, განსაკუთრებით მინდვრებში, როცა ცხენი მიჰენობს, მიწის ქვეშ ხშირად ისეთი ხმაურობა გაისძის, რომელიც ცხადად უჩვენებს, რომ იქ დიდი უფსკრული უნდა იყოს. ეს უფსკრული უქველი ჩიშანია, რომ მის შემწეობით ორსავე ზღვას კავშირი აქვს ერთმანეთთან. ამას ამტკიცებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ორთავე ზღვაში მრავალი თევზია ერთის და იმავე ჯიშისა: მართლაც, როგორც შავ ზღვაში, ისე კასპის ზღვაშიც, მტკერის შესართავთან, უხვად იკერენ ზუთხს, ისე უხვად, რომ სპარსეთის ხელმწიფე მარტო თევზის დაჭრის ნება-რთვის გაცემისათვის იღებს წელიწადში ექვსი ათას მანეთს (seude).

პოლიბიუსი თავისი ისტორიის მეოთხე წიგნში გამოსთქვამს იმ აზრს, რომ შავი ზღვა ბოლოს გადიქცევა ტბადო და თრაკიის ბოსფორი ანუ თრაკიის სრუტე, რომლითაც შავი ზღვა არქიპელაგს (Eggeion) შეერთვის, უნდა შეიკრასო. მისის აზრით ასე უნდა მოხდეს იმიტომ, რომ ამ ზღვას შეერთვის მეტად ბევრი მდინარე და ამ მდინარეებს მუდამ მოაქვთ ზღვაში ხეები, ფიჩები, რიყის ქვები, ქვიშა და სხვა ამისთანები, რომელთაც ისე უნდა ააქსონ ზღვა, რომ ბოლოს ყველა გასავალიც უნდა შეუკრანო. ხოლო ამ აზრს არლვევს სტრაბონის ავტორიტეტის შემწეობით გილლიუსი, რომელიც ამტკიცებს პირველად იმას, რომ შავი ზღვის მდებარეობა უფრო მაღალია არქიპელაგზეო; ეს იქიდან სჩანსო, რომ თრაკიის ბოსფორში წყალი მიღის დიდის სისწრაფითო. ამის გამო რამდენადაც შავი ზღვა ივსება სხვა და სხვა რამეებით, რომელიც მდინარეებს შემოაქვთ, იმდენად უფრო ძლიერად შესტყროუნის ამაებს

არქიპელაგში. ამიტომაც შავი ზღვა მუდამ დაწმენდილია, და შეუძლებელია, რომ ტბად გადაიქცეს, როგორც პოლიბიუსი ფიქრობსო. ამას იგივე გილლიუსი შემდეგს დასძენს. მას აქედ, რაც პოლიბიუსმა თავისი აზრი გამოსთქვაო, გასულა რამდენიმე საუკუნე, მაგრამ შავ ზღვას არავითარი ცვლილება არ ეტყობაო. თუ ამდენი ხანი მას არავითარი ცვლილების ნიშანი არ დასტურობია, უეჭველია შემდეგშიაც არ უნდა დაეტყოსო.

მე კი, იმის მიხედვით, რაც გამიგია ამ ქვეყნის მკვიდრთაგან და რაც თვითონ ჩემის თვალით მინახაეს, გაბედულად ვამტკიცებ, რომ თუმცა ზემოხსენებული მწერლები ერთმანეთს ეწინააღმდეგიან, მაგრამ ორთავე აზრები სიმართლესთან ახლოა. მართლაც, ერთის მხრით, პოლიბიუსის აზრის თანახმად, ცხადად სჩანს, რომ შავ ზღვას ზოგჯერ უმატნია, თითქმის ტბად გადაქცეულა და რამდენისამე ხნით სრულიალ შეკრულა, როგორც მიამბეს ზემოხსენებულ სრუტესთან მცხოვრებმა ოსმალებმა, რომელთაც ეს ამბავი ძველის ზეპირგადმოცემით იციან. მეორეს მხრით კი, თანახმად გილიუსის აზრისა, ჩეარის მიმდინარეობის შემწეობით შავი ზღვა ხელახლავ ხსნის გზას და დგება იმავე მდგომარეობაში, როგორშიაც ყოფილა წინად. ყოველსავე ამას ცხადად ამტკიცებს ერთი პატარა ძველი ეკკლესია, ავებული კაფის მახლობლად, სახელდობრ იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია ქერჩი. ეს ეკკლესია აშენებულია წმ. იოანეს სახელობაზე და დგას ზღვაზე კარგი მოშორებით. ამ უამად ამ ეკკლესიის კედლები სულ გავსებულია მიკრული ზღვის ნიუარებით. ეს უეჭველი ნიშანია იმისი, რომ ეკკლესია რამდენსამე ხანს ზღვაში ყოფილა და ზღვა ჰფარავდა მას, როცა თრაკიის სრუტე ან შევიწროებული ყოფილა და ან სრულებით შეკრული. რაღაც შავ ზღვას მხოლოდ ამ სრუტით აქვს გასავალი, რასაკინოველია; რომ როცა ეს სრუტე შეიკვრებოდა, ზღვის მრავალი მდინარეების გამო, რომელიც მას შეერთვიან, იმდენად იმატებდა და აიწევოდა, რომ იმ ეკკლესიას დაჰფარავდა. ხოლო როცა სრუტე ხელახლავ გაფართოვდებოდა ან სულ

გაიხსნებოდა, ზღვა ისევ დაიწევდა და კკულესიას არამც თუ აღარ დაფარავდა, საკმაოდაც მოშორდებოდა, როგორც დღესაც მოშორებულია. ამნაირად ჩვენ უნდა დავისკვნათ, რომ ეს ზღვა ხან მატულობს და ხან ისევ კლებულობს.

ბევრია იმისთანებიც, რომელნიც ფიქრობენ, რომ შავ ზღვას დასაწყისი ოკეანეში აქვსო, რომ მისი მდინარება - ოკეანედან გიბრალტარის სრუტით შემოდის საშუალ-ქვეყნის ზღვაში, შემოუვლის ჯერ ესპანიას და მერე საფრანგეთს, შედის მერე იონიის ზღვაში, აქედან — არქიპელაგში და ბოლოს შავ ზღვაშით. თუმცა ამ აზრს სრულიად ეწინააღმდეგება ის, რასაც ცხადად ვხედავთ: მდინარებას აქვს მიმართულება შავი ზღვიდან არქიპელაგისაკენ და არა პირიქით, მაგრამ ამის წინააღმდეგ ამბობენ, რომ ასეთი მდინარება ზღვის ზედაპირზეა და არა ფსკერშით, საღაც სულ წინააღმდეგი მიმართულება აქვსო წყალს. ამის მიზეზად უჩვენებენ იმას, რომ შავი ზღვის წყალი, ოკეანეს და სხვა ზღვების წყლის შედარებით, უფრო მტკნარია იმ მრავალ მდინარეთა გამო, რომელნიც მას შეერთვიანო. ხოლო, რადგან მარილიანი წყალი უფრო მძიმეა ხოლმე და მტკნარი წყალი კი უფრო მჩატე, ოკეანეს წყალი, როგორც მარილიანი და მძიმე, ფსკერზე მიმდინარეობს ოძენიდან შავი ზღვისაკენ, და შავის ზღვის წყალი კი, როგორც მტკნარი და უფრო მჩატე, მიმდინარეობს ზედაპირზე და წინააღმდეგის მიმართულებით, ესე იგი არქიპელაგისაკენ. მაგრამ, რომ ეს აზრი შემცდარია, ამას ამტკიცებს ის, რომ შავ-ზღვაში შემოაქვს მდინარეებს ქვაშა, რიყის ქვები და ბზის ხეები(ეს ხეები ბლომად არის ამ ზღვის ნაპირებზე) და ყველა ესენი, როგორც მძიმე ნივთები, ძირს მიღიან. გარნა ის აზრი, რომ შავ ზღვას ფსკერში წინააღმდეგი მიმართულება აქვსო, მართალი რომ იყოს, იმ შემთხვევაში ზემო ხსენებულ ნივთებს წყლის დენა ველარ გაიტანდა შავი ზღვიდან და მაშინ გამართლდებოდა პოლიტიურის აზრი და შავი ზღვა იივსებოდა და ზღვის გასავალი გზა სულ შეიკვრებოდა. რადგან ჩვენ სულ წინააღმდეგსა ვხედავთ, მაში ცხადია, რომ არ არის მართალი ის აზრი, ვითომ

ამ ზღვას ფსკერში სხვა მდინარება ჰქონდეს და ზედა-პირზე სხვა. უეჭველია, რომ რაც მდინარება აქვს ზედა პირზე, ფსკერშიც ისეთი აქვს და ამიტომაც ზღვა მუდამ იწმინდება და მისი ამოვსება შეუძლებელია.

მთელი შავი ზღვა მეტად მღელვარეა და ამიტომაც ჩვეულებრივ ძლიერ საშიშოა ზამთარში ამ ზღვით მოგზაურობა, რაიცა მე ჩემ თავზე გამომიკლია. უმეტეს ნაწილად აქ ჰქინის მთის ქარი. ამ ქარს ჩვენში მოსდევს კარგი დარი და აქ კი მოსდევს ისეთი ნისლი, ღრუბელი და ბნელი დღეები, რომ (პორაციუს) ფლაკუსს სიმართლე ჰქონდა ეთქვა:

იქ მუდამ შავი ღრუბლები ჰქიდია და ცართსი საეჭვა. ცწორედ სიშავემ ღრუბლებისამ უფრო, ვიდრე წყლისა და ქვიშისამ, დაუსაკუთრა ამ ზღვას სახელი „შავი ზღვა.“ შეა ზღვაში არც ერთი კუნძული არ მოიპოვება. ნაპირების მახლობლად არის რამდენიმე კუნძული, მაგრამ ისე პატარებია, რომ მათ უფრო სალები ეთქმის, ეიდრე კუნძულები. დარწმუნებული გარ, რომ ამმიან მარცელლინმა (lib. 22) უფრო ზღაპარი მოიტანა, ვიდრე ნამდვილი ამბავი (più presto per favola che per istoria) როცა თქვა, რომ შავი ზღვაში არისო მოძრავი კუნძულები, რომელნიც იქით-აქეთ ტანტალობენო. თუმცა ეს ცხადი სიცრუეა, მაგრამ მას მაინც ჰქონდა საბაბი ამის თქმისა. საქმე ის არის, რომ ზოგჯერ, თუმცა ეს იშვიათად მოძღვება, შავი ზღვა მთლად იყინება. ასეთი შემთხვევა იყო კერძოდ 756 წ. კონსტანტინე კოპრონიმის დროს. ამ წელს მეტად სასტიკი ზამთარი იყო და შავი-ზღვა ერთიანად გაიყინა და გაყინულზე დიდი თოვლი მოვიდა. ეს თოვლიც გაიყინა და შემდეგ კიდევ თოვლი მოვიდა. ესეც გაპყინა და კიდევ მოვიდა თოვლი, ისე რომ ბოლოს ზღვას დაედო ყინული, რომელსაც სიმაღლე ჰქონდა ორმოც და თი წყდა. ზაფხული რომ დადგა და ყინულმა დაიწყო დნობა, დაირღვა რამდენსამე ნაწილად და ეს ნაწილები ზღვაში ტანტალობდნენ, როგორც მოძრავი კუნძულები. შესაძლებელია, რომ ეს ყინულები შეხვდა უკხოელ მეზღვაურთა და ამთო გაავრცელეს.

ხმა, რომ შავ-ზღვაში მოძრავი კუნძულებიათ. მართლაც, ეს ყინულები ისეთი დიდები იყვნენ და ქარმა ისე მიარტყა კონსტანტინეპოლის კედელს, რომ დიდი ნაწილი ამისა ჩამოანგრია. ეს მოხდა კონსტანტინე კოპრონიმის დროს და ძველადაც რამდენჯერმე მომხდარა ასეთივე ამბავი. სწორედ ეს ამბავი უნდა იყოს მიზეზი, რომ ზემოხსენებული თქმულება მოძრავი კუნძულების შესახებ გავრცელდა.

## xxxx

## თევზე კბი

თევზი მრავალია. შავ-ზღვაში. ელიანო ამბობს (Elian. lib. 9, cap. 64), რომ თევზები არქიპელაგის ზღვიდან სულ შავ-ზღვაში მოდიანო, რადგან შავი-ზღვის წყალი უფრო მცინარიათ. მართლაც, შავ-ზღვაში ბევრი თევზიც არის, მეტად დიდებიც და ძლიერ გემრიელებიც. აქ მე არ ჩამოვთვლი ყველა იმ თევზებს, რომელიც მთელ შავ-ზღვაშია, არამედ შევეხები მხოლოდ იმ თევზებს, რომელიც მოიპოვება კოლხიდის მახლობლად.

ელიანო გვარტმუნებს, რომ შავ-ზღვაში ბლომად იქრენ ჩვენებურ თევზს Tonno-ს, მაგრამ მე, თუმცა იმდენი წელიწადი დავყავი ამ ქვეყანაში, მხოლოდ ერთხელ ვნახე ეს თევზი, როდესაც იგი მოიტანეს კათალიკოზის სუფრაზე. მაშინაც მეთევზებმა ვერ იცნეს ეს თევზი და განაცხადეს, რომ ამისთანა თევზი ჩვენს ზღვაში არასოდეს არ გვინახავსო. მევიცანი, რასაკვირველია, ეს თევზი და ავუხსენი, რომ ჩვენს ზღვებში მეტად ბევრია ეგ თევზი მეთქი. აქედან ცხადად სჩანს, რომ ელიანოს მოწმობა, შავ-ზღვაში უხვად იქრენო Tonno-ს, მართალი არ არის, თუ, რასაკვირველია, ამ სახელით ზუთხს არ ვიგულისხმებთ. ზუთხი კი მართლა ბლომად არის შავ-ზღვაში ყოველგან. კოლხიდაში თევზაობას ეტანებიან უმთავ-

რესად ორ აფგილას: ფაზისის და ენგურის ზღვასთან შე-  
სართავებში. ამ ადგილებში შეუა პრილიდან შეუა აგვისტომდი  
მეთევზები ყოველსავე სხვა საქმეს თავს ანგებებენ და სრულიად  
თევზაობას მიეცემიან. აქაური ზუთხი სამ ნაირია: ერთსა ჰქონია  
ზუთხი, მეორეს—ანჯაქია და მესამეს—ფართონჯი. პირველია ჩვე-  
ნი ჩვეულებრივი Storione. იგი მეტად დიდი როდია და ორ-  
მოც-და-ათ გირვან ქაზე მეტს არასოდეს არ იწონის. თავის ნა-  
ზის და გემრიელის ხორცით ეს თევზი ნაქებია და ამიტომაც,  
რამდენსაც კი დაიკერენ ამ ჯიშის თევზს, სულ ერთიანად ან  
სასახლეში წაიღებენ და მთავარს მიართ მევენ და ან აუზში შე-  
ინახავენ, რათა მოიხმარონ ვაშინ, როცა მისი დაჭერის დრო  
აღარ იქნება. ამ აუზებში მე მინახავს ეს თევზი და მართლაც  
შემიჩნევია ის, რასაც ამბობს მის შესახებ ალტროვანდო, სახელ-  
დობრ ისა, რომ იგი საჭმელს მხოლოდ ლოკავს და ამისათვის  
აუზში ირგვლივ ტრიალებს და ლოკავს იმ ამწვანებულ შლამს;  
რომელიც აკრაეს აუზის კედლებს; თუმცა აუზში უყრიან  
საჭმელს, რომელსაც ჩვეულებრივ სკამენ სხვა თევზები, მაგრამ  
ამ საჭმელს ზუთხი არც შეხედავს და განაგრძობს ზემოხსენე-  
ბული შლამის ლოკვას. ამიტომაც არის, რომ ზუთხს მხოლოდ  
ბადით იჭერენ და კავით კი მისი დაჭერა შეუძლებელია.

ანჯაქია განირჩევა ზუთხისაგან თავის მოყვანილობით და  
გემოთიც. სიღილით კი არ ჩამორჩება ზუთხს, არამედ ალემა-  
ტება კიდეც. ფორონჯი კიდევ უფრო დიდია ანჯაქიაზე. ჩემს  
დროს დიკირეს ერთი ფორონჯი, რომელიც კამეჩზე ორ-  
ჯერ დიდი იყო. გემოთი ფორონჯი ბევრად ჩამოუვარდება  
ზუთხსაც და ანჯაქიასაც. ანჯაქიას და ფორონჯს უფრო გამ-  
ხმარს ინახავენ: ამისათვის დასჭრიან რამდენსამე ნაჭრად, სიგ-  
ძით ორ-ორ ტკაველას (ამ ნაჭრებს ჰქონია მდგრადი), ჩასდებენ  
სამი დღით მარილ წყალში, შემდეგ გაახმობენ მზეზე და შეი-  
ნახავენ. სამთავე თევზების კვერცხებისაგან ამნაირად ამზადებენ  
ხიზილალას: კვერცხებს ცოტაოდენ მარილით ჩაჭრიან ფართო  
ზის ჭურჭელში, რომელსაც გასდგამენ მზეში; დღის განმავლო-  
ბაში რამდენჯერმე ჯოხით აურევენ და როცა ოდნიერ გა-

მაგრადება, გადაჲყრიან სხვა შესაფერ ჭურჭლებში და შეინახავენ. ტანით ზუთხი თუმცა დანარჩენებზე უფრო პატარაა, მაგრამ ხიზილალას უფრო უხვად იძლევა. ამ თევზის უველა ნაწილს ხმარობენ და არაფერს არ გადააგდებენ, გარდა იმ პატარა ძვლებისა, რომელიც კანზე აკრავს და ტაფაკის (padella) მსგავსია. შიგნით სრულებით არ აქვს ძვალი. მხოლოდ აქვს თავიდან კუდამდი ერთი თითის სიმსხო რბილი კაკნატელი, რომელიც, ძვლის მაგიერ, მთელს ტანს იკავებს. ზუთხს რომ დასჭრიან და ამ კაკნატელს გამოილებენ, იგი წელებსავით იწევა. მას მჩეზე გაახმობენ და შეინახავენ დიდ-მარხვაში საჭმელად, როგორც მეტად გემრიელ საჭმელს. შიგნეულებისაგან აკეთებენ თევზის წებოს.

მეთევზეებმა იკიან, როდის შეიძლება ზუთხის დაჭრა. იმათ შენიშნული აქვთ, რომ როცა მდინარეებში წყალი ადიდება, მაშინ ზუთხი ბლომად მოვაო. მდინარეები მაშინ ადიდებაან ხოლმე, როცა მთებიდან, წვიმებისაგან თუ თოვლის გაღნობის გამო, წყალი ბლომად ჩამოდის; ეს წყალი ცივია და ცივი წყალი უყვარს ზუთხს, რომელიც, როგორც კი იგრძნობს ამ ცივ წყალს, მაშინვე ზღვიდან გამოეშართება მდინარისა-კენ და სიაწოვნებით ხტის კიდეც წყლიდან, ისე რომ ზოგჯერ შეხტება ხოლმე ორ არშინ ნახევარ სიმაღლეზე წყალ ზევით.

მეგრელები ასე იქერენ ზუთხს. თვითეული მეთევზე თავის ნავით და ბადეთი გამოვა მდინარის იმ ადგილას, საღაც მდინარის მტკნარი და ზღვის მარილიანი წყლები. შეერთვიან ერთ-მანეთს. აქ ნაეზე მოაბამენ ბადეს, რომელიც ნავის სიგძეა, ჩვეულებრივ ორმოცი მტკაველიი დაახლოებით. ბადეს ჩაუშვებენ პირდაპირ წყალში და ძირში მოაბამენ ქვებს ტყვიების მაგიერ. თავში და ბოლოში, რომელნიც წყალში არიან, ამ ბადეს მომული აქვს თოვკები. ეს თოვკები ხელებში უჭირავს ორ კაცს, რომელნიც დგანან ნავში, ერთი თავში და მეორე ბოლოში. როცა ეს კაცები იგრძნობენ, რომ ბადეში თევზი გაებაო, უცბად ამოსწევენ ბადეს და ჩაგდებენ ნავში. ამავე დროს თევზს ლაუყარიდან პირში გაუყრიან თოკს, ხელახლავ ჩაგდებენ წყალ-

ში, მიაბამენ იმ თოკით ნავზე და ამ რიგად დაჭირილ თევზს დიდ ხანს ცოცხლად ინახავენ წყალში.

ზუთხს გარდა მეთევზები იქერენ და დიდად აფასებენ მეორე გვარ თევზს, რომელსაც მეგრელები უწოდებენ სვაბას და ოსმალები კი Calcàn Baluchi-ს, რაც ნიშნავს ფარს. მართლაც ეს თევზი ჯარის-კაცების ფარსა ჰგავს, ისეთივე პრტყელია, რგვალი და გარემოცულია ტაფაკის (padella) მსგავსის ძვლებით. ორივე თვალი ცალმხარეზე აქვს და ეს მხარე ნაცრის ფერია, მეორ მხარე კი, რომლზედაც თვალები არა აქვს, თეთრია. ამ თევზს იქერენ ზღვაში. ბადე, რომლითაც იქერენ, სიმაღლით კაცის თდენაა და სიგრძით მეტად გრძელია. ბადეს ჩააგდებენ სულ ძირს, ქვიშამდი, რადგან ეს თევზი მუდამ ზღვის ძირად ცურავს. ამ თევზს იქერენ დეკემბრიდან მაისისამდი.

ბლომად იქერენ აგრათვე ჭაფალს, განსკაუთრებით ზამთარში. კეფალი ორნიზონია — ერთი უფრო დიდია და მეორე უფრო პატარა. ამ პატარას ჰქვია ჭაფალი (Cocoba). სხვა წვრილი თევზებიც არის აქ, მაგრამ მკვიდრნი მაინც და მაინც არ აფასებენ და ნაკლებად იქერენ.

ზოგჯერ ბლომად იქერენ ანჩოუსს (Alici). რომელ წელიწადსაც აქ ბევრი ინჩოუსი გამოჩნდება, იმ წელიწადს ზუთხსაც ბევრს მოელიან, და თუ ანჩოუსი ცოტა გამოჩნდა, მაშინ ზუთხსაც ნაკლებ მოელიან. 1642 წ. იმდენი ანჩოუსი იყო აქ, რომ მთელი ნაპირი ზღვისა ტრაპიზონიდან აფხაზეთამდი სავსე იყო ზღვიდან გამონარიყი ანჩოუსით, თითქოს ზღუდე გაუკეთებითო, რომლის სიმაღლე სამი მტკაველი იყო. ხალხს ეგონა, რომ, ქსეც არის ამდენი თევზი დალპება და რამე ჭირი გაჩნდებათ, მაგრამ ჩქარა აუარებელი ყვავ-ყორანი მოფრინდა და სულ ერთიანად შესკამა, რაც იქ იყო.

ამ ზღვაში არის კიდევ ღოვანებინა, მაგრამ მეკრელები მას არ აფასებენ და არამც თუ არ იქერენ, არამედ ზოგჯერ, რაც უცაბედად მოხვდება ბადეში, აიღებენ და ხელახლავ ისვრიან ზღვაში. ზოგჯერ შავ ნიჟარიაში მე მიპოვნია მარგალიტები,

მაგრამ ისე მუქი ან ფანგის ფერი, რომ არაფრად არ ვარგოდა. პლინიუსი ამბობს (Plin. lib. 9, cap. 35), რომ ასეთი მარგალიტები მინახავს ორაკის ბოსფორშით: რადგან ბოსფორი იმავე ზღვაშია, წყალს ადვილად მიაქვს იგი მარგალიტები კოლხიდამდი.

ზღვას გარდა, მდინარეებშიც ბევრი თევზი მოიპოვება, განსაკუთრებით გაფმახა, რომელსაც ყოველგან ბრომად იჭერენ. მეგრელებს ანდაზაც აქვთ, რომ იმ მდინარეში, რომლის ნაპირზე ერთნაირი ეკლიანი ხე იზრდება, კალმახიც იბადებათ. კალმახი ორნაირია: ერთი პატარა და მეორე უფრო დიდი. პირველს მხოლოდ მდინარეებში იჭერენ და მეორეს ზღვაშიაც. ამ მეორეს ჰქვია თანაგული.

მდინარეების ნაპირებთან ბევრია აგრეთვე გაბო, რომელიც ძლიერ უყვართ მეგრელებს, მაგრამ ამათ შორის ცოტანი არიან ისეთები, რომელნიც გულმოდგინედ ეტანებიან მის დაჭერას.

### xxxii

#### ფრინგელები

მთელ კოლხიდში მრავალ ნაირი ფრინველია. მათ შორის უფრო კეთილ-შობილად მიაჩნიათ და უფრო მოწონება აქვს ხოხობს (il Fagiano) ამ ფრინველმა თავისი სახელი მიიღო ფაზისისაგან \*), რომლის ნაპირებზე იგი სცხოვრობს. ამბობენ, რომ ეს ფრინველი მხოლოდ კოლხიდის კუთვნილება იყო და არგონივტებმა ჩაიყვანეს საბერძნეთში, საიდგანაც შემდეგ მთელ ქვეყნიერობაზე გავრცელდა. ეს აღნიშნა მარციალმა თავის ლექსში (Martial., lib. 13):

Argiva primum sum transportata carina.  
Ante mihi notum nil nisi Phasis erat.

\* ) ლათინურად: ფაზისი—Phasis; ხოხობი—Phasianus.

ხოხობი ბლომად არის არამცუუ ფაზისის ნაპირად, არა-  
მედ ყოველგან ოდიშში. საზოგადოდ მეგრელები მას იქერენ  
ქორით; გლეხები კი მახით.

კაფაბი თუმცა მომიჯნავე საქართველოში ბლომად არის,  
კოლხიდაში კი სულ არ არის, ამის მიხეზი ის კი არ არის, რომ  
აქ მისი საჭმელი არ მოიპოვებოდეს, რაღან ოდიშის მინდვ-  
რები სულ მოფენილია ღომით, რომელიც მათი საყვარელი  
საჭმელია. ჩემის აზრით კავაბი აქ იმიტომ ვერ იდგამს ფეხს, რომ  
აქ მეტად ბევრია ყოველგვარი მტაცებელი ფრინველი. მტა-  
ცებელ ფრინველთა სიმრავლეს ხელს უწყობს კავკასიის მთა-  
გრეხილი, რომლის კლდეებში იგინი ბუდეებს იკეთებენ. ისიც  
შეიძლება, რომ ამ ქვეყნის ცას იგივე გავლენა ჰქონდეს ფრინვე-  
ლებზე, რაც ადამიანებზე აქვს და ფრინველებსაც ისე შენი-  
დეს მტაცებლებად, როგორც ადამიანებს ქმნის დახელოვნე-  
ბულ ქურდებად, რის შესახებ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი. ხოლო  
კოლხიდის მტაცებელი ფრინველები აღვილი გასაწვრთნელია.  
მაგალითად, სულ ახლად დაკერილს მიმინოს (Spraviere) რვა  
დღეში ისე გაწვრთნიან სანალიროდ, რომ ამის შემდეგ გულ-  
დანდობით გაუშვებენ მწყრის დასაკერად. აგრე ჩეარა იწვრ-  
თნებიან მეგრელებისაგან ეს ფრინველები იმის გამო, რომ, რო-  
გორც მეგრელების ბუნებით თვისებას შეადგენს ქურდობა, ისე  
ამ ფრინველების თვისებაა მტაცებლობა.

როცა მწყერობის დრო მოახლოვდება, ყველა იძენს მიმინოს,  
ისე რომ ამ დროს ვერც ერთ მეგრელს, ვერც დიდს და ვერც პა-  
ტარას. ვერ ნახავთ, რომ ხელზე თავისი მიმინო არ უჯდეს.  
სარგებლობენ კი მიმინოთი მხოლოდ მწყერობის დროს და  
როცა მწყერობა გთავდება, მიმინოსაც გაუშვებენ, რათა ზა-  
მთარში საჩენად არ გაუხდესთ.

აქ მეტად კარგი შეგარდნები (Falconi) იცის. მათ შორის  
თუ გამოერევა თეთრი ფერის, იგი საუკეთესოდ მიაჩნიათ. შევარ-  
დენის ყოლა შეუძლია მხოლოდ მთავარს და ქორის კი — ყველას.  
ქორით აღვილად იქერენ ხოხობს და იხეს (Mallardi).

აქ თითქმის მუდამ დაინახავთ, რომ ჰაერში დაფრინავენ არწივები, რომელთაც მეგრელები ხშირად იკერენ მახით. იკერენ მხოლოდ იმისათვის, რომ არწივის ფრთა მიაბან ისარს. მეგრელების შვილდ-ისარი ბევრად დიდია ოსმალთა შვილდ-ისარზე და ასე დიდი ისრები რომ ჰაერში პირდაპირ წავიდეს, საჭიროა, რომ არწივის ფრთა მიაბან.

კოლხიდაში ურიცხვი წყლის ფრინველებია, როგორც ზღვაში მცხოვრები, ისე მდინარეებში. რადგან ეს ქვეყანა მდიდარია მდინარეებით, რომლებშიაც მრავალი თევზია, წყლის ფრინველებიც ბლომად არის.

ზღვაში და აგრეთვე ზღვის პირად ბევრია კიბოჩჩალი (gavine), რომელიც ზოგჯერ შიგ ქვეყანაში შედის, რაც მკეიდრთა იმის ნიშნად მიაჩნიათ, რომ ცუდი ტაროსი იქნებათ.

მდინარეებში, გარდა ნაირ-ნაირ იხვებისა, გედებისა და სხვა წყლის ფრინველებისა, რომლებიც ჩვენშიაც არიან, ყოველ დღე მოდიან ახალ-ახალი უცნობი და უნახავი, უცხო ნისკარტიანი, ნაინ-ნაირ ფერისა და საუცხოვო მოყვანილობის ფრინველები. რადგან მთავარი მეტად მოყვარულია ამ უცხო ფრინველებისა, მას ჰყავს ყველა მდინარეებზე საგანგებოდ დაუყნებული კაცები და ამ კაცებს დაფალებული აქვს, რომ, როგორც კი უცხო რამ ფრინველი გამოჩნდება, მოახსენონ მას. მთავარი მიიღებს თუ არა ცნობას, რომ ასეთი ფრინველი გაჩნდაო, მაშინვე წაიყვანს თავის მონადირეებს და ქორ-შევარდნებს, ცოცხლად დაიკერს უცხო ფრინველს და ჩასვამს სიგანგებოდ გაკეთებულს აუზში, რომელიც შემოლობილია გალიასავით, მეტად კარგი სანახავია ეს აუზი, რომელშიაც ნაირ-ნაირი უცხო ფრინველებია.

ერთხელ მე ვიყავი სასახლეში იმ დროს, როცა მთავარს შეეკრიბა ძლიერ საჭირო საქმეებისათვის ოდიშის წარჩინებულები. აქ იყვნენ ქათალიკოზი, ეპისკოპოსები, ვეზირი და მრავალი თავადი და დიდებული. მეტად გაცხარებულ ბჭობაში რომ იყვნენ მოთათბირენი, მთავარს მოუტანეს ამბავი, რომ

მახლობელ მდინარეში ჩაღაც აჩალი ფრინველი გამოჩნდაო, ჯერეც უნახავით, რომელიც საუცხოვო მოყვანილობის და ფერის არისო. გაიგონა ეს ამბავი თუ არა, გახარებულმა-მთავარმა უეცრად მიატოვა საბჭო, მსწრაფლ შეახტა ცხენს, თან იახლა თავისი მონადირეები, მიუახლოვდა ფრინველს, და-იჭირა იგი, წაიყვანა თან, უჩენა იმ წარჩინებულებს, რომე-ლნიც საბჭოში ისხლნენ და შემდეგ გაგზავნა აუზში ჩასასმე-ლად. ამ ფრინველის დაჭერამ რომ ასიამოვნა მთავარი, იმდე-ნად, მგონია, ვერ ასიამოვნებდა ვერავითარი კუთილი გადაწ-უვეტილება მისი საბჭოსი.

## უცხოეთის მიმოხილვა

1. ჩინეთის საქმეები: „მოკავშირება“ კავშირის სიმტკიცე. რუსეთი მანჯურიაში; იაპონია და ინგლისი. 2.—სამხრეთ-აფრიკის საქმეები: იმედების გაცრუება. 3.—ამერიკის შეერთებული შტატები: ყუბა და ფილიპეს კუნძულები.—4. საფრანგეთი: კონგრეგაციები. ესპანიის კლერიკალები.—5. სამთა კავშირი და იტალია.—6. აფგანისტანის ემირი აბდურ რაჰმანი.

როგორც ვიცით, ეროვნის დიდმა სახელმწიფოებმა კაეშირი შეჰკრეს ჩინეთში საერთო მოქმედებისათვის, იმოქმედეს კიდეც ერთად: აილეს ტაკუ, ტიან-ძინი, პეკინი, განათავისუფლეს ელჩები, გაძარცვეს სსენებული ქალაქები და აქამდე პეკინიდან სხვა და სხვა ექსპედიციებს ჰგავნიან „აჯანყებულ“ ჩინელთა დასასჯელად და ჩინეთის მთავრობის შესაშინებლად. ერთის სიტყვით, შორიდან, ზერელე თუ საქმეს შეეხედავთ, ნამდვილი ხმა-შეწყობილი „კონცერტია“, მაგრამ ნამდვილათ კი თურმე ზოგი აღთას მიღის, ზოგი ბალთას. სახელმწიფოთა „კონცერტის“ პროგრამმიდან სასტრიკად განდევნილი უნდა ყოფილიყო სოლო სასიმღერო, რადგან ყველას ეშინოდა, სოლისტს, ვინც იქნებოდა იყი, მეტი გავლენა და სახელი არ მოეპოვებინა მაყურებელ ჩინელთა შორის. პირობა ესეთი იყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, პატივ-მოყვარე მომღერალი ხოროში-იშეიათად იღებს მონაწილეობას.

მკითხველს ეცოდინება, რომ პეკინის აღებასათანავე რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად წინადადება მისცა მოკავშირეებს—გაეიყვანოთ ჩვენი ჯარები ჩინეთიდან, რადგან მიზანი შეერთებულ ჯარების გალაშქრებისა—ელჩების დახსნა—

უკვე მიღწეული არისო. თანაც პეკინიდან გასვლა უბრძანა თავის ელჩისა და ჯარებს. ყველა სახტად დარჩა, რაღაც არა ვინ მოელოდა ასეთ „სიურპრიზის“. თვით საფრანგეთი, რომელთანაც რუსეთს ამოდენა ხანი „entente cordiale“-ი აქვს, მეტად გაკვირვებული დარჩა. შეიქმნა მითქმა-მოთქმა, ლაპარაკი, გაზეთების პოლემიკა და ბოლოს არც ერთმა სახელმწიფომ არ ისურვა რუსეთის მთავრობის წინადადების მიღება. დამარცხდა რუსეთის დიპლომატიაო, გაისმა გახარებული ხმა, და ყველას სჯეროდა ეს დამარცხება, რაღაც რუსეთი გაჩუმებული იყო, თითქოს დარცხვენილი ყოფილიყოს, რომ თავისი ვერ გაიტანა. „შორს-გამჭვრეტი“ პოლიტიკოსები მხოლოდ ეხლა მიხვდნენ, რომ ეს დამარცხება წინადვე ნავარაუდევი ჰქონდა ფრთხილ და ხერხიან დიპლომატიას, რომ იგი დამარცხება კი არა, ნამდვილი გამარჯვება იყო. ხსენებულ წინადადების არ მიღების შემდეგ რუსეთის მთავრობამ თავისუფლად იგრძნო თავი და დამოუკიდებლად დაიწყო მოქმედება. გამართა საიდუმლო მოლაპარაკება ლიხუნ-ჩანგთან და სხვა დიდ თანამდებობის ჩინელებთან და მიაღწია დიდის ხნით წინ ნაანგარიშევ მიზანს: მანჩჯურია ხელში იგდო. ჩინეთის ცერიტორია ხელ-შეუხებელი უნდა დარჩესო, გაიძახოდნენ „მოკავშირენი“ და ამათთან ერთად რუსეთიც. რასაკვირველია, ეხლა ყველა დიდ საყვედლრს ამბობს რუსეთზე, რად დაარღვია შეთანხმების უმთავრესი ბუხლიო. განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან იაპონელები და ინგლისელები. იაპონია, რომელიც პანმონგოლის-მის ბელადათ თვლის თავის თავს, შურიანისა და მტრულის თვალით უყურებს რუსეთის ყოველ ნაბიჯს ჩინეთისა და კორეისაკენ, რომელნიც მას თავის სამკვიდროდ მიაჩნია. ამიტომაც არის, რომ იაპონიის შეგნებულმა საზოგადოებამ დიდი ამბავი ასტება, როდესაც რუსეთის ფარული მოქმედება მანჯურიაში გამომელავნდა. იაპონურმა უურნალ-გაზეთობამ და დიპლომატებმაც კი ისეთის კილოთი დაიწყეს ლაპარაკი, რომ თოვფის წამლის სუნი გაისმა და სამხედრო გვემდია მოძავდა. ჩელი მოსალოდნელია, რომ იაპონელების მტკიცე და

სასტრიკ კალოს ამ უამაღ ეგეოთივე მოქმედება მოჰყვეს, ესე იგი იაპონიაშ ოში გამოუცხადოს რუსეთს, რადგანაც ჯერჯერობით იაპონია მარტო არის: ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ უკეთ გამოაცხადა ოფიციალურად, რომ იგი წინააღმდეგია რუსეთის ასეთის მოქმედებისა, მაგრამ აქტიურად საჭეში არ ჩაერევა, თუ მის საქონელს კარები არ დაეჭირა მანჯურიაში. გერმანია იმ თავითვე ძალაუნებურად დათანხმდა ჩინეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობას და ეხლა, როცა ერთმა მოკავშირეთაგანმა დაარღვია ეს პრინციპი, იგი სამაგიეროს, აგრედ წოდებულ, „კომპენსაციას“ ტერიტორიითვე მიიჩნავს. საფრანგეთი ხომ რუსეთის ნებსითი თუ უნებლივთი მომხრეა. დარჩა ინგლისი. აი აქ შეიქმნა ცხადი, თუ რამდენად მავნებელი და საზარალო სამხრეთ-აფრიკის ომი არა მარტო ბურებისათვის და ინგლისლებისათვის... რომ ეს ომიანობა არა, საექვივა, რუსეთის დიპლომატიას ასე გაემარჯვებია. სამხრეთ-აფრიკის ომიანობით ხელშეკრული ინგლისი ვერაფერი ქომა-გია იაპონიისა და ამიტომ უფრო მოსალოდნელია, რომ დანარჩენი სახელმწიფოებიც რუსეთის მაგალითს მიჰმაძვენ და „აჯანყებულ“ ჩინეთს თითო ნაკერს, ძლიერების მიხედვით, ჩამოსჭრან. ასეთია დღევანდელი პოლიტიკის უკულმართობა: თავდაპირველად, როცა ჩინეთში არეულობა დაიწყო, თითეული სახელმწიფო ვალიად რაცხად გამოეცხადებინა — ჩინეთის ტერიტორია ხელშეუხებელი უნდა დარჩესო, შეთანხმდნენ კი-დეც და საქმე იმით თავდება, რომ ხსენებული ტერიტორია უნდა განაწილდეს. შორს აღმოსავლეთში დაედო სატურელი ისეთ საქმეს, რომელიც ბევრად უფრო სახიფათო და საშიშო არის ახლო აღმოსავლეთის საქმეზედ.

\*\*

სამხრეთ-აფრიკის საქმეები ისევ ძველ კალაპოტში მიმდინარეობენ. ისევ ჯარების გიგზავნა ინგლისიდან, იგივე ორაზრიელი დეპეშები ომის ველიდან, და როდის მოელება ბოლო ამ საშინელ და ორივ-მხრისათვის (და სხვებისთვისაც) მეტად სა-

ზარელ ომიანობას, აღარ სჩანს. იმედი კი ჰქონდათ, რომ მალე გა-  
თავდებოდა. კიჩენერმა ინახულა ბურების მთავარ-სარდალი ბო-  
ტა და მოლაპარაკება გამართა მშეიღობიანობის ჩამოგდების.  
შესახებ. საგულიხმო არის, რომ ზავზედ ლაპარაკი პირველად  
ინგლისის ჯარების სარდალმა დაიწყო. ეს იმის ნიშანია, რომ  
ბურები ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერები არიან, მიუხედავათ ამ-  
დენის ხნის განუწყვეტლის ბრძოლისა. ბურების სარდალმა ბო-  
ტამ კიტჩენერთან პირის პირ მოლაპარაკების შემდეგ წერილი  
მოსწერა მას: „მე გალავეცი ჩემ მთავრობას თქვენის აღმატე-  
ბულების წერილი, მაგრამ თქვენ, იმედია, არ გაგიკვირდებათ,  
რომ მე ვერ დავინახე შესაძლებლად მერჩია ჩემის მთავრობი-  
სათვის თქვენის წინაღადების სერიოზული განხილვა. შემიძლია  
დავუმატო, რომ ჩემს აზრს სრულებით ეთანხმებიან როგორც  
ჩემი მთავრობა, ისე უფროსი ოფიცირებიც.“ ვნახოთ ეხლა ეს  
პირობებიც:

I. ინგლისელი ქვეშევრდომები, რომელნიც მიეჩხენ ბუ-  
რებს და იბრძოდნენ ინგლისის წინააღმდეგ, არ დაისჯებიან,  
თუ ტრანსვალში ან ორანჟეს ახალშენში დარჩებიან, და თუ  
ნატალში ან კაპის ახალშენში დაბრუნდებიან, პასუხის გებაში  
იქმნებიან მიცემულნი თანახმად ადგილობრივ კანონებისა.

II. დატყვევებულ ბურებს დაბრუნებენ სამშობლოში სა-  
ტრანსპორტო გემების შოვნის მიხედვით.

III. არსებულ სამხედრო აღმინისტრაციის მაგიერ დაარ-  
სებულ იქმნება მთავრობა, რომელიც პირველ ხანებში შესდ-  
გება გუბერნატორისაგან და ინგლისის მთავრობის მიერ დანი-  
შნულ მოხელეთაგან შემდგარ რჩევისაგან; მაგრამ ინგლისის  
მთავრობა აკადებს სურვილს მალე მოხელეები შესცვალოს  
ამორჩეულ პირებზედ, შემდეგ კი, შეძლების და გვარად, იგი  
მიანიჭებს ახალ-შენებს სრულს თვით-მმართველობას. გარდა  
ამისა, როგორც კი ბურები იარაღს დაპყრიან, ახალ-შენებში  
შემოღებული იქნება უმაღლესი, აღმინისტრაციისაგან დამოუ-  
კიდებელი სასამართლო.

VII. საეკკლესიო საკუთრება, ნაანდერძევი და საობლო ქონება ხელ-შეუხებელია.

V. ჭრაბნდიურსა და ინგლისერ ენას თანასწორი უფრება აქვთ და სკოლაში მოსწავლე იმ ენას სწავლიდნს, რომელიც მის დედ-მამს ჰქონს.

VI. ინგლისის მთავრობა მზად არის გადასდოს ერთი მილიონი გირვანქა სტრელინგი (10 მილ: მან.) იმ თამასუქების გამოსასყალათ, რომელიც ბურების მთავრობას გაუცია უკანასკნელის ომიანობის დროს.

VII. იგივე მთავრობა მზად არის შემწეობა აღმოუჩინოს სესხით იმ ფერმერებს, რომელთა ქონება უკანასკნელ ომიანობის დროს დაზარალდა ან დაიღუპა.

VIII. თოფ-იარალის ქონება შეუძლია ყველის, ვინც-კი საჭირო ბილეთს აიღებს.

IX. შავ-კანიან მკვიდრთა მდგომარეობა ისეთივე იქნება, როგორც კაპის ახალ-შენშია.

საუკეთესო ნაწილი ინგლისის საზოგადოებისა გულ-წრიფე-ლად სწუხს, რომ მორიგება ვერ მოხდა და ბრალს ამისს ჩემბერლენს სჯებენ, რადგანაც მან შესცვალა ზაფის ის პირობები, რომელიც კიჩენერმა აღუთქვა ბოტას. ჩემბერლენს შეუცვლია სამი უმთავრესი მუხლი: კიჩენერს აღუთქვამს დახმარება ფერმერებისათვის უსესხოთ, ჩემბერლენს ეს სესხად შეუცვლია. მეორე—გუბერნატორის ჩჩევის წევრები ამორჩეულები უნდა ყოფილიყვნენ, ჩემბერლენის წინადადებით კი—მთავრობისაგან დანიშნულები. მესამე—ბურების მხარეზე გადასულ ინგლისელ ქვეშევრდომებს სრული პატივბა უნდა მიეღოთ, ჩემბერლენმა კი მოითხოვა ისჯ რაც ზემოდ მოყვანილ პირობის პირველ მუხლში მოყვანილია.

ის ნაწილი ინგლისის საზოგადოებისა, რომელმაც ეს ომი გამოიწვია და მისგან დიდ სარგებლობას მოელის, გახარებუ-

ლი არის, რომ ზავი არ ჩამოვარდა. ამ პირობებით ზავის ჩა-  
მოგდება ინგლისის დამცირება იქნებოდაო, გაიძახიან ესენი-  
ბურები მაშინ ისწავლიან კუუს, როცა სრულიად დაიმორჩი-  
ლებენ. მაგრამ როდის იქნება ეს სრული დამორჩილება, ამას  
კი არ ანგარიშობენ. ვიმეორებთ, ზავზედ ლაპარაკი პირველად.  
კიჩენერმა თაიწყო და ომის გათავება რომ ახლო მომავალში  
მო სალოდნელი ყოფილიყო, კიჩენერი არ დაიწყებდა ზავზედ  
ლაპარაკს.

\* \* \*

როგორც ვიცით, ახერიკელები დიდათ თანაუგრძნობენ  
თავისუფლებისათვის მებრძოლ ბურებს და სასტიკად ჰკიცხავენ  
ინგლისსა და მის მთავრობას უსამართლო, შეუბრალებელ  
ომიანობის დაწყებისათვის. პოლიტიკურ ასპარეზზედ მოღვა-  
წენი თუ კერძო პირები თავიანთ მოვალეობად სთვლილნენ  
შირინგების გამართვას და ინგლისის წინააღმდეგ მხურვალე  
სიტყვების წარმოთქმას. მაგრამ შევხედოთ, თუ რას სჩადის  
თავისუფლების მოყვარე და მოტრტიალე შეერთებულის შტა-  
ტების მთავრობა. უძლურ ესპანიას ამ ბოლო დრომდე რამ-  
დენიმე ახალ-შენი შერჩა; მათ შორის საუკეთესო იყო ყუბის  
კუნძული. ყუბელებმა ვერ გაუძლეს ესპანიელების მტარეალო-  
ბას და აჯანყდნენ. „დიდ-სულოვანი“ და „სულ-გრძელი ამე-  
რიკა“, ალშფოთებული ესპანიელების მტარეალობით, ჩერია-  
საქმეში და ომი გამოუცხადა ესპანიას ყუბის განთავისუფლე-  
ბისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს გამოაცხადა ამერი-  
კის მთავრობამ და ყუბელებსაც და სხვებსაც ეგრე ეგონათ  
დამარცხდა უძლური ესპანია და... ყუბიდან ამერიკელები არ  
მიღიან. მართალია, ესპანიელებსავით არ იქცევიან, მაგრამ  
ყუბის განთავისუფლებაზედ და დამოუკიდებლობაზედ ლაპა-  
რაკი აღარ ისმის.

თურმე ამერიკელების მაღალ-მაღალი ფრაზები თავისუფ-  
ლებაზედ და დამოუკიდებლობაზედ ნიშნავდა ესპანიელების

განდევნას და მათ მაგიერ თვით ამერიკელების ჩადგომას ნიშნავდა.

მაკრამ ამერიკის პოლიტიკის ეხლანდელ მიმართულებას ჟველაზედ უფრო ახასიათებს ამერიკის მთაერობის მოქმედება ფილიპეს კუნძულებზე უ. ეს კუნძულები დიდი ხნის განმავლობაში ესპანიელების ხელში იყო, და ადგილობრივი მცხოვრებნი უკითხელ-კანიანი ტაგალები (მალაკლები) ყველა კათოლიკები არიან სარწმუნოებით. ესპანიელი სამღვდელოება, განსაკუთრებით ბერები, თავის ფანატისმითა და მტარვალობით აუტანელ შევიწროებას აყენებდნენ ფილიპინელებს, ესპანიელი მმართველები, უნიკონი და ანგარების მოყვარენი, უკან არ ჩამორჩნიან სამღვდელოებას. უკიდურესობამდე შევიწროებული ფილიპინელი სცდილობდა თავიდან მოეშორებინა მტარეალის აუტანელი ულელი. შესდგა რამდენიმე ფარული საზოგადოება, რომლებიც ხალხს ამზადებდნენ ესპანიელების წინააღმდეგ ასაჯანყებლად და სამშობლოს განსათავისუფლებლად. დიდი და შეურვალე მონაწილეობას იღებდა ამ საზოგადოებათა მოქმედებაში ახალგაზდა ტაგალი ემილიო აგვინალდო (დაიბადა 1869 წ. ქ. მინილიასთან ახლო მდებარე სოფელში), კაცი მტკიცე ხასიათოსა, მეტად ნიჭიერი და გატაცებული ზამულის შვილი. ესპანიის მთაერობას, რასაკვირველია, არ გამოჰქმარება ტაგალ-პატრიოტთა მოქმედება და დევნა დაუწყო მათ. დევნილნი ჰონკონგში მიღიოდნენ და აქედან ამზადებდნენ მამულის განთავისუფლების საქმეს. ჰონკონგში გაქცეულთა მორის აგვინალდოც ერია. მოთმინებიდან გამოსული ტავალები აუჯანყდნენ ესპანელებს 1896 ში. აგვინალდო გაშინევ მიეშველა თანამემამულეთ და არჩეულ იქმნა აჯანყებულთა სარდლად. მიუხედავად იმისა, რომ ტაგალები გაუწვრთვნელნი და ცუდათ შეიარაღებულნი იყვნენ, ესპანიელებმა ვერ მოახერხეს აჯანყების ჩაქრობა მიუხედავად მათ უსაშინელესის სისასტრიკისა: ხალხი შეგნებულად იბრძოდა თავისუფლებისათვის, იგი არავითარ გიჭირვებას, არავითარ მსვერპლს არ ერიდებოდა. ბოლოს ესპანიელები იძულებულნი შეიქმნენ მოლაპარაკება ჭაემართნათ აჯანყებულებ-

თან: შეპირდნენ მათ სრულ ამნისტიას, ფულებს და ესპანიელ ბერების განდევნას. აჯანყებულთ მიიღეს ეს პირობანი და დაჭ- ყარეს იარაღი; აგვიანალდო კი ისევ ჰონკონგში წავიდა. ესპა- ნის მთავრობამ არც ერთი შუხლი ზემო მოყვანილ პირობისა არ შეასრულა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ლონე გამოლე- ული ტაგალები ხელ-მეორეთ უერ მოახერხებდნენ აჯანყებას. მაგრამ გარემოება მაღლ შეიცვალა.

1898-ში ასტუდაობი ესპანიასა და აშერიფას შორის. აშე- რიკელებმა კარგად იცოდნენ ფილიპეს კუნძულების საქმეთა მიმღინარეობა და მოინდომეს ესარგებლნათ იმრთი. ამერიკის დიდ-ოკეანეს ესკადრის უფროსმა ადმირალმა დიუმი მოლაპა- რაკება გამართა აგვინალდოსთან და დაარწმუნა იგი, რომ აშე- რიკელების სურვილია მხოლოდ ფილიპეს კუნძულების განთა- ვისუფლება ესპანიელთაგან. აგვინალდო, რომელსაც ხსენებუ- ლმა ადმირალმა განსაკუთრებული გემი გაუგზავნა ჰონკონგში, მოვიდა თავის ქვეყანაში და საკვირველის სისწრაფით მოუყა- რა თანამემამულეებს თავი. აგვინალდოს დახმარება ძალიან სა- ჭირო იყო ამერიკელებისათვის: მართალია, ადმირალ დიუმი დაამარცხა მანალიასთან ესპანიელების ფლოტი, მაგრამ მას იმ- დენი ჯარი არ ჰყავდა, რომ ხმელეთზედაც შეპრძოლებოდა ესპანიელ ჯარებს, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო, გა- ნსაკუთრებით თვით მანილიაში. აგვინალდომ თავის ჯარით მა- ლე დაამარცხა ესპანიელთ გარნიზონები, გარდა მანილიისა, და გამოაცხადა ფილიპეს კუნძულები დამოუკიდებელ რესპუბ- ლიკად. დიუმი არა თუ წინააღმდეგობა გაუწია აგვინალდოს, პირიქით პატივით შეხვდა ახალ რესპუბლიკის დროშას: ზარ- ბაზნების სროლით შესაფერი სალამი მისცა მას. ბოლოს აგვი- ნალდოს ჯარების შემწეობით მანილიაც აიღეს ამერიკელებმა. რაღაც ეჭივრებოდათ შემდეგისავთის აგვინალდო და იკი ყო- ველი პატივი აჰყარეს მას, არა თუ პატივი აჰყარეს, დასკინოდ- ნენ კიდეც.

დაამარცხებულმა ესპანიელებმა ზავი ითხოვეს. აგვინალდომ მოითხოვა, რათა მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიეღო. ტა-

გალების წარმომადგენლებსაც. მაგრამ მას ყური არავინ ათ-ზოდა. ამერიკაში შეიძინა ფილიპეს კუნძულები ესპანიელებისა-გან 40 მილიონ მანეთად და 1899 წელს გენერალ ოტისის პირით გამოუტადა ფილიპინელებს, ფილიპეს კუნძულები ამე-რიკას ეკუთხნის, ადგილობრივი მცხოვრები უნდა დაემორჩი-ლონ აშერიკის მიერ დაყენებულ სამხედრო და სამოქალაქო უწყების უფროსებს და ვინც ამას არ შეასრულებს, სასტიკად დაისჯება.

მოტუუებული და გულ-დამწვარი ტაგალი ვერ დაემორჩი-ლა ამ ყოვლად უსამართლო და უკანონო ბრძანებას და ისევ იარაღს მიჰმართა თავის კანონიერ უფლებათა აღსადგენად. და-იწყო მეტად მძიმე და ხანგრძლივი ომიანობა. ფილიპინელები დაიყვნენ პატარ-პატარა რაზმებად და დაიწყეს პარტიზანული ომი, ომი დაუბოლოვებელი, როგორც სამხედრო-აფრიკაში ინ-ფლისელებს და ბურებს შორის. საკვირველი სიმამცე და სიმ-ტკიცე გამოიჩინეს ამ ნახევრად ველურმა ხალხმა, ნახევრად-ველურმა ვთქვით, მაგრამ ის ხალხი ველური არ არის, რო-მელმაც შეიგნო თავის ლისხება, თავისუფლების და დამოუკი-დებლობის ფასი და რომელიც არაუერს არ ზოგავს მათ და აღსადგენად, შესაძენად: ამისთანა ხალხი ლირსია დამოუკიდე-ბლობისა და მიაღწევს კიდევ თავის შიზანს.

ამერიკელები ბევრად უფრო ცუდად იქცევიან ფილიპეს კუნძულებზედ, ბევრად უფრო მტარვალურად ეპურობიან ტაგალ-ებს ვიდრე მათგან სასტიკად გაკიცხული ინგლისელები ბურებს. ინგლისელები, რაც უნდა იყოს, პერძნობენ, რომ მთელი განათა-ლებული კაცობრიობა თვალ-ყურს აღევნებს მას და ცოტა-არ იყოს ერიდება ამისი. ბურებს უველა თანაუგრძნობს. სულ სხვა უცნობ „კუითელ-კანიანები“ ტაგალები! აბა ვინ იცის მათი ამბავი და ის საშინელი მდვომარეობა, რომელშიაც ეხლა ისინი იმყოფებიან. ყველამ იცის, თუ როგორ ეპურობა ამერიკელი შავ-კანიან ზანგზს ამერიკაშივე; იგი ზიზღით უყუ-რებს მას და სკულილობს არავითარი დამოკიდებულება არ იქონია.

ოს მასთან. ტაგალიც არ არის თეთრი და ამიტომ ამერიკელის თვალში იგი უფრო დაბალი არსებაა. დაუზატეთ ამას სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა (ტაგალები კათოლიკები არიან, როგორც წინედაც მოვიხსენეთ) და დაიჯერებთ, რომ ტაგალებს ეხლა ამერიკელები უფრო მეტად სძულთ, ვიდრე წინეთ ესპანიელები.

ესლა ცუდი დრო დაუდგათ ფილიპინელებს: მათი გმირი მთავარსარდალი ემილიო აგვინალდო დალატით (სხვაფრივ ვერ შოახერხეს) ჩაიგდეს ხელში ამერიკელებმა: ასეთი მეთაურის დაკარგვა გამწვავებულ ბრძოლის დროს შეუცვებელი დასაკლისია საქმისათვის და აյი მოდის ამბები, რომ სხვა სარდლებიც თან და თან ნებდებიან ამერიკელებს; თუმც იმასაც კი ამბობენ, ჯერ ტაგალების დამორჩილება შორს არისო.

რაც უნდა იყოს, ფილიპინელების მომავალი უზრუნველყოფილია: მათ დაამტკიცეს თავის ეროვნული სრულ-წლოვანება, თუ შერძლება ასრუ ითქვას, თავისა და სხვის თვალშიაც იგი ღირსია თავისუფლებისა. ამერიკის პრეზიდენტმა მაკ-კინლეიმ გამოაცხადა, რომ, როგორც კი აჯანყებულნი იარაღს დაპყრიან, ფილიპეს კუნძულებზედ შემოღებულ იქნება სრული თვით მმართველობა. და ეგ თვით მართველობა იქნება შედეგი არა ამერიკელების და მათი პრეზიდენტის სურვილისა, არა მედ თეთ ტაგალერის ღირსებით აღსავსე მოქმედებისა. თავისუფლებისა და თვითმართველობის „ჩუქება“ შეუძლებელია; ჩას შემენა უნდა.

\* \*

ვალდეკ-რუსოს სამინისტრომ თავისი გაიტანა: კანონ-პროექტი სასულიერო კონკრეტაციების წინააღმდეგ პალატაშ თითქმის უცვლელად მიიღო. რესპუბლიკის მტრები არავითარ ღონებს, არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ, რომ ეხლანდელი სამინისტრო დაეცათ და მით კანონ-პროექტის ბეჭიც გადაეწყვიტათ. მაგრამ ვალდეკ რუსოს გასაოცარმა ენერგიაშ და მოწინავე დასთა, განსაკუთრებით სოციალისტთა, დისცილინამ ჟუელაფერსა სძლიერ. განსაკუთრებულად ფიცხელი და

შევავი შეტაკება გამოიწვია, როგორც მოსალოდნელი იყო, კანონ პროექტის მე-14-ე მუხლმა; ამ მუხლის ძალით, კონგრეგაციებს ალკარდალებათ პედაგოგიური მოღვაწეობა. როგორ? ვალდეკ-რუსოს სამინისტრო, რომლის წევრი მიღიერანია, პედაგოგიურ მოღვაწეობის თავის უფლების წინააღმდეგია? ეგ ხომ რეაქციონური მთავრობა შეიქმნა. დიახ, გარეგნათ, ზერელეთ თუ შევხედავთ საქმეს, ვალდეკ-რუსო და მიღიერანი რეაქციონერები არიან, და სწორედ ამას გაიძახოდნენ და სკოლობდნენ დაქმტკუცებიათ საფრანგეთის პარლამენტის კონსერვატორები და კლერიკალები. მართლაც გარეგნათ საოცარ სურათს წარმოადგენდა საფრანგეთის პარლამენტი ხსენებულ კანონ-პროექტის განხილვის დროს. ცხადი თუ ფარული როიალისტები და იეზუიტები დიდი რევოლიუციის პრინციპების ღალატს უკიუინებდნენ ეხლანდელ სამინისტროს და მის წევრებს, რომელთა შორის ორი სოციალისტია. ეს ვაგბატონები, რომელნიც ყოველ ლონისძიებას ხმარობენ რესპუბლიკას ძირი გაუთხარონ, მის მაგიერ შეფობა შემოიღონ და მოზარდ თაობის აღზრდა-გაწრთვნის საქმე ბერებს ჩაუგდონ ხელში, თავისუფლებისათვის და 89-ის წლის პრინციპების გულისოვის თავგანწირულად იბრძოდნენ, რასაკვირველია, ხალხის თვალის ასახვევად, მის მოსატყუებლად. თუ რა მოელის ამ თავისუფლებას და ამ პრინციპებს, რომლებსაც ეხლა შემთხვევის გულისოვის ასე მხურვალედ იცავენ, თუ მათ ოდესმე გამარჯვება ხვდათ, ეს ცხადათ დაანახვა ქვეყანას ცნობილმა რადიკალმა ლეონ ბურჟუაზ. ეს უკანასკნელი წარსულ მსოფლიო გამოფენის დროს წვერი იყო სასკოლო საერთა-შორისო კომიტეტისა და როგორც ეგთი, გაეცნა გამოფენაზედ გამოგზავნილ სახელმძღვანელოებს, რომელთა შორის სასულიერო კონგრეგაციების სკოლების სახელშემღვანელოებიც იყო. ლეონ ბურჟუამ შესანიშნავად დაუხატა პარლამენტს, თუ როგორ წრთვნიან და რას ასწავლიან ბერები ნორჩ ახალგაზდებს თავიანთ სკოლებში. ეხლანდელი სახელმწიფო წეს-წყობილება—ღვთის კანონის წინააღმდეგია, მისი უარყოფაა; ეხლანდელი მთავრობა და მისი მომხრენი—

ფრანკმასონები ლთვის-მგმობელნი და ეშმაკის მიმღევარნი არიან. მათ წინააღმდეგ ბრძოლა წმიდა საქმეა. არავითარ საშუალებას არ უნდა აუხვიოთ გვერდი მათ დამლუპველ და ქვეყნის წარმწყმედ მოქმედების მოსასპობლად და სხვა ამისთანები. ქრისტეს მცნების აღმსარებელი და მქადაგებელი ბერები მტრობას და მძულვარებას უნერგავენ ნორჩ გულში შოზარდ თაობას, რათა მის საშუალებით შემდეგში ძირს დასცენ ეხლანდელი წესი, გაბატონდენ და კველაფერი ხელში ჩაიგდონ. თავისუფლება? თავისუფლება ეხლა სჭირიათ მათ, რადგან ჯერ ძალა მათ ხელთ არ არის და როცა ეს ძალაც ხელში ექნებათ, იგი მოისპობა: მათი პირველი და უძლიერესი მტერი იყო და არის თავისუფლება.

თუ რას მოასწავებს ხალხისათვის ბერებისა და იეზუიტების მოქმედება, ესპანიის ეხლანდელი მდგომარეობა გვიჩვენებს. დაუძლურებულ, ლონე მიხდილ ესპანიას უკანასკნელ სისხლის წვეთებს სწოვენ ეს პარაზიტი-წურბელანი. მაშინ, როდესაც ხალხი, განსაკუთრებით ამერიკასთან ომიანობის შემდეგ, ტყავ-გამძვრალია და არ იცის სული როგორ მოიბრუნოს, ბერების ხელში აუარებელში სიმდიდრეა, ყოველ-გვარის საშუალებით შეძენილი. გარდა ვაჭრობა-ჩარჩობისა (ესპანიის ერთ კონგრეგაციის მთელი სავაჭრო ფლოტიც კი აქვს) ბერები დაძვრებიან ოჯახებში, განსაკუთრებით ისეთებში, სადაც მემკვიდრე ქალია იძენენ გავლენას და თუ რამ ოჯახს გააჩნია, მათ ხელში გადადის: გაიძვერა, ფანიტიკოს ბერის გავლენით ქალი მონაზნად მიდის და თავის ქონებას ბერებს აძლევს, ხშირად დედმამის სურეილის წინააღმდეგ. ხალხის სწავლა-განათლების საქმე მათ ხელშია და ადგილად მისახეედრია, თუ როგორ ანვითარებენ ეგეთი მასწავლებელნი თავიანთ მოსწავლეთ. ხალხი მეტად უკმაყოფილ იყო და ეხლა იხეთქა კიდეც ამ უკმაყოფილებამ. ესპანიის მთავრობას მთელის თავის ძალ-ღონის მოხმარება დასჭირდა ხალხის ბერების წინააღმდეგ მიმართულ მანიფესტაციების მოსასპობად. ხსენებული მთავრობა იძულებული შეიქმნა რ მდენიმე ხალხის სურვილი დაკმაყოფილები-

ნა: რე პირობას სდებს, რომ ფრთას შეაკვეცს ესპანიელ კლე-  
რიკალების თავ-გასულობას.

ეგვიპტი ამბები ხდება პორტუგალიაშიაც, სადაც ჩთავრობა  
კიდევ უფრო ენერგიულად მოქმედებს კლერიკალების წინააღ-  
მდეგ.

\* \*

თითქმის სრული 18 წელიწადია მას შემდეგ, რაც, ეგ-  
რედ წოდებული, „სამთა (გერმანია, აესტრია, იტალია) კავში-  
რი“ არსებობს. ბერლინის კონგრესის შემდეგ რუსეთი ჩამო-  
შორდა გერმანიასა და აესტრიას: ბისმარკი ხერხიანად წინაა-  
ღულება რუსეთის სურვილებს ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზედ  
და მოიგო აესტრ-ჰუნგრეთის გული. უკმაყოფილო რუსეთი  
ჯარებს აძლიერებდა გერმანიისა და უფრო აესტრიის საზღვრე-  
ბზედ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დააახლოვა გერმანია და  
აესტრია, და მათ შორის დაიდო საიდუმლო ხელ-შეკრულება  
რუსეთის წინააღმდეგ იმ შემთხვევისათვის, თუ რუსეთი რო-  
მელიმე მათგანს ომს გამოუტადებდა. როგორც ეხედავთ, ამ  
ორის სახელმწიფოს დაახლოვების მიზეზი აღმოსავლეთის კით-  
ხვა იყო: აესტრია მას შემდეგ, რაც პრუსიამ იგი გერმანიიდან  
გამოაგდო, ბალკანეთის კუნძულისა და იდრიატიის ზღვისა-  
კენ მიისწრაფის, რუსეთის პოლიტიკა ხომ ამ მხრივ ყველა-  
საგან ცნობილია, იგი პირდაპირი წინააღმდეგია ავსტრიის პო-  
ლიტიკისა და ამიტომ მათი შერიგება ყოვლად შეუძლებელი  
ეს იყო და არის კიდევც. ამიტომ ჯერჯერობით ავსტრია ვერ  
მოშორდება გერმანიას. იგი ძალა-უნებურად ერთგული უნდა  
დარჩეს სამთა კავშირისა.

განსხვავებულია იტალიის მდგომარეობა. 1870-იდან იტა-  
ლია ეჭვის თვალით უყურებდა საფრანგეთს, რაღაც ეშინოდა  
პაპს არ მიემხროს და მისი უფლება არ აღიაღებინოს. აესტრიას  
კი, თავის დიდის ხნის მტერს, კიდევ მტრულად უყურებდა,  
რადგან ტრიესტი და ტიროლი ჯერ კიდევ აესტრიას ეკუთვნო-  
და. მას შემდეგ, რაც საფრანგეთში განმტკიცდა რესპუბლიკა,  
იტალია დაუახლოვდა მას და აქტებდა იტალების ტისტების (იმ

შიმართულების პირთ, რომელნიც თხოულიანენ — საჭაც კი ჩვენის ტომის ხალხი სცხოვრობს, ჩეენ სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს) მოღვაწეობას. მაგრავ მას შემდეგ, რაც საფრანგეთი შეუდგა აფრიკაში ახალშენების შეძენას და გაფართოებას, იტალიამ პოლიტიკა იცვალა. როცა საფრანგეთმა ტუნისი დაიპყრო, იტალია დემონსტრატიულად დაახლოვდა გერმანიასა და ავსტრიას, დაანება თავი იროვებენტისტობას და ვენაში აესტრის იმპერატორი ინახულია. 1883 წელს კი სრულებით შეუერთდა ორთა კავშირს. ამ ნაბიჯს იტალიის მთავრობის პოლიტიკისას გლობუსტონმა უწიდა „მეცხამეტე საუკუნის უდიდესი სისულელე.“ მართლაც, იტალიის რომელი ინტერესი მოითხოვდა აესტრიისა და გერმანიის დაახლოვებას? ვითომ საახალშენო ინტერესები? მაგრამ ჯერ კიდევ შინ მოუწყობელ იტალიის ერს არც ძალა და არც სურვილი ჰქონდა შესდგომითა საახალშენო პოლიტიკას, ეს ცხადაც დამტკიცდა აბისინიას — თან შეტაკების დროს. იტალიის საახალშენო პოლიტიკა არ იყო იტალიის ერის ნამდვილი მოთხოვნილება, იგი ხელუენურად შექმნილი იყო და ამიტომ დამარტიდა კიდეც იგი. მაშასადამე ერის ინტერესი სრულებით არ მოითხოვდა. დაახლოვებას კერძანიასთან და ავსტრიასთან, რომელთანაც ჯერ კიდევ ძველი ანგარიშები იყო და არის გასასწორებელი. უფრო საფიქრებელია, რომ იტალიის მთავრობაზედ ამ შემთხვევაში გაელენა ჰქონდა დინასტიურ ინტერესებს (საფრანგეთი — რესპუბლიკა, გერმანია და ავსტრია კი მონარხიები), მაგრამ დინასტია მაშინ უფრო დიდ საფრანგეში ვარდება, როცა ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს; მას მოკავშირენი ვერ იხსნიან განსაკუდელისაგან, როცა ხალხი შეიგნებს, რომ დინასტიის ყოლა მისთვის თურმე მავნებელი ყოფილა. ასე რომ ამ მხრივაც კი ვერ არის გონივრულად მოსაზრებული „სამთა კაფშირის“ წევრობა.

სამაგიდეროთ, ამ კავშირმა იტალიას დიდი ზარალი მიაყენა. ეკონომიკურად მოუწყობელ იტალიას მეტად მძიმე ტვირთად აწევს შენახვა. იმ დიდ-ძალი ჯარისა, ურომოლდაც იგი ვერ გახდებოდა კავშირის წევრი. გარდა ამისა, იტალიას თითქმის

სრულებით უმნიშვნელო ეკონომიური დამოკიდებულება აქვს მოკავშირეებთან, მაშინ როდესაც საფრანგეთში მის ვაჭრებსა და მრეწველებს მეტად პატივსადები და საგულისხმიერო ინტერესები აქვთ. ხელოვნურად გამოწვეულმა პოლიტიკურმა მტრობამ ეკონომიური განხეთქილება ჩამოაგდო ამ ორ მეზობელ ხალხთა შორის და ეს განხეთქილება უფრო საზარალო იყო იტალიისათვის. მიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ამ ბოლოს დროს ბევრს ლაპარაკობენ იტალიის „სამთა კავშირი-დან“ გამოსელაზედ (ვადა ორი წელიწადია კიდევ) და საფრანგეთთან დაახლოებაზედ. გარეგანი ნიშანი ამ დაახლოებისა არის გაგზავნა იტალიის ესკადრისა ტულონში საფრანგეთის პრეზიდენტის მისასალმებლად. თუ ეს ასეა, ე. ი. თუ ტულონში იტალიის ესკადრის მოსვლა ნამდვილი ნიშანია იტალიის და საფრანგეთის დაახლოებისა და არა უბრალო დემონსტრაცია მოკავშირეების წინააღმდევ, რათა უკეთესის პირობებით შეეკრას მათ მომავალში, მაშინ ახალგაზდა მეფე და ცანარ-დელის სამინისტრო მიმხვდარან იტალიის ერის ნამდვილ ინტერესებს და თავიდან მოუშორებიათ პატივ-მოყვარე კრისპის უნიდაგო პოლიტიკა, რომელსაც სამართლიანად შეიძლება უწოდოს კაცმა *mania grandiosa*.

\* \* \*

გასულ წელს ლონდონში დაიბეჭდა ინგლისურ ენაზეც ერთი ფრიად საინტერესო წიგნი „ავტობიოგრაფია ავგანისტანის ემირის აბდურ-რაჰმანისა.“ თვით ავტობიოგრაფია, რასა-კვირველია, საინტერესოა, მაგრამ უფრო საინტერესოა ემირის პოლიტიკური მოასაზრებანი შესახებ რუსეთისა და ინგლისისა. მოვყავს ეს მოასაზრებანი \*) განუმარტვად, რადგან ისინი ამას არ ს ჭიროებენ. ემირი, როგორც ვიცით, 11 წელიწადი სკემვრობდა სამარკანდში, როგორც რუსეთის მთავრობის პენსიონერი და მას ბევრი დრო და მოცალება ჰქონდა გასცნობიდა რუსეთის პოლიტიკას.

ეჭვი არ არის, ამბობს, ერმირი რომ, რუსეთს გადაწყვეტილი ძეგლს თავს დაეცეს ინდოეთს, იგი მხოლოდ მოხერხებულ დროს ეძებს. ამიტომ არის, რომ რუსეთს განზრახვა აქვს ჩაყლაპოს ავგანისტანი, რომელიც ინდოეთის გზაზეც დგვა.

\*) მოყვანილია რუსულ უურნალ „Вѣстникъ всемірной исто-рии“-ს ამ წლის მეორე ნომერში.

რუსეთის საიერიშო პოლიტიკა ნელია, მაგრამ მტკიცე და შეურყეველი. რა კი რუსეთის დიპლომატია გადასწყვეტს მიალწიოს რომელიმე მიზანს, იგი თან და თან ალწევს მას. ეს, სხვათა შორის აიხსნება, იმ გარემოებით, რომ მა ქვეყნის პოლიტიკა ის იმყოფება სხვა და სხვა დასთა გავლენის ქვეშ, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია, სადაც თითოეული ახალი სამინისტრო ვალად სთვლის გადაკეთოს წინამორბედ სამინისტროს ნაკეთები (აღმოსავლეთის დესპოტის შეხედულება). რუსეთის წინ წაწევა მოვაგონებს სპილოს ტაქტიკას: სპილო, სანამ ნაბიჯს გადადგამდეს, ზედ მიწევნით გამოიკვლევს ნიადაგს, გადასდგამს თუ არა ერთ ნაბიჯს, იგი მოსპობს ყველა შემაფერხებელ გარემოებას, რომელიც მას გზაზედ ხვდება და მეორე ფეხსაც მოაყოლებს იგი ნელა და ფრთხილად მიდის წინ; ამიტომ მას არ სჭირდება უკან დაბრუნება და ერთის ვზის ორჯელ გავლა. რუსეთი ნელის, მაგრამ საიმედო ნაბიჯით უახლოედება რნდოეთს ამ 60 წლის განმავლობაში; მას არ დაუკაფებია საშუალო აზიაში არც ერთი ადგილი, თუ წინდაწინვე დარწმუნებული არ იყო, რომ თავისას გაიტანს. როგორც კი რუსეთი რომელიმე ადგილს დაიკერს, ასტეხს ლაპარაკს მშვიდობიანობის აუკილებლობაზედ და ხელს აწერს ტრაქტატებს, რომლებშიაც პირობას სდებს, აღარ წავიდეს წინ. მაგრამ ეს მეორედება განუწყვეტლივ და იგი სულ წინ მიდის.

ავგანისტანი, ამბობს ბოლოს ემირი, არ არის იმდენად ძლიერი, რომ თავის დამოუკიდებლობის დასაცველად სხვისი დახმარება არ ეჭირვებოდეს... ავგანისტანმა უნდა არჩიოს, ვის მიეკედლოს? მისი ინტერესები მოითხოვს ინგლისთან მეგობრობას რადგან 1) ინგლისს განზრახვა არ აქვს თავს დაესხას სპარსეთსა და თურქესტანს და ამისთვის გზად აირჩიოს ავგანისტანი, შაშინ როდესაც რუსეთისაგან მოსალოდნელია ინდოელებზედ გამოლაშქრება, 2) ინგლისი ზღვის სახელმწიფოა, ინგლისს ბერი ფულები და იარაღი აქვს, რაც ავგანისტანსთვის საჭიროა, 3) რუსეთის დახმარება შეიძლება ჯარების. ავგანისტანზედ გაშვებით, რაც დაჰლუპავს ამ ქვეყანას.